

# საბჭოთა სელოვნება

Handwritten signature and logo

საბჭოთა  
სელოვნება

ISSN 0132-1307

1981 10



# საბავშვო საბჭო

საპარტვილოს სსრ კულტურის სამინისტროს  
უკუველთიერი ჟურნალი

7 ოქტომბერი სსრ კავშირის კონსტიტუციის დღეა

## შინაარსი

საპარტვილოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში საქალაქო და რაიონული თეატრი: რესპუბლიკის წამყვანი კოლექტივების დონეზე . . . . .	2
თეატრი — კულტურის ძეგლი . . . . .	4
შოთა რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენისა სახელმწიფო აკადემიური თეატრის ასი წელი . . . . .	10
ნათელა ურუშაძე — რუსთაველის თეატრი 100 წლისა . . . . .	20
ელგუჯა ამაშუკელი — მთელია სახელმწიფო თეატრს . . . . .	38
სერგო კლდიაშვილი — საუკუნოვანი დიდება . . . . .	40
ვახილ კიკნაძე — დიდი თეატრი . . . . .	42
უცხოური პრესა რუსთაველის თეატრის შესახებ . . . . .	59
ია გამრეჯელი — ავიციონის ფესტივალები . . . . .	83
მიხეილ თუმანიშვილი — რეჟისორი თეატრიდან წავიდა . . . . .	87
ვთერ ოქუაძე — ფიტიბიტი პართულ საბელმწიფო ფილმებზე . . . . .	97
გივან ლაღიძე — 60 . . . . .	107
მანანა ახმეტელი — „ლელა“ მუთაისის საოპერო თეატრის სცენაზე . . . . .	108
ნიკო ლეონიძე — პოეტის ხმა ევროპიდან . . . . .	111
ნიკოლო მაკიაველი — მთავარი . . . . .	115
ბრონიკა . . . . .	119

თეატრი  
შუნიკა  
მხატვრობა  
კინო  
არქიტექტურა  
ჟურნალიზმი

მთავარი რედაქტორი  
ნოზარ გურაბაძე  
სარედაქციო კოლეგია:  
ბაბი ბაქრაძე,  
ვახტანგ ბერიძე,  
ნოზარ ბაბაძე,  
ჯუმაბერ თითოვანი  
(ასპინძლისგან),  
ზანდუა კვიციანი,  
ნოზარ გვალაშვილი,  
ჯუმაბერ ნიშანაძე,  
გივი ორბელიანი,  
ნათელა ურუშაძე,  
რევაზ ჩხეიძე,  
ანტონ ვულუკაძე,  
ნიკო ბაგვაძე,  
თამაზ ზედაძე  
ნოზარ ჯანაშვილი

# საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

## საქალაქო და რაიონული თეატრი: რესპუბლიკის წამყვანი კოლექტივების დონეზე

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომელმაც მიიღო დადგენილება საქართველოს სსრ საქალაქო და რაიონული თეატრების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, მიაჩნია, რომ რესპუბლიკის საქალაქო და რაიონული თეატრების უდავო მიღწევების მიუხედავად, მათი მოღვაწეობის საერთო დონე ჯერ კიდევ მთლიანად არ შეესაბამება დღევანდელი ამოცანებს.

პარტიის დოკუმენტებში, აღნიშნულია დადგენილებაში, სკკ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მასალებში ხაზგასმულია, რომ გაიზარდა ლიტერატურისა და ხელოვნების როლი საბჭოთა საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში.

საქართველოს შემოქმედი ინტელიგენციის მოღვაწეობას მალალი შეფასება მისცა ე. ი. ბრეჟნევისა საბჭოთა საქართველოსა და მისი კომპარტიის მე-61 წლისთავის დღესასწაულზე.

ეს შეფასება ქართულ საბჭოთა თეატრსაც განეკუთვნება, რომელსაც დიდი წვლილი შეაქვს ხალხის სულიერ განვითარებაში.

ბოლო წლების მანძილზე რესპუბლიკის კულტურის სამინისტრომ განახორციელა თეატრების შემოქმედებითი და მატერიალურ-ტექნიკური პირობების გაუმჯობესების მთელი რიგი ღონისძიებანი. საქალაქო და რაიონული თეატრებს შეემატა თეატრალური განათლების მქონე შემოქმედი ახალგაზრდობა. მწყობრში ჩადგა თელავის თეატრის ახალი შენობა. დაიწყო სოხუმის ქართული დრამატული თეატრის მშენებლობა, კაპიტალურად გარემონტდა ქუთაისის, გორის ზუგდიდის თეატრების შენობები.

მაგრამ რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში მოქმედი თეატრალური კოლექტივების მიღწევები შეიძლება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ყოფილიყო. თეატრების უმრავლესობა ვერ წარმართავს თავისი მუშაობის თანამედროვე მასურების მზარდი იდეურ-ესთეტიკური დონის შესაბამისად. რესპუბლიკის ყველა თეატრმა როდი მიაგნო თავის ინდივიდუალურ სახეს, ვერც ქალაქებისა და რაიონების სულიერ და კულტურულ ცენტრად იქცა.

რესპუბლიკის რაიონული თეატრების უმრავლესობის მუშაობის მთავარი ნაკლი ის არის, რომ არა აქვთ მიზანმიმართული სარეპერტუარო პოლიტიკა. გადამწყვეტ გავლენას ვერ ახდენენ ამ საკითხში საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს თეატრების განყოფილება და სარეპერტუარო-სარედაქციო კოლეგია, საქართველოს მწერალთა კავშირის დრამატურგიის სექცია.

რესპუბლიკის ბევრ თეატრში კვლავ მწვავე პრობლემად რჩება კადრების საკითხი, რესპუბლიკის რაიონულ თეატრებში მომუშავე 420 მსახიობიდან მხოლოდ 120-ს აქვს სპეციალური უმაღლესი განათლება. არ არის მოგვარებული მსახიობებისა და რეჟისორების ოსტატობის სრულყოფის საერთო-რესპუბლიკური სისტემა.

მთელი რიგი სარაიონთაშორისო თეატრები — ზუგდიდის, ნახარაძის, ფოთის დასები აღარ ასრულებენ თავიანთი ზონის რაიონების მომსახურების ფუნქციას. ბევრ რაიონში თეატრისადმი ინტერესი შემოფარგლულია აბონემენტების გავრცელებით და იყენებენ დიდ მშენებლობებზე, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ობიექტებზე გასვლა

ქტალების, მაყურებელთა პაექრობის მოწყობის შე-  
საძლებლობებს. თეატრების უმრავლესობა სერიოზულ  
მატერიალურ-ტექნიკურ სიღნეულებს აწყდება.

სათანადოდ არ მუშაობს რაიონულ თეატრებთან  
საქართველოს თეატრალური საზოგადოება, რომელიც  
ღრმად არ სწვდება აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსე-  
თის თეატრების პრობლემებს.

რესპუბლიკის თეატრალური ცხოვრების საკითხე-  
ბის გამუქებაში უმნიშვნელო როლს ასრულებს მხატვ-  
რული კრიტიკა. რესპუბლიკური პრესა, რადიო, ტე-  
ლევიზია ნაკლებ ყურადღებას უთმობენ საქალაქო და  
რაიონული თეატრების საქმიანობას.

სარაიონთაშორისი თეატრების პარტიული ორგა-  
ნიზაციები სუსტად მოქმედებენ რეპერტუარის ჩამო-  
ყალიბებაზე, თეატრის სხვა დიდმნიშვნელოვან პრი-  
ციპებზე.

სათანადო ყურადღებას არ აქცევენ თეატრს საქარ-  
თველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონ-  
ული კომიტეტები. ზოგიერთი პარტიული ხელმძღ-  
ვანები ჯეროვნად ვერ აფასებს, თუ რა მნიშვნელო-  
ბა აქვს თეატრს, როგორც მშრომელთა იდეურ-ეს-  
თეტიკური, სულიერი და ზნეობრივი აღზრდის მნიშ-  
ვნელოვან როლს.

პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტების  
ბოლოები იშვიათად იხილავენ თავიანთ სხდომებზე  
თეატრალური ცხოვრების საკითხებს.

იმ მიზნით, რომ კიდევ უფრო ამაღლდეს რესპუბ-  
ლიკის საქალაქო და რაიონული თეატრების იდეურ-  
შემოქმედებითი საქმიანობა და გაუმჯობესდეს მატე-  
რიალურ-ტექნიკური ბაზა, საქართველოს კომპარტი-  
ის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა: რესპუბლი-  
კის კულტურის სამინისტრომ შეიმუშაოს შესაბამისი  
წინადადებანი. განსაკუთრებული ყურადღება დაეთ-  
მოს თეატრების პროფესიული კადრებით უზრუნველ-  
ყოფას, გაუმჯობესდეს თბილისის შ. რუსთაველის სა-  
ხელობის თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრე-  
ბულთა ადგილებზე განაწილებისა და დამკვიდრების  
სისტემა. საჭიროა აგრეთვე გაითვალისწინონ თეატ-  
რმცოდნეების, თეატრის კრიტიკოსების მიზნობრივი  
მომზადება, რესპუბლიკის ნამყვანი რეჟისორების მი-  
ერ დადგმების განხორციელება საქალაქო და რაიონ-  
ულ თეატრებში.

სცენის მოწყობილობას მიიღებენ ბათუმისა და  
ფოთის სახელმწიფო თეატრები, ზესტაფონში შეიქმ-  
ნება ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის დრამა-  
ტული თეატრის ფილიალი.

დადგენილებაში განსაკუთრებული ყურადღება  
ეთმობა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს  
სარეპერტუარო-სარედაქციო კოლეგიის მუშაობის  
გაუმჯობესებას. კოლეგიამ სარეპერტუარო გეგმების  
განსახილველად უფრო ფართოდ უნდა მიიზიდოს სა-

ქართველოს თეატრალური საზოგადოება, სხვა შე-  
მოქმედებითი კავშირები. რესპუბლიკის კულტურის  
სამინისტროსა და საქართველოს თეატრალურ საზო-  
გადოებას წინადადება მიეცათ შეიმუშაონ რესპუბ-  
ლიკის საქალაქო და რაიონული თეატრების მსახიო-  
ბებისა და რეჟისორების ოსტატობის სრულყოფის  
ეფექტიანი ფორმა, საქართველოს, მოსკოვის, ლენინ-  
გრადისა და სხვა ქალაქების ნამყვან თეატრებში  
მათი სტაჟირების სისტემა, დაანერს დედაქალაქის  
ნამყვანი თეატრების შეფობა სარაიონთაშორისი თე-  
ატრებისადმი. მთელი სარეპერტუარო პოლიტიკა ისე  
უნდა წარმართოს, რომ თეატრებმა შექმნან სსრ  
კავშირის სამიერო წლისთავის, გეორგიევსკის ტრაქტის  
200 წლისთავისადმი მიძღვნილი მაღალადიპლო-  
მატიური ნაწარმოებები და სპექტაკლები.

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ უნ-  
და გაააქტიუროს აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსე-  
თის, ქუთაისის განყოფილებების საქმიანობა. ძირე-  
ულად გარდაქმნის მუშაობას საქართველოს მწერალ-  
თა კავშირის დრამატურგიის სექცია, რომელსაც დაე-  
ვალა მოაწყოს სემინარები რესპუბლიკის სხვადასხვა  
ქალაქში მცხოვრები ახალგაზრდა დრამატურგები-  
სათვის.

ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწი-  
ფო კომიტეტმა, რესპუბლიკურმა გაზეთებმა და ჟურ-  
ნალებმა, საქინფორმმა უფრო ფართოდ უნდა გააშუ-  
ქონ საქალაქო, რაიონული თეატრების ცხოვრება.

კაპიტალურად გარემონტდება ფოთის, ბათუმის  
სახელმწიფო თეატრების, ქალაქ რუსთავეის მეტალურ-  
გთა კულტურის სასახლის შენობები, მეტი თანხები  
გამოიყოფა რაიონული თეატრებისათვის საჭირო ავ-  
ტობუსებისა და სატვირთო მანქანების შესაძენად.

პარტიის საოლქო, საქალაქო რაიონულ კომიტეტებს  
წინადადება მიეცათ მკვეთრად გააუმჯობესონ მუშა-  
ობა თეატრებისადმი ხელმძღვანელობისათვის, გა-  
აძლიერონ მათი პირველადი პარტიული ორგანიზა-  
ციების ავანგარდული როლი, გულმოდგინედ შეარ-  
ჩიონ კანდიდატურები რესპუბლიკის შემოქმედებით  
უმაღლეს სასწავლებლებში ვასაგაზანად, გააუმჯო-  
ბესონ თეატრის მუშაკთა საყოფაცხოვრებო პირობე-  
ბი. რესპუბლიკის კულტურის სამინისტროსთან ერ-  
თად მათ უნდა შეიმუშაონ საქალაქო და რაიონული  
თეატრების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკი-  
ცებაში ქალაქებისა და რაიონების ნილობრივი მონა-  
წილეობის გეგმა. (საქინფორმი).

მ. შაბაძის 138 წ. 136  
საბჭოთა კავშირის  
საქართველოს

# თეატრი—კულტურული ცხოვრების

## ც ე ნ ტ რ ი

დღეგინიშნულია დადგენილება მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა — „საქართველოს სსრ საქალაქო და რაიონული თეატრების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. დადგენილება სწორედ დროულია და იგი ზუსტად გამოხატავს საერთოდ ქართულ თეატრში შექმნილ მდგომარეობას — მის თვალსაჩინო მიღწევებსა თუ ჩამორჩენას და, ამავე დროს, კონკრეტულ გზებს სახავს თეატრალური ხელოვნების შემდგომი განვითარებისათვის. მართალია, დადგენილება საქალაქო და რაიონულ თეატრებს ეხება, მაგრამ მასში დასმულია ზოგადი ხასიათის პრობლემებიც, განვითარებულია მნიშვნელოვანი დებულებანი, რომელთა შესრულება უსათუოდ გამოიწვევს თეატრის ფუნქციონალური მნიშვნელობის ზრდას ჩვენი საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ქართული საბჭოთა თეატრის საერთო მიღწევების ფონზე უფრო რელიეფურად ჩანს ის ხარვეზები, ის უარყოფითი ტენდენციები, რომლებიც ჩვენი საქალაქო და რაიონული თეატრების ცხოვრების დამახასიათებლად იქცა, და რომელთა მოთმენა დღეს, როცა ჩვენი სულიერი ცხოვრების საერთო აღმავლობა ყველგან იგრძნობა, შეუძლებელია.

რასაკვირველია, იმის თქმა, რომ დღევანდელ საქალაქო და რაიონულ თეატრებში ჩვენ არა გვაქვს საინტერესო საპექტაკლები, რომ არ გავრდილა საერთო პროფესიული დონე, არ გამოჩენილან ნიჭიერი რეჟისორები, მსახიობები, სცენოგრაფები — არ იქნება მართებული.

პირიქით, შემდგომი ორგანოების ქმედითი ხელშეწყობის შედეგად, საქ. კულტურის სამინისტროს მეცადინე-

ობის მეოხებით, ბევრი რამ ამ თეატრებში ფრიად სასურველად შეიცვალა, ამაღლდა სპექტაკლების იდეურ-მხატვრული დონე, უფრო ნათლად გამოაკვეთა თეატრების საზოგადოებრივი პოზიცია, პოლიტიკური ტენდენცია, რეპერტუარში დამკვიდრდა თანამედროვეობის ახალ-სახველი მრავალი საბჭოთა პიესა, ღირსეული ადგილი დაიკავა რევოლუციურ-რომანტიკულმა თემატიკამ, ხალხთა მშობის ინტერნაციონალურმა სულიცხვეთებამ.

მრავალმა შემოქმედებითმა ღონისძიებამ: — ფესტივალებმა, ახალგაზრდა შემოქმედებითი ძალების დათვალიერებამ, თანამედროვეობისადმი მიძღვნილი სპექტაკლების კვირეულებმა, მაყურებელთა კონფერენციებმა ერთგვარი გამოცოცხლება შეიტანეს საქალაქო და სარაიონო თეატრების ცხოვრების ატმოსფეროში, რამაც მაყურებლის ინტერესი საკონინობლად გაზარდა.

ბუნებრივია, ქართული დრამატული თეატრების წარმატება, მისი მიღწევების საყოველთაო აღიარება, როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ, დიდ მასტიმულირებელ როლს ასრულებს სარაიონო თეატრების ცხოვრებაში, მის ძიებებს აძლევს ტონსა და მიმართულებას, მოუწოდებს უფრო მნიშვნელოვანი შემოქმედებითი ამოცანების დაძლევასკენ, „მაგრამ რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში მოქმედი თეატრალური კოლექტივების მიღწევები შეიძლება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ყოფილიყო. თეატრების უმრავლესობა ვერ წარმართავს თავის მუშაობას თანამედროვე მაყურებლის მზარდი იდეურ-ესთეტიკური ღონის შესაბამისად. რესპუბლიკის ყველა თეატრმა როდი მიაგნო თავის ინდივიდუალურ სახეს, ვერც ქალაქებისა და რაიონების სულიერ და

კულტურულ ცენტრებად იქცა“ — ნათქვამია საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში.

### ცომა რამ უახლოესი ისტორიისა

განახლების მაცოცხლებელი ტალღა ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრების ყოველ სფეროს მისწვდა. ცხადია, თეატრალური ხელოვნება, როგორც ყველაზე მგრძობიარე ბარომეტრი, გრძნობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს და უმალ რეაგირებს მასზე. მაგრამ მას ამისათვის ნათლად და ზუსტად უნდა ჰქონდეს განსაზღვრული თავისი იდეურ-მხატვრული ამოცანება, თავისი ესთეტიკური კონცეფცია და მოქალაქეობრივი დანიშნულება. ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემების ერთგვარი გაუფასურება იგრძნობოდა იმ საყოველთაოდ ცნობილი მოვლენების ზეგავლენით, რომლებმაც ჩვენს რესპუბლიკაში მრავალი საძრახისი ტენდენცია წარმოქმნა.

თეატრალური ხელოვნების წინაშე დასმული ახალი ამოცანების მთელი სიღრმით წამოიჭრის მიზნით, საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში, პირადად ანხ. ე. ა. შვარცნაძის ინიციატივით, გაიმართა რესპუბლიკის თეატრალური მოღვაწეების საქმიანი შეკრება-თათბირი, 1973 წლის თეატრალური სეზონის წინ. ეს ქართული თეატრის ისტორიაში იყო უპრეცედენტო მოვლენა — ასეთი მასშტაბისა და ასეთი მნიშვნელობის თათბირი მანამდე არასოდეს გამართულა, სადაც ქართული სამხატვრო თეატრის წინაშე დაისახა ახალი ამოცანები და ნათელი გახდა, რომ ქართული ხალხის, ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრების გარდაქმნაში, ახალი მორალური ატმოსფეროს შექმნაში თეატრს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობა დიდ და განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა. ქართული თეატრის ყოველმა მოღვაწემ იგრძნოთ თუ რა როლი ეკისრება მას ამ შეცვლილ ვითარებაში, თვალნათლივ დარწმუნდა, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელობა არა მხოლოდ სიტყვით, მორალურად, პოლიტიკურად უჭერს მას მხარს, არამედ მატერიალურადაც. თუ 1973 წლამდე რესპუბლიკის თეატრები სახელმწიფო დოტაციის მხრივ სავალაოდ ჩამორჩებოდნენ სხვა მომხმ რესპუბლიკების თეატრებს, იმავე სეზონში მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა, ხოლო 1980 წლისათვის ამ მხრივ მესამე ადგილზე იყო (7 მლნ 511 ათასი) რსფსრ-სა და უკრაინის შემდეგ, ხოლო საერთო მოცულობასთან დაანახარჯის პროცენტულ შეფარდებით, პირველ ადგილზე (68,1%).

რასაკვირველია, დღევანდელ ვითარებაში მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ქართული თეატრისათვის უმთავრესი იყო და არის ის განუხრელი მორალური, ეთიკური, შემოქმედებითი მხარდაჭერა, რასაც იგი განიცდის ყოველდღიურად.

მეორე უმნიშვნელოვანესი მოვლენა ქართული თეატ-

რის ცხოვრებაში იყო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „რესპუბლიკის დრამატული თეატრების რეპერტუარის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ (1973). ამ დადგენილებამ ფაქტურად მთელი ჩვენი თეატრალური ცხოვრების პრობლემები მოიცავს, მაგრამ, ბუნებრივია, მთელი აქცენტი რეპერტუარის მხატვრულ-იდეური ღონის შემდგომ გაუმჯობესებაზე გადიტანა.

იმ პერიოდში ეს იყო ჩვენი თეატრების საკითხთა საკითხი, მისი უმთავრესი პრობლემა.

მართლაც, თუ ჩვენ გესურდა ქართული საბჭოთა თეატრი ახალ სიმაღლეზე გვეწახა, უპირველესად, მისი საფუძვლის განმტკიცებაზე უნდა გვეზრუნა. თეატრის საფუძველი კი რეპერტუარია!

რეპერტუარის განახლების, მისი მიმართულების განსაზღვრის პროცესი ფრიად ნაყოფიერი აღმოჩნდა, არა მხოლოდ თბილისის ცნობილი თეატრებისათვის, არამედ მთლიანად თეატრალური ხელოვნებისათვის. დაძლეული იქნა ძველი სარეპერტუარო პოლიტიკის მრავალი ნაკლი — ე. წ. „წერილიმინაობა“, კონფლიქტის სიმწვავის ნაკლებობა, ერთგვარი გატაცება მსუბუქი, თავშეპაქეცივი დრამატურგით, სადაც ცხოვრების პრობლემებს გვერდი აქვთ ავილი. მათი ადგილი დაიჭირა ქართული და რუსული საბჭოთა დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშებმა, კლასიკამ, რეპერტუარული წარსულის ამსახველმა პიესებმა, ხოლო, რაც უმთავრესია, წინა პლანზე გამოვიდა მეტაფიზი, მძაფრი, პრობლემატური, დღევანდელი დღის ცხოვრების წარმოქმნილი ქართული პიესა. ასევე მნიშვნელოვანი იყო მკვეთრი რესპობუნება მომხმ რესპუბლიკების დრამატურგიისაკენ. შემსუბუქების თეატრების რეპერტუარის და, აქედან გამომდინარე — თეატრების შემოქმედება, გახდა უფრო მიზანსწრაფული, მამოლებელი, შეუირვებელი ცხოვრების ნაკლოვანებების მიმართ, უფრო გაბედული ახალი თემებისა და პრობლემების გაშუქების თვალსაზრისითაც.

მიუხედავად ამ წარმატებისა, ამ პერიოდში (დღემდე) არ შექმნილა არცერთი მაღალმხატვრული ქართული პიესა, რომელიც დღევანდლობის დადებით ტენდენციებს, შემოქმედებითი, დადებითი გმირის პორტრეტს წარმოგიადგენდა. უფრო მეტია პიესა — სპექტაკლი, გამსჭვალული უარყოფის, კრიტიკული პათოსით, ვიდრე დაშკიდლებების სულისკვეთებით სავსე.

\*\*\*

საინტერესო და მძაფრა პროცესები მიმდინარეობს თეატრისა და მასურბლის ურთიერთობაში. თეატრი იდეურად და ესთეტიკურად აყალიბებს თავის მასურბლებს, ზემოქმედებს მასზე ემოციურად, ამავე დროს, მასურბლები თავის მხრივ, იმ ზეგავლენას ახდენს რეპერტუარის ჩამოყალიბებასა და შემოქმედებით მიებეგზე.

შესაძლოა, უკლებლად ყველა მაყურებელი ვერ ჩასწვდეს, ვთქვათ, რ. სტურუას „რიჩარდ მესიმის“, თ. ჩხეიძის „გუმინდელის“, შ. კუჭუხიძის „პრაგმატიული ამბის“, შ. ვაწარელიას „სიმონა მამარის სიზმრების“, ი. კაკულიას „როდ დაწყებები მსახიობი გოგონასთვის“ რთულ ესთეტიკურ სამყაროს, მაგრამ საერთო დონე მაყურებლისა ძალზე ამაღლა ტელევიზიისა და კინემატოგრაფიის მეშვეობით.

ახლა რესპუბლიკის ყველა მშრომელს საშუალება აქვს ქართული, რუსული და უცხოური თეატრის საუკეთესო სპექტაკლები ნახოს შინიდან გამოუსვლელად, ეზიაროს მაღალ პროფესიულ კულტურას. ეს ვითარება ახალ სინდრელებს ქუჩის საქალაქთაშორისა და რაიონული თეატრებისათვის. მაყურებელს შედარების განუსაზღვრელი საშუალება აქვს და თეატრში მისულს სურს ე. წ. „საშუალო სიანდარტების“ დონეზე შესრულებული სპექტაკლი მიიჩქნოს იხილოს. როცა ამას ვერ ნახულობს, მას აღარა აქვს თეატრში ხელმოყოფად მოსვლის ხალისი. შედეგად, ერთხელ განმტკიცებულ სტერეოტიპულ წარმოდგენას „თავისი“ თეატრის შესახებ ვეღარ ვრეკავ, ჩნდება ფსიქოლოგიური ბარიერი, რომლის გადალახვა თეატრსაც უჭირს და მაყურებელსაც. მაყურებლის გარეშე კი თეატრი იფიტება, მის არსებობას აზრი ეცლება და თუმცა ინერციით, დოქტაციით, მხარდაჭერით მაინც არსებობს, იგი, არსებითად, „მკვდარი თეატრია“.

სწორედ ამგვარი პროცესების დაძლევისაკენ, თეატრალური ხელოვნების აღორძინებისაკენ მოგვიწოდებს საქართველოს კმ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება.

მინც, კონკრეტულად, რა ძირითადი პრობლემა დგას დღევანდელი საქალაქო და რაიონთაშორის თეატრების წინაშე, რომელთა დასაძლევად უნდა დაიარაღოს ყველა, ვისთვისაც ძვირფასია ქართული თეატრალური ხელოვნება: — კულტურის სამინისტრო, თეატრალური საზოგადოება, ჩვენი პრესა და საზოგადოებრივი აზრი?!

### მიზანმიმართული რეპერტუარი

„რესპუბლიკის რიონული თეატრების უმრავლესობის მუშაობის ნაკლი ის არის, რომ არ აქვთ მიზანმიმართული სარეპერტუარო პოლიტიკა. ვადაწყვეტ გავლენას ვერ ახდენენ ამ საკითხში საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს თეატრების განყოფილება და სარეპერტუარო სარედაქციო კოლეგია, საქართველოს მწეარალთა კავშირის დრამატურგიის სექცია“ — ნათქვამია დადგენილებაში.

რას იწინავს მიზანმიმართული რეპერტუარი, თუ არა იმას, რომ ყოველმა თეატრმა, მისმა მხატვრობმა ხელმძღვანელებამ სისხლორცეულად შეითვისოს და გაანაცოლოს ჩვენი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენები, მის წიაღში წარმოქმნილი პრობლემები და კონფლიქტები, გაითვალისწინოს თავისი დაისი შემოქმედებითი შესაძლებლობანი და პერსპექტივები.

ჩვენი დრამატული თეატრების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ რეპერტუარში ყოველთვის იყო უმნიშვნელური თარიღებისადმი მიძღვნილი სპექტაკლები, ბევრმა მათგანმა საკავშირო აღიარებაც კი მოიპოვა, მაგრამ ჩვენი დინამიური, მძაფრი ცხოვრება საუბრლოდ თა-

რილებითა და საზოგადოებრივი დღევითი რიონი ამოღებული. ცხოვრება ახალ-ახალ კონფლიქტებს ქმნის, ახალ სინდრელებს წარმოქმნის, რომელთაც ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების და ამ ბრძოლაში წინ მიდის, უფრო მაღლდება სოციალურად და ზეგროვიდად. იმ, ეს ბრძოლა, ეს შექმნა იმ თეატრს ვერ არის სათანადოდ ასახული თეატრების რეპერტუარში. თანამედროვეობის თემაზე შექმნილი პიესები, უბრატესად, ან უხელოესი წარსულის ზნეობრივი ნაკლოვანებების წინააღმდეგ არის მიმართული ანდა სინამდვილეს ემბროტულად ასახვენ. ჩვენი დრამატურგების ყურადღების მიღმა დარჩა ზნეობრივი გმირის პრობლემა, სოფლად მიმდინარე ღრმა სოციალური პროცესები, საზოგადოების გარდაქმნის ღრმად კონფლიქტური საკითხები.

საბოლოო თეატრების რეპერტუარის მეორე ნაკლი მის არასტაბილურობაა. ხშირად რეპერტუარში პიესა კონიუქტურული მოსახრების წყალობით ხვდება, ხოლო როცა ამ კონიუქტურას ყავილი გაუდის, აუცილებელია ამ პიესის შეცვლა (კიდევ კარგი, თუ ეს პიესაც ახალი კონიუქტური არ არის ნაკარნახევი); ანდა მეორე: — შუა სეზონში ირკვევა, რომ რეპერტუარის ორ პიესაზე პარალელური მუშაობა შეუძლებელია — დასი ერთდროულად ვერ სწვდება სამუშაოს (საბოლოო თეატრებს სეზონში უხდებათ 300-320 წარმოდგენის ჩვენება, აქედან, ვასელოთ წარმოდგენებზე მოდის 50%-ზე მეტი. ამიტომ, აუცილებელია პარალელური სპექტაკლების მომზადება); და თეატრის ხელმძღვანელმა ითხოვს ახალი ცვლილებების შეტანას რეპერტუარში.

კულტურის სამინისტროს თეატრალური განყოფილება და სარედაქციო-სარეპერტუარო კოლეგია ყოველწლიურ ცვლილებებზე წინ აღუდგებიან ამ ტენდენციებს, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მინც კომპრომისზე მიდის.

თეატრების რეპერტუარის ფორმირებაზე აბსოლუტურად ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს მწერალთა კავშირის დრამატურგიის სექცია. პირდაპირ ვთქვათ: მას არაფერი თარი ძალა და ავტორიტეტი არა აქვს. ამის გამო სექციას თავს არიდებენ დრამატურგები — ნათქვამი ურჩევნიან საქმე ქონდით სარეპერტუარო-სარედაქციო ურეგისთან ან უშუალოდ თეატრალურ ფაქტორულად ფიქსიანა თეატრალურ საზოგადოებასთან შექმნილი დრამატურგიის კაბინეტი. ამ კაბინეტს არცერთი ახალი პიესისათვის არ გაუწევი არა რეკომენდაცია.

საბოლოო თეატრებზე გარკვეულ ზეგავლენას ახდენენ ე. წ. „ადგილობრივი დრამატურგები“. არცერთ მოძმე რესპუბლიკაში არ ჩნდება იმდენი ახალი სახელი დრამატურგიაში, რამდენიც ჩვენში, მაგრამ სამუხუაროდ, ისინი ერთი სეზონის სტუმრები არიან მხოლოდ. რასაკვირველია, „ადგილობრივი დრამატურგები“ მხოლოდ პირობითი ცნებაა და აქ იგულისხმება მის მიერ შექმნილი პიესის მხატვრული მასშტაბი და ღირსება. თეატრების საზოგადოებრივი ხელმძღვანელები იძულებულნი ხდებიან ანკარის გაუწეონ ამ „ადგილობრივი დრამატურგებს“, რადგან მათთან ერთად, ხშირად, „ადგილობრივი ძალები“ ამოქმედდებიან ხოლმე.

აქ შეურბეებული პოზიცია უნდა დაიკავოს კულტურ-

რის სამინისტროს სარედაქციო-სარეპერტუარო კოლეგიაში, რომლის კისრზეც ვადადის, ფაქტიურად, რესპუბლიკის ყველა თეატრის, მუსიკალური კოლექტივის, ფილარმონიის კოლექტივების რეპერტუარის ფორმირება. ამ საქმეში იგი მართა — მას გვერდში არც მწე-რალთა კავშირის დრამატურგიული სექცია უდგას, არც თეატრული საზოგადოება და არც ჩვენი სალიტერატურო ყურნალები.

საქართველოს კ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება სწორედ ძალთა კონსოლიდაცია და მიზანწინადულ მუშაობას მოითხოვს ყველასაგან „მიზანმიმართული სარეპერტუარო პოლიტიკის“ წარმართვის მიზნით.

„420 — 120“

„რესპუბლიკის ბევრ თეატრში კვლავ მწვევე პრობლემად რჩება კადრების საკითხი“ — ნათქვამია დადგენილებაში, მართლაც, რაიონული თეატრები პროფესიონალური მსახიობებისა და რეჟისორების (განსაკუთრებით: ახალგაზრდების) მწვევე ნაკლებობას განიცდიან. რაიონულ თეატრებში მომუშავე 420 მსახიობიდან მხოლოდ 120-ს აქვს სპეციალური უმაღლესი განათლება.

რამ გამოიწვია ამგვარი ვითარება? აქ მრავალი საკითხია ურთიერის გადაჯაჭვული. უპირველესია ჩვენს ახალგაზრდობაში იდეურ-პოლიტიკური, აღმზრდელიობით მუშაობის შეუსრულება. ახალგაზრდობა თეატრალური ინსტიტუტის კვლევებში პატრიოტული, საქმისადმი სიყვარულის სულისკვეთებით უნდა აღიზარდოს. მას უნდა ესმოდა, რომ სარაიონო თეატრში მუშაობა მისი პატრიოტული ვალია, რომელიც მან ღირსეულად უნდა შეასრულოს, მიუხედავად ყოველგვარი სიძინელისა. მან რომ ცარიელი სიტყვები არაა, კარგად დაამტკიცა ახალგაზრდების იმ გეგვებმა, რომელიც თავის დროზე გაპყვიან ნანა დემეტრაშვილსა და თემურ ჩხეიძეს მესხეთისა და ზუგდიდის თეატრებში სამუშაოდ. მრავალი მათგანი დღეს საყოველთაოდ ცნობილი მსახიობია.

ახალგაზრდა მსახიობთა და რეჟისორთა გარკვეულ წრეებში ერთგვარმა სწრაფობამ განწყობილებამაც მოიკიდა ფეხი, რომელსაც ამთავითვე შეურიგებელი ბრძოლა უნდა გამოუტყხაოდ. ზოგჯერ სამსახიობო ფაქტორების კურსდამთავრებულს, ზოგჯერ სწრაფობის ურთიერება უმუშევარი დარჩენი თბილისში, ან წლების მანძილზე სტატივისტი „როლი“ იკისროს აკადემიურ თეატრებში, უყვითლო მომავლის იმედით. წელი წელს მისდევს, სეზონი სეზონს — როლი კი არ ჩანს! თუ ბედმა გაუღიმა და როლი მიიღო, ამ დროისათვის მისი პროფესიული „აპარატი“ იმდენად დაქვეითებულია, იმდენად „ამორტიზებულია“, რომ ენისობის დაძლევა კი არ ძალუძს და იმ ახალში, როცა მისი შემოქმედება ზენიტში უნდა იყოს ასული, იგი დეკლავიფიკირებულია და თეატრის ხელმძღვანელობა იმუდგებულია გამოემშვიდობოს მას. აქ კი უმწვევესი დრამატული წამი დგება — სად წავიდეს ეს ასაკურთლი „სტატივისტი“ იგი აღარც მსახიობად ვარგა და ახალი პროფესიის ძიება კი გვიანაა. ასეთ ხელმოცარვამდე შეიძლება მივიღოს სწრაფობის ტური ქედმძლიობით გამსკველივი ახალგაზრდა.

მეორე ს მ ზ ხ ი სი არის, რომ თვით სარაიონო თეატრებში დაპყარგეს ავტორიტეტი, ახალგაზრდა მსა-

ხიობს მიაჩნია, რომ ეს თეატრები საინტერესო შემოქმედებითი ცხოვრებით არ ცხოვრობენ, რომ ნაყოფიერი რეპერტუარები, ჯანსაღი მწვევე რესპუბლიკის წარმადეობა დიდი გეგმა არ ქნის შემოქმედებითი ზრდის ატმოსფეროს. ყოველთვის ეს მიქანკურ რუტინას ამკვიდრებს.

ეს მოსახრება ნაწილობრივ მართალია, მხოლოდ ნაწილობრივ, რადგან ისეთ თეატრებში, როგორცაა ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახ. თეატრი (რომელმაც შეინაწინავე წარმატებას მიღწეა მოსკოვში გასტროლების დროს), სოხუმის სახელმწიფო ქართული თეატრი, თელავის, ცოტა უფრო ადრე, გორის, მესხეთის თეატრებში საინტერესო სპექტაკლები იქმნებოდა და იქმნება, მაგრამ სწორედ ამ თეატრებსაც კი არა ჰყავთ მეორე რეჟისორები.

განსაცვიფრებელია ახალგაზრდა რეჟისორთა ინერტულობა მათ კულტურის სამინისტრო სთავაზობს თეატრის მთავარ რეჟისორობასაც კი (მით სთავაზობს აქლევს განახორციელონ თავიანთი თეატრალური იდეები და თვით შექმნან შემოქმედებითი ატმოსფერო), ისინი ამაზე უფრო ამბობენ. რაღა ვასცვირია, რომ უარს იტყვიან დაამდგელო რეჟისორის მრავლობაზე — რომელიც თეატრის საერთო ინტერესებს და მიზნებს ემორჩილება, და ამდენად, მისი დამოუკიდებლობა ერთგვარად შეზღუდულია.

მაგრამ, კიდევ უფრო განსაცვიფრებელია იმ პროფესიულ რეჟისორთა „პოზიცია“, რომლებიც ჩვენს აკადემიურ თეატრებში სეზონების მანძილზე თითო-ორთა სპექტაკლს დაგმენ (გ. ანთაძე, ნ. გაჩაფა, ნ. ხატისკაცო და სხვ.). რაიონის თეატრებს კი სათოფეზე არ ეკარებიათ, მაშინ როცა მათი ცოდნა და პროფესიონალიზმი ძალზე გამოადგებოდათ ამ თეატრებს.

შემთხვევით არ გვიხსენებია ამ ცნება პატრიოტისა. მხოლოდ პატრიოტულ თავგამოდებას, შერწყმულს შემოქმედებითი მოღვაწეობის სურვილთან, შეუძლია დაღალბოს ის სიძინელები, რომლებიც რაიონში ჩასული ახალგაზრდას ხვდება.

რა დასამალია, დაღინებული ცხოვრება არა აქვს რაიონული თეატრების მსახიობებსა და რეჟისორებს — საბინაო ფონდის ნაკლებობა, ხშირი შემთხვევაში ცუდი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სადაცაღმ ხარჯების სიმცირე (1329 მინთამდე საშუალოდ თითო დადგამზე — აქ შედის — თუ მოწვეული არიან — მხატვრისა და კომპოზიტორის პონორატი) მრავალი ვასეთი სპექტაკლი, მყუერების ნაკლებობა (განსაკუთრებით ზამთრობით, როცა ცივ დარბაზში რამდენიმე „პალტოიანი ენთუზიატი“ ზის), ზემდგომი პარტიული და სახელმწიფო ორგანოების შესუსტებელი ყურადღება, ყოველთვის ეს, და კიდევ ბევრი სხვა რამ „წყვილობანი“ შემოქმედებითი და ჩვეულებრივი, — ადამიანური ცხოვრების თვალსაზრისითაც კი — არ ქნის იმგვარ ატმოსფეროს, რომ ახალგაზრდობა, მსახიობთა რეჟისორის მიხსწრადღეს რაიონულ თეატრში. ყველა ეს პრობლემა მთელს პრინციპულობითაა წამოპრილი საქართველოს კ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ და დასახლებული კონკრეტული გზები მათ დასაძლევადა.

ჩვენ აქამდე ვლაპარაკობდით მხოთვე, ვინც არ მიდის სამუშაოდ სარაიონო თეატრებში, გაურბის სიძინელებს,



თავს არიღებს პროფესიულ შრომას. მაგრამ რას ვაეთებთ იმითვის, ვინც, ყოველგვარი სიმძნელის მუყენავად, მინც მუშაობს, იღვწის, არა დადივდეთ მატერიალურ ხელმოკლეობას, ღამის ორ-სამ საათზე ვასვლით სპექტაკლიდან დაბრუნებული დილის თერთმეტ საათზე რეპეტიციანზე, რათა საღამოს ხუთ-ექვს საათზე კვლავ ჩაქდეს მონაღრეულ „უპანენცი“ და სოფლის კლუბისკენ თუ რაიონის კულტურის სახლისაკენ მიმავალ გზას დადივს.

ბევრი გაკეთდა, მაგრამ ვაცილებით (გაცილებით!!!) ბევრია ვასაკეთებლი.

ჩატრად მსახიობთა და რეჟისორთა რესპუბლიკური ტაროფაკია და უპირატესად, ვაიზარა მათი ხელფასი, გამწყობდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (მესხეთის ახალ თეატრს მიემატა კაპიტალურად გარემონტებული ქუთაისის, გორის, კიათურის, ცხინვალის, ზუგდიდის თეატრები — თუმცა, სამწუხაროდ, მშენებელი ორგანიზაციითა დაუდევრობის გამო, სრულ კონდიციამდე მათ ბევრი უშლიათ), თელავი დამშენდა შესანიშნავი თეატრით, სოხუმი დამწყობ ქართული სახელმწიფო თეატრის მშენებლობა (მშენებლობის დამთავრებამდე დამი იმუშავებს „აანსი“ მშენებნიერ, ახლად აგებული საკონცერტო დარბაზში), მრავალ თეატრს გამოეყო ავტომატანებები (დადგენილება ამ მიმართულებით დიდ დახმარებას ითვალისწინებს). ერთი სიტყვით, სახელმწიფოებრივი ხაზით ბევრი მნიშვნელოვანი, სასიკეთო ძეგა მოხდა...

მაგრამ რა ვაკეთა ჩვენმა საზოგადოებამ, თეატრალურმა საყაროებმ რაიონული თეატრების მუშაობის ვასაუმჯობესებლად?

რას მოითხოვენ ჩვენგან საქალკო და სრაიონო თეატრების მუშაკები?

ყურადღებას! შრომის ღირსეულ დაუასებას!  
რა ვაკეთეთ ჩვენ? — ბევრი ვერაფერი, ყოველ შემთხვევაში, სასიქადულო საქმეებით ვერ მოვიწონებთ თავს.

რაიონული თეატრების სპექტაკლების სანახავად იშვიათად ჩადიან ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები, მწერლები, თეატრმოდენები, კრიტიკოსები, მხატვრები, კომპოზიტორები (აქ არ ვახსენებ კულტურის სამინისტროს რედაქტორებსა და ინსპექტორებს, რომლებიც სპექტაკლის მიღებაზე ჩადიან: ეს მათი სამსახურებრივი მოვალეობაა). ამიტომაც, იშვიათად ეწყობა სპექტაკლების განხილვები. ე. წ. „ადგილობრივი“ მსახიობი თუ რეჟისორი კი პირდაპირ მოწყურებულია პროფესიულ საუბარს, იშვიათად იბეჭდება წერილები ჩვენს ყურნალ-ვახუტებში, ასევე იშვიათად გადაიქცევა შემოქმედებითი პორტრეტები — სპექტაკლები ტელევიზიით (უკანასკნელ ხანს ვახ. „კომუნისტი“ და ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახ. კომიტეტი — საქამო ყურადღებას უთმობენ მათ).

თბილისში მომუშავე მსახიობის ასპარეზი დიდია (მასთან შეფარდებით შრომითი ანაზღაურებაც): რადიო, ტელევიზია, კინოვადლება, კინოგანმავანება, კონცერტები ფიარამონის ხაზით და ა. შ. რაიონში მომუშავე მსახიობი ყოველივე ამას ფაქტიურად მოკლებულია, მას აკლია დედაქალაქის მაყურებლის თვალ. თეატრალურმა საზოგადოებამ „მეგობრობის თეატრის“ ხაზით

ამ რამდენიმე წლის წინათ სრაიონო თეატრის რაიონული სპექტაკლი ჩამოიტანა. ეს იყო დიდი სტრუქტურული, სამწუხაროდ, ამ ღონისძიებას თეატრალურად განხილვად ვერ შეუქმნა მკვიდრი ტრადიცია და იგი საერთოდ მოიშალა. საზოგადოება ადრე ხშირად აგზავნიდა და სპეციალისტთა ჯგუფებს სპექტაკლების განსახილველად — არც ამას აქვს ახლა სისტემატური ხასიათი.

საქალკო და სრაიონო თეატრების მუშაობას ძალიან გამოაცოცხლენდა ჩვენი სახელოვანი მსახიობებისა და რეჟისორების შემოქმედებითი კონტაქტები, მათი უშუალო მონაწილეობა სპექტაკლებში. საქ. კულტურის სამინისტრომ ჯერჯერობით ვერ მოახერხა თბილისისა და რაიონული თეატრების პერსპექტიული და მიმდინარე რეპერტუარის იმგვარი კოორდინაცია, რაც შესაძლებელს ვახდიდა აკადემიური თეატრის მსახიობების სისტემატურ მონაწილეობას სპექტაკლებში და პირუქუ, რაიონული თეატრის მსახიობის გამოსვლას დედაქალაქის სცენაზე.

მთვრეო — ჩვენ გვეყვას სახელოვანი, დიდი ნიჭისა და გამოცდილების რეჟისორები, რომელთაც მთელი თავიანთი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე არცერთი სპექტაკლი არ დაუდგამთ საქალკო თუ სრაიონო თეატრებში (და ალექსიძე, თ. თუმანიშვილი, რ. სტურუა). რასაკვირველია, ყველას გვეამყავება, როცა ისინი შესანიშნავ სპექტაკლებს ქმნიან მოსკოვისა თუ საზღვარგარეთის სცენებზე, მაგრამ რაიონული თეატრები ხომ ჩვენი ერთგული თეატრალური ხელოვნების განუყოფელი ნაწილია წარმოადგენია, როგორ გამოაცოცხლებს დიდი მსახიობებისა და რეჟისორების მონაწილეობა რაიონის სტუდიურ ცხოვრებას, როგორ გამოადგებათ იქაურ თეატრებს შემდგომ მუშაობაში, რა ინტერესს ვაუღვიძებს მაყურებელს და რა მკვირად შემოაბრუნებს მას თეატრისაკენ, როგორ შევსკის რაიონის ხელმძღვანელობის დამოკიდებულებას თეატრისადმი!

ეს თეატრები „სტუდიურ და კულტურულ“ ცენტრებად მხოლოდ მაშინ ვადიქცივინ, როცა ისინი საყოველთაო ყურადღებას ცენტრში მოექცივიან, ვახუყვეტული ზრუნვის ობიექტი ვახდებიან.

უეჭველია, რომ ამგვარ ყურადღებასა და ზრუნვას ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილისაგან მოკლებულია საქალკო და სრაიონთაშორის თეატრები. ახლა ვნახო, რა ყურადღებას იჩენს „ადგილობრივი“ საზოგადოება, პარტიული და სახელმწიფო ორგანოები. „სათათნად ყურადღებას არ აქცივენ თეატრის საქაროველოს კომპარტიის საოლკო, საქალკო და რაიონული კომიტეტები. ზოგიერთი პარტიული ხელმძღვანელი ჯეროვანად ვერ აუასებს თუ რა მნიშვნელობა აქვს თეატრს, როგორც მშრომელთა იდეურ-ეთეატკური, სტუდიური და ზნეობრივი აღზრდის მნიშვნელოვან როლს.

პარტიის რაიონული და საქალკო კომიტეტების ბიუროები იშვიათად იხილვენ თავიანთ სხდომებზე თეატრალური ცხოვრების საკითხებს“.

მწარე სიმართლეა მიითმეტეს, თუ ვაკითვალისწინებთ თუ რა ქმედითი როლის შესრულება შეუძლიათ ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებს თეატრის ავტორიტეტის გაზრდის საქმეში.



უშუალოდ ქალაქკომისა თუ რაიკომის პირველი მდივნები უნდა დადიოდნენ თეატრში, უნდა ზრუნავდნენ მისი იდეურ-მხატვრული დონის შემდგომი აღმავლობისათვის, რა დასამალია: თუ რაიონის პირველი თავაკაი გულწრფელადაა დაინტერესებული თეატრით — ნებისა თუ უნებლიეთ, ეს პიროვნული დაინტერესება უმალ ლეზულობს საზოგადოებრივ მასშტაბს. თეატრი ხომ პარტიის პოლიტიკის ყველაზე აქტიური გამტარებელია, იგი ზრდის, აყალიბებს ახალ ადამიანს — კომუნისტური და ინტერკლასიკული სულისკვებით. თეატრი პარტიის იარაღია! მამ, პირველ რიგში ვინ უნდა იყოს დაინტერესებული, რომ ეს იარაღი იყოს ბასრი, ბრძოლისათვის შემსაბუთელი თუ არა პარტიული ორგანიზები?!

ზოგჯერ ხელმძღვანელს თეატრი მხოლოდ მაშინ გაასხენდება, როცა რაიმე პარტიული ან პოლიტიკური დონისძიება ჩასატარებელი რაიონში. სწორედ მაშინ იწყება ხოლმე თეატრის ე. წ. „კოსმეტური რემონტი“, რომლის ხარისხი სრულიადაც არ არის სამაგალითო.

ქართული თეატრის ისტორია და დღევანდელია ადსატურებს იმ ჰქმნა რიტებს, რომ თეატრალური კულტურა მარტო და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ხალხის სულიერ ცხოვრებაში მაშინ, როცა ხელოვნების მუშაებს მხარში უდგანან ხელმძღვანელი პარტიული ორგანოები (ქუთაისისა და მესხეთის თეატრებს დაეასახელებთ ამჯერად). იგივე ისტორია სამწუხარო გავეთილებსაც ვეთავაზობს. ცხინვალის თეატრის ოსური დასის 16 ახალგაზრდა, რომლებმაც მოსკოვში დაამთარეს უმაღლესი სასწავლებელი, იმის გამო, რომ ბინებში არ იქნენ უზრუნველყოფილი, სხვადასხვა თეატრში გადაიხტა. (თავის დროზე ვერც ზუგდიდში ჩასულ გულმამოთარეს). ის შედგავთები, რომლებიც პარტიისა და მოავლობის დადგენილებით ვრცელდება რაიონში მომუშავე ახალგაზრდა სპეციალისტებზე, რატომღაც უფულეებულყოფილია შემოქმედებით ახალგაზრდობის მიმართ. რასაკვირველია, ერთბაშად ჰირს ყველა მსურველის ბინით დაკავყოფილება, მაგრამ წინასწარი პროგრამირება ამ საქმეში შესაძლებელია.

ფრიალ სასიკეთო აღმოჩნდა საქ. კულტურის სამინისტროსა და თეატრალური ინსტიტუტის რექტორატის ერთობლივი გადაწყვეტილება მიზნობრივი გულმამოთარების თაობაზე. სწავლების ამ პროცესის უპირატესობა ისაა, რომ კურსდამთავრებულთა გულმამოთარე (რომელიც ადგილზეა შერჩეული სპეციალისტების მიერ) მზადდება კონკრეტული თეატრისათვის. ოთხი-ხუთი წლის მანძილზე თეატრს საშუალება აქვს იზრუნოს კურსდამთავრებულთა გულმამოთარეს სათანადო მიღებისათვის. მეორე უპირატესობა ისაა, რომ ეს გულმამოთარე მომზადებული ორი-სამი სპექტაკლით შეერწყმის თეატრის შემოქმედებითს ცხოვრებას. უკანასკნელი წლების პრაქტიკამ დადასტურა ახალგაზრდა კადრების მომზადების ამგვარი ფორმის მიზანშეწონილობა. მომავლისათვის საჭიროა თეატრალურმა ინსტიტუტმა სრულყოფილ კურსდამთავრებულთა ადგილებზე განაწილებისა და დამკვიდრების სისტემა.

რაიონის თეატრების მოღვაწეობის მასშტაბის გაზრდის მიზნით ჯერ კიდევ 1970 წელს საქართველოს კენცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება რაიონული თეატრების სარაიონთაშორისო თეატრებად გადაქმნის თაობაზე. ამით თეატრებს საშუალება ეძლეოდათ მოეცათ ახლომდებარე რაიონების მოსახლეობა, გეგმაზომიერად გაემართათ სპექტაკლები როგორც სტაციონარზე, ასევე ვარვით. ეს, ჯერ ერთი, ზრდის თეატრის პასუხისმგებლობას გაეცლებით დიდი აუდიტორიის წინაშე, აძლევდა მას საშუალებას რეპერტუარის გამრავალფეროვნებისა და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ზრდიდა თეატრის მატერიალურ შემოსავალს. სამწუხაროდ, დროთა განმავლობაში, ეს დადგენილება მივიწყებული იქნა როგორც მომთხროვე რაიონების პარტიული ორგანოების, ასევე თეატრების მიერ. ამით ორივე მხარე დაზარალდა, ერთის მხრივ, რაიონი მოსწყდა თეატრს, მეორეს მხრივ, თვით თეატრმა დაკარგა მყურებელი, შეიზღუდა მისი მოღვაწეობის ასპარაზი.

საქართველოს კენცენტრალური კომიტეტის ახლანდელი დადგენილება კიდევ ერთხელ შეგვახსენებს ამ დიდ-მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების შესრულების აუცილებლობას.

დადგენილებაში ნათქვამია: „რესპუბლიკის თეატრალური ცხოვრების საკითხების გაშუქებაში უმნიშვნელო როლს ასრულებს მხატვრული კრიტიკა. რესპუბლიკური პრესა, რადიო, ტელევიზია ნაკლებ ყურადღებას უთმობენ საქალაქო და რაიონული თეატრების საქმიანობას“. საზოგადოებრივი აზრის დარაზმებაში სწორედ მასობრივი ინფორმაციის ამ საშუალებებს შეუძლიათ შეასრულონ გადაწყვეტი, მორგანიზებული როლი.

ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“ თავის მხრივ ეცდებოდა უფრო ფართოდ გააშუქოს საქალაქო და რაიონული თეატრების შემოქმედებითი ცხოვრება, მისი პრობლემები, მისი წარმატებანი თუ წარუმატებლობანი.

ჟურნალი თავის ტიპისა და დამთავრების რაიონში მომუშავე რეკისორებს, მსახიობებს, თეატრალურ მოღვაწეებს — მათი მოღვაწეობის უფრო თვალსაჩინო წარმოდგენის მიზნით.



უმთა  
რუსთაველის  
სახელობის  
ლენინის  
ორდენოსანი  
სახელმწიფო  
აკადემიური  
თეატრის  
ასი  
წელი


უმთა რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური თეატრის იუბილე თავისი მნიშვნელობით და მასშტაბით შორს სცილდება საკუთრივ თეატრთან დაკავშირებულ საზღვრო ღრესსა-წაულს. ამ თეატრის ხელოვნება არის გამომხატველი ქართველი ხალხის მიერ სახელოვნად განვლილი ისტორიული გზისა, ჩვენი ეროვნული კულტურის განვითარების უმნიშვნელოვანესი ეტაპებისა.

მთელი საუკუნის მანძილზე ეს თეატრი საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიური მონაწილე იყო;

მისი მეტროპოლი, პატრიოტული, ინტერნაციონალური სულისკვეთება და პუბლიკური იდეალებისადმი თავდადება სამაგალითოა.

ქართული სცენიდან ისმოდა მართალი და მგზნებარე სიტყვა, რომელიც აფხიზლებდა ერს, განამტკიცებდა მის ერთობას, სულიერად და ესთეტიკურად ამალვებდა, ზნეობრივად სწმენდდა, უღვიძებდა ეროვნულ თვითშეგნებას, მოუწოდებდა უყვეთსი მერმისისათვის ბრძოლისაკენ.

1879 წელს აღდგენილი და განახლებული ქართული თეატრი — ანუ ქართული დრამა — როგორც მაშინ უწოდებდნენ, — თავიდანვე დიდ საზოგადოებრივ და სახელოვნო ამოცანებს შეეჭიდა. მისი განახლების, აღდგენის იდეა უკვე გულისხმობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ფარვატერში დგომას. ეს ბუნებრივად იყო, რადგან მისი აღდგენის მოთავენი სწო-



რად ამ ისტორიული ბრძოლის ლიდერები იყვნენ. ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ივანე მაჩაბელი არა მხოლოდ ქართული თეატრის მშენებლები იყვნენ, არამედ მისი იდეური მიმართულების განმსაზღვრელებიც. გზის გამკვლევნი ცხოვრების რთულ პერიპეტეიებში. ქართული თეატრი მათთვის იყო საზოგადოებრივი კათედრა, პოლიტიკური პლატფორმა, სიდანაც ერი უნდა დაემოდებრათ, აღეზარდათ, შთაენერგათ მისთვის დროის შესაფერისი, განმაახლებელი იდეები, რომლის მეოხებითაც უნდა განეითარებინათ კულტურა, განათლება და შეენარჩუნებინათ მშობლიური ენა.

ქართული თეატრი — რომლის მემკვიდრეა დღევანდელი რუსთაველის სახელობის თეატრი. — ყოველთვის თავდადებით ემსახურებოდა ამ საერთო-სახალხო ეროვნულ საქმეს, რადგან მისი დროშა მუდამ ღირსეულ მამულიშვილებს ეკურათ ხელთ. მეცხრამეტე საუკუნეში ეს ის ჩაღსდერი დროშა იყო, რომელიც დავით ერისთავის „სამშობლოში“ შემოქმენდათ, ხოლო მეოცე საუკუნეში კი ის წითელი დროშა, რომელიც თეატრის ქანდარდან სცენაზე ეშვეებოდა სანდრო ახმეტელის სპექტაკლში „რღვევა“.


მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს მთელი პანორამა უჩვენა ქართულმა თეატრმა — თავისი დრამატული კონფლიქტებით, იმედებით, დაკემით, ბრძოლით, ცხოვრების სიდუხჭირით, ხალხის წიაღში გაღვიძებული რევოლუციური სულით. იგი წინ იყურებოდა, მომავალს

იმედის თვალთ შესიკეროდა, მაგრამ არც თავის სახელოვან წარსულს ივიწყებდა, რადგან ამ წარსულში იგი პოულობდა გმირებს თავისი შთაგონებისათვის.

ქართველი ხალხის შეუღრეველ სულს, ცხოვრების ტრაგიზმში წვდომას, მის მებრძოლ, ვაჟკაცურ ბუნებას განასახიერებდა ლადო მესხიშვილის ხელოვნება, ხოლო ცხოვრების ოპტიმისტურ ცხოველმოსილებას, იუმორს, ბუნებრივ ხალისიანობას — ვასო აბაშიძის კომედიური ნიღაბი. ეს თეატრი წეით, ბრძოლით, თავდადებით გადარჩენილი, თავისი მხრებით ზიდეს და მეოცე საუკუნის კარიბჭესთან დადგეს მისი დაზარალო შენობა ჩვენი სცენის გამოჩენილმა კორიფეებმა, რომლებმაც პატიოსნად მოიხადეს ვალი ქვეყნისა და ეროვნული კულტურის წინაშე. ამ თეატრს სკირდებოდა ახალი სულის შთაბერვა, აღორძინება, მაგრამ საქართველოს მენშევიკურმა ხელისუფლებამ სწორედ მაშინ ჰკრა თეატრს ხელი, როცა შეშველება სკირდებოდა, სწორედ მაშინ აქცია ზურგი, როცა მზრუნველობას ელოდა. ეს იყო არა მხოლოდ ქართული თეატრის დაღატი, არამედ დაღატი ეროვნული კულტურისა.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ქართული თეატრი ოქტომბრის რევოლუციამ იხსნა კატასტროფისაგან. ერთ-ერთი პირველი, რაც საბჭოთა საქართველოს მთავრობამ გააკეთა, ეს იყო თეატრალურ ხელოვნებაზე სახელმწიფო მზრუნველობის გაგრეცლება და ქართუ-

კოტე მარჯანიშვილი



ლი დრამის თეატრისათვის შოთა რუსთაველის სახელის მინიჭება.


ეს უზარმაზარი მნიშვნელობის ფაქტია, ამით საბჭოთა ხელისუფლებამ დაანახვა მთელ ხალხს, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდა იგი ქართულ თეატრს, რა მისიას აკისრებდა მას, რა სიმამლევებისაყენ მოუხმობდა.

ქართული საბჭოთა თეატრი, რომელსაც სათავეში დიდი ქართველი რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი ჩაუდგა, კეშმარტად რევოლუციის თანახმიერი აღმოჩნდა. მისმა პირველმავე სპექტაკლმა ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყარომ“ განსაზღვრა თეატრის იდეური და მხატვრულ-ესთეტიკური მიმართულება. ქართული თეატრი ძირფესვიან რეფორმას საჭიროებდა — მტკიცედ, ნათლად უნდა გარკვეულიყო მისი სარეპერტუარო პოლიტიკა და ასევე მკვეთრად განსაზღვრულიყო ამ რეპერტუარის შინაარსობრივი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტენდენციები. მაგრამ ეს იყო საკითხის ერ-

თი მხარე, ვინაიდან განახლებული რეპერტუარი და მისი აქტუალური, იდეური მიმართულება ამ თეატრს თანამედროვედ ვერ გადააქცევდა. აუცილებელი იყო ახალი თანამედროვე თეატრალური ფორმების თეატრი.

ასეთი თეატრი შექმნა კოტე მარჯანიშვილმა! ხუთი-ექვსი თეატრალური სეზონის მანძილზე. რუსთაველის სახელობის თეატრმა ევროპულ დონეს მიაღწია და საბჭოთა კავშირის საუკეთესო თეატრებს ამოუდგა მხარში. ეს თეატრი თავისი ბუნებით მკვეთრად ღირსეურობა, სადაც მუსიკა, მხატვრობა, სიტყვა, მოქმედება ერთ მთლიანობაშია და პოეტურ განწყობილებას გამოხატავს. ეს თეატრი ოპტიმისტურია, სიცოცხლით სავსე, დინამიური, კონტრასტული. კ. მარჯანიშვილი დაეყრდნო ქართველი მსახიობის მრავალმხრივ ნიქს, ყველაფერს, რაც საუკეთესოა ქართულ ყოფაში, კულტურაში, ხელოვნებაში, ზემოწინა ისინი, ორგანულად

სანდრო ახმეტელი



შეუთავსა ერთმანეთს, გაამთლიანა და რევოლუციური, განახლებული საქართველოს სული შთაბერა მათ.


მან პირველმა მოგვცა შესანიშნავი მაგალითი დრამატურგიის კლასიკური ნიშუშების თანამედროვე ადაპტაციისა, რომელიც შემდგომ რუსთაველის თეატრმა კიდევ უფრო გააღრმავა და განავრცო.

რუსთაველის სახელობის თეატრმა თავისი შემოქმედების ახალ, მაღალ საფეხურს მიაღწია სანდრო ახმეტელის ხელმძღვანელობით, რომელმაც განავითარა, თავისებური, უაღრესად ორიგინალური სახე მიანიჭა კოტე მარჯანიშვილის მიერ ახლად საფუძველჩაყრილ ტენდენციებს.

სანდრო ახმეტელის დროს რუსთაველის სახელობის თეატრი საბოლოოდ ჩამოყალიბდა როგორც გმირულ-რომანტიკული, პეროიკული თეატრი. მისი სპექტაკლების მთავარი გმირი გახდა რევოლუციური მასა, პროგრესისათვის მებრძოლი, ერთი მთლიანი იდეური მიზან-

სწრაფვით გაერთიანებული კოლექტივი, რომელიც თავისი წიალიდან გმირებს, ლიდერებს წარმოქმნის. მასისა და ინდივიდის (გმირის) განწყობილება მონოლითურია, მოქმედება ერთი მიზნისაკენ მიმართული. მკვეთრი რიტმი, ზუსტი პლასტიკა, გამომსახველი ფესტი, ზეაწეული თეატრალიზა შინაგან პათოსს ეყრდნობა, რომელიც, თავის მხრივ, იდეური მიზანდასახულობით არის განპირობებული. რუსთაველის თეატრს საერთო საკავშირო აღიარება მოუპოვა რევოლუციური, რომანტიკული სულით გამსჭვალულმა სპექტაკლებმა: „რღვევა“, „ანზორ“, „ყაჩაღები“, „თეთნულდ“. სანდრო ახმეტელის ხელმძღვანელობით 1930 წელს რუსთაველის სახელობის თეატრი პირველად გაემგზავრა მოსკოვს — ნაციონალური თეატრების საკავშირო ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად. ამ ფესტივალზე თეატრმა უდიდესი წარმატება მოიპოვა და მის სპექტაკლებს ძალიან მაღალი შეფასება მისცეს საბჭოთა კუ-

აკაკი ვასაძე



ლტურის უთვალაწინოესმა მოღაწეებმა, თეატრალურმა კრიტიკოსებმა, ვახ. „პრავედამ“, „რევესტიამ“, დასავლეთ ვეროპის მრავალმა გაზეთმა თუ ჟურნალმა.

1930 წლიდან მოკიდებული დღემდე რუსთაველის სახელობის თეატრმა მოსკოვში თერთმეტი სრული, ე. წ. რეპერტუარული გასტროლი გამართა.

რუსთაველის სახელობის თეატრის შემოქმედება, მისი ძიებანი თეატრალური გამომსახველობის სფეროში საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა, ხოლო ს. ახმეტელის სახელს რუსული საბჭოთა თეატრების კორიფთა გვერდით იხსენიებდნენ.

1932 წელს კ. ს. სტანისლავსკი ამიერკავკასიის რესპუბლიკების ხელოვნების მუშაკებისადმი გაგზავნილ მისალმებაში აღნიშნავდა ნაციონალური კულტურების უჩვეულ განვითარებას და ხაზგასმით ამბობდა შემდეგს:

«Мы слышим, как сотни кружков и десятки театров пытаются овладеть законами сцены для того, чтобы через свое мастерство служить выдвинувшему их народу. Многие из этих попыток, в особенности в грузинском искусстве, получают общесоюзное значение, привлекают внимание всех советских работников искусства» (К. С. Станиславский. Статьи, Речи, Беседы. Письма, «Искусство», М., 1953 г., стр. 303).

ამ პერიოდში შექმნილი სცენური სახეები ა. ხორავას — ბერსენევი, ანზორ, კარლ შოროი, ა. ვასაძის — ფრანც შოროი სამუდამოდ შევიდა საბჭოთა თეატრის ანალებში.

რთული, წინააღმდეგობებით სავსე გზა გაიარა რუსთაველის სახელობის თეატრმა ს. ახმეტელის თეატრიდან წასვლის შემდეგ. ამ პერიოდში ბევრი რამ გაეცთა და რეპერტუარის გაფართოების, თეატრის გამრავალფეროვნების თვალსაზრისით, თეატრი აქტიურად ემბ-

ურებოდა ჩვენი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენებს — ქვეყნის კოლექტივიზაციას, ინდუსტრიალიზაციას, დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებს. ასახავდა უმძაფრეს სოციალურ გარდაქმნებსა და კონფლიქტებს. მის რეპერტუარში მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა თანამედროვე ქართულმა, რუსულმა და მოძვე ერების საბჭოთა პიესებმა, კლასიკურმა დრამატურგებმა. აღსანიშნავია თეატრის რეპერტუარის ქანობრივი პალიტრის სიმდიდრეც: ტრადიციული გმირულ-რომანტიკული პიესების გვერდით მტკიცედ დამკვიდრდა ტრაგედია, ე. წ. მაღალი კომედია, დრამა, ტრაგიკომედია.

თეატრი ცდილობდა კვლავ შეენარჩუნებინა რუსთაველის თეატრის შემოქმედებით-სტილისტური მთლიანობა, მისწრაფოდა მოვლენების მასშტაბური ასახვისაკენ, განამტკიცებდა პოლიტიკურ-იდეურ ხაზს. ამ პერიოდში დაიდგა ისეთი მნიშვნელოვანი, საეტაბო სექტაკლები, როგორებიც იყო „ოტელო“ და „დიდი ხელმწიფე“, სადაც ახალი ძალით გამოვლინდა ა. ხორავას განუმეორებელი ტრაგიკული ტალანტი (ოტელო, მეფე ივანე), ა. ვასაძის მრავალმხრივი, პოლიფონიური ნიჭი (იავო, შუისკი). ამ სექტაკლებმა ცხადყვეს თეატრის დიდი შემოქმედებითი შესაძლებლობანი, ტრაგიკულ კოლიზიებში დრამა წვდომის უნარი. სიმდიდრე პალიტრისა, რომელსაც კვლავ ჰქონდა შენარჩუნებული ინტენსიური, მსუყე ფერები.

მაგრამ, რეტროსპექტიულად აღვადგენთ რა თეატრის მთელ შემოქმედებით ცხოვრებას, ისტორიული დისტანციის სიშორიდან ვაფასებთ რა მის ყველა წარმატებასა თუ წარუმატებლობას არ შეგვიძლია არ შევნიშნოთ, რომ რუსთაველის სახელობის თეატრის გმირულ-რომანტიკული სტილის პეროიკულ მიმართულებას მძაფრი შემოქმედებითი კონფლიქტები არ უყვება და ხშირად აღკრისულ სიტუაციაში მოაქცევდა, თეატრი დაადაგა სტილიზირების, ფორმის იმიტირების, დამკვიდრე-

ბული ფორმალური ტრადიციების შექმნილი გამოცდების გზას. ყველაზე დიდი საშეშრება იყო ის, რომ იგი თავისივე სახელოვანი წარსულის ეპიგონის როლში არ გამოხდებოდა. თუმცა თეატრი კვლავ რჩებოდა ერთგული — ფორმალური მინც — ს. ახმეტელის გმირულ-რომანტიკული თეატრისა, მაგრამ უმეტეს წილად. ეს თეატრალური ფორმა ხელოვნურად, ინერციით განაგრძობდა არსებობას. „თავს ეხვეოდა“ იმ მონარსს, რომელიც ამგვარ ფორმას არ მითხოვდა, უცხი იყო მისთვის. ეს სტილისტური რეპრეზენტატიული-პერიოდიკული თეატრის მისსავე ანტიპოდში გადახრდიდა.

რასაკვირველია თეატრის მესვეურები, გამოჩენილი თეატრალური მოდელის გრძობდნენ ამ წინააღმდეგობას, ხელოვნებისათვის დამღუბველ ამ შეუსაბამობას და ყოველნაირად ცდილობდნენ ამ ჩადოსნური რკალის გარღვევას, აქედან — ძიება ახალი რეპერტუარისა, ენერჯის სიახლეებისა (შესანიშნავი იყო დ. ალექსიძის ფეიერვერკული კომედია, გოლდონის „საპატარალო ამინი“), მაგრამ ეს არ ემართა. აუცილებელი იყო ძირფესვიანი გარდაქმნა, თეატრის ესთეტიკის განახლება, ახალი სტილისტური, თეატრალური, გამოსახვეული საშუალებების ძიება, შესაბამისი დრამატურგიის აღორძინება რეპერტუარში. სირთულე იმაში მდგომარეობდა, რომ თეატრს ტრადიციურად არ ეთქვა უარი თავისი საუკეთესო ტრადიციებისათვის, იმ მონაპოვრისათვის, რომელმაც რუსთაველის სახელობის თეატრს თავისი განუყოფელი ავადი დაუმკვიდრა საბჭოთა თეატრების მოწინავე კოორტაში.

ეპოქის მოწინავე ბოზიციებზე დგომა, ცხოვრების უნიშვნელოვანესი ტენდენციების გამოხატვა, დიდი კონფლიქტების ასახვა, ადამიანურ ვნებათა თეატრალური ფორმა — აი, მოკლედ — ეს ტრადიცია, რომელიც დროის ახალ ესთეტიკურ მითხვენილებათა შესაბამისად უნდა აეღრებოდა.

დ. ალექსიძის მიერ დადგმულმა სპექტაკლებმა „ოიდიპოს მეფემ“ და „ბახტრიონმა“, ახალი ნაკადი შეიტანეს თეატრის ცხოვრებაში. ამ სპექტაკლებმა საკვაშრო აღიარება მოიპოვეს და რუსთაველის თეატრის შერყეული რკაუტაცია კარგა ხნით აღადგინეს. ორივე სპექტაკლში ტრადიციული კოლიზია უაღრესად მძაფრად იყო გამოხატული. მასობრივი სახალხო სცენები, რელიგიური რიტუალები, შინაგანად დამუხტული მოძრაობა პარამიონულად იყო ამოზრდილი ტრადიციული წინააღმდეგობით სავსე, ემოციური მუსიკიდან. შესანიშნავად დადგმული მასობრივი სცენები ავტონომიური კი არ იყო, ანუ მასა სპექტაკლის მთავარი გმირი კი არ იყო, არც უბრალო ფონი, არამედ სცენური კანონებით შექმნილი ცხოვრება, რომელიც რელიგიურს ხდიდა გმირების ტრადიციულ ვნებათა ლეღვას, ადამიანური არსებობის აზრის ძიებას, ხალხისა და გმირის ცხოვრების განუყოფლობას. აქ ადამიანის ტიტანური ბრძოლა ბედისწერის წინააღმდეგ არსდა არ გადადიოდა ცრუბათეტიკაში, თუმცა, ამ გმირებს არც ბათეტიკა აკლდათ და არც სილიადე. ა. ხორავას — ოიდიპოსი, ს. ზაქარაიძის — ოიდიპოსი და ქადაგი თავიანთი უკომპრომისო ცხოვრებით, ტანჯვათა გავლის გზით სულიერად ამაღლებ-

და მაყურებელს, განუტკიცებდა რწმენას პიროვნული თავისუფლების საყოველთაო ხასიათზე.

ამ სპექტაკლებით პერიოდიკული-რომანტიკული მისთვის შესვლის ღირსებით გამოთხოვდა წარსულს, ანუ გმირული სვედლით მოკვდა.

ფაქტურად დამთავრდა თეატრის ცხოვრების დიდი და სახელოვანი პერიოდი ელსავსე თვალსაშობურული წარმატებებით, საყოველთაო აღიარებით, ბრძოლით, მკვეთრი ჩაგადრებით. ადამიანური ტიპიულებითა და კონფლიქტებით. მაგრამ ამ დროისთვის უკვე შემოქმედებითად საესებით მოწიფდა ის თაობა, რომლის თეატრში მოყვანაზე იმთავითვე იზრუნა ა. ხორავამ — თეატრის ლიდერმა, რომელიც თავის თავში, თავის შემოქმედებაში ატარებდა წარსული თეატრის ყველა საუკეთესო თვისებას. სწორედ მისი მხარდაჭერით და მფარველობით მომზადდა მ. თუმანიშვილის „ადამიანებო, იყავით ფხიზლად“, ეს სპექტაკლი-მანიფესტი, რომელმაც ცხადყო თეატრის სტილისტიკის, მთელი მისი ესთეტიკის განახლების აუცილებლობა. ამგვარად, თვით თეატრის წიაღშივე, მის ნიადაგზე აღმოცენდა ახალი სიცოცხლის მუწყეხელი ნერგი, მაშინ როცა ჯერ კიდევ თითქოსდა მძლავრად ჰქონდა გაშლილი ტოტები ევრეთწოდებულ გმირულ-რომანტიკულ თეატრს და რეალური, საპირისპირო ძალა არ ჩანდა. ფურჩიკის განსაუვიფრებული სისადავით და სიმართლით დაწერილი „რეპორტაჟი სახრზობელიდან“ ამ სპექტაკლის საფუძვლად იქცა. აქ მ. თუმანიშვილმა დაინახა და შეძლევ სცენა-

შოთა აღსაბაძე





1905 წლის რევოლუციის დამარცხებით გამოწვეულმა პოლიტიკურმა რაქციამ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა უბანზე იჩინა თავი. ეს წლები იდეოლოგიურ სფეროში იდეალიზმითა და რელიგიური თეორიებით — მისტიციზმით, უნიმედობა, მიღმა სამყაროსკენ მისწრაფება — ვატაკებით ხასიათდება. ხელოვნებაში, ერთის მხრავ, ბელვარული უხამსობა, მეორეს მხრივ — დეკადანსი, რეალიზმის პრინციპების რეუხია.

მოქალაქეობრივ პრინციპებზე აგებული, ქვეყნის სპირიტორტო საზოგადოებრივ პრობლემებზე ტრადიციულად მზრუნველი ქართული თეატრის მესკოპოლითავის ეს იყო ახალი და ძნელად გადასალახავი წინააღმდეგობა. თეატრის მოღვაწეთა ნაწილი ათასნაირ ხერხს მიმართავდა იმისათვის, რომ თეატრის ავტორიტეტი არ დაეკმეულო. დამდნენ აკრძალულ პიესებს (ზოგჯერ სპექტაკლს ნებადართული პიესის სათაურით აცხადებდნენ), მოქმედების მსკელოობის დროს ცენზურის მიერ ამოშლილ ადგილებს აღადგენდნენ ხოლმე. ისიც ხდებოდა, რომ ცენზურაში დიდი ბძობლით ვაორტეული ნაწარმოები, დადგმის შემდეგ მოიხსნებოდა. ასე დაემართა შ. დადიანის პიესის „როს ნადიმობდნენ“ 1907 წელს.

ბუნებრივია, რომ ასეთ ვარემოში არც შოგათეატრალური ცხოვრება იყო აწყობილი. თეატრი არ იყო ის აუცილებელი წესრიგი, რომლის გარეშე კოლექტიური საქმიანობა ვერ განხორციელდება. იმ დროს თეატრალური მოღვაწეები — ა. ვადავაძე, შოლაკაშვილი და სხვანი ხმამალა, ბეკედურად აცხადებენ, რომ ძველებურად მუშაობა აღარ შეიძლება, რომ ახალი დრო მოითხოვს ზრუნვას არა მარტო ცალკეულ სკენურ სახეებზე, რომლებსაც დიდად ნიჭიერი მახარობები დამოუკიდებლად ექმნა, არამედ სპექტაკლზე, როგორც მზატეორლად მოლიან ნაწარმოებზე. არსებითად აყენებენ რეჟისურის პრობლემის ვადპურის აუცილებლობის საკითხს.

საზოგადოებრივი ცხოვრება მღელვარე იყო (1904 წ. — რუსეთ-იაპონიის ომი, 1905 წ. რევოლუცია და მისი დამარცხება, 1907 წ. შოლაკაშაქრთველი დედაკმეული იყო სპარსეთთან ვერიოდანელო ქართველები ჩამოსვლით — იმ ქართველთა შოამომავლებისა, რომლებიც XVII სუჯ. დასასრულ შაჰ-აბასმა სპარსეთს ვადასახლა. მათმა ჩამოსვლამ დიდი პატიოტული აღტკინება გამოიწვია). თეატრის მესკეურები საზოგადო მოღვაწეები იყენენ და ყოველივე ამას მღელვარედ ვანიციდნენ. ვანიციდნენ თეატრის მახისციების შენელებასაც. კარგად ესმოდით, რომ პრინციპული სიახლეების დრო დადვა: სხვადსხვანაირად, მაგრამ მონეცილობდნენ რადაცის შეცვლას, როგორც შემოქმედებითი, ისე ორგანიზაციული თვლსაზრისით. ასე, 1905 წელს თბილისის სენაზე წარმოადინეს შ. დადიანის პიესის „მღვიმეში“, რომელიც რევოლუციური შინაარსით იყო გამსკეალული. ამავე წელს გამეგ-

ობას დასი მოუწვევია და მისი ერთი ნაწილი წლიურ ჩამაგირზე ჩაურციხავს. ეს პირველი შემთხვევა იყო ქართული თეატრის ისტორიაში (წლიურ ხელფასს მხოლოდ გ. ერისთავის დასი იღებდა). 1906 წელს მსახიობმა კ. მესხმა ახალი ბეკდერი ორგანო შექმნა „პატარა გაზეთი“. მისი ლოზუნგი იყო „ძმობა, ერთობა, თავისუფლება“. აქ დაიჭრა „ინტერნაციონალის“ აკაცისეული თარგმანი. ამის გამო გაზეთი დახურეს, კ. მესხი კი პასუხისგებაში მისცეს.

1907-1908 წ. წ. სეზონი ისე დაიწყო, რომ ქართველ მსახიობებს საკუთარი ბინა არ ჰქონდათ. სახაზინო თეატრი მათ მხოლოდ ერთ დღეს, ოთხშაბათობით, უთმობდა სცენას, სხვა დღეებისათვის ცალკე უნდა ეხრუნათ. მდგომარეობა იმდენად რთული იყო, რომ ახალი გამგეობის არჩევა გახდა საჭირო. მისი შემადგენლობა გამოქვეყნდა ჟურნალ „ნიშადურში“ 1907 წ. № 6: თავმჯდომარე — ალ. ჯაბადარი, მისი ამხანაგი — პართ. გოთუა, მხატვრული მხარის გამგე — ალ. სარაჯიშვილი, ხაზინადარი — ალ. ნანობაშვილი, მდივანი — დ. ნახუციანიშვილი, წყერნი — ნიკ. ერისთავი და კონსტ. მაყაშვილი. გამგეობის წევრობის კანდიდატები, რომელიც გამგეობასთან ერთად იმუშაებდნენ: ივ. გომარათელი, მიხ. ქილასონიძე, დიმი. ფავლენიშვილი და დიმი. ჯმუხაძე. ამის შემდეგ ჟურნალი აცხადებს: „დაიხატე, საპატიო და სასიამოვნო გარძობაა ეროვნული ხელოვნების წინამძღოლობა, ხალხში ცხოვლემყოფელ აზრებისა და იდეალების გავრცელება, ცხოვრებაში დემოკრატიული პრინციპების გავრცელება და გამკვიდრება“ (ხაზგასმა ჩვენია ნ. უ.).

„ნიშადურის“ რედაქტორი ვ. გუნია იყო. ამ სტრიქონებში ქართული თეატრის პოზიციის იკითხება. ამ სეზონში ქართველმა მსახიობებმა იხილა დიდი რუსი მსახიობი ვერა კომისარევესკაია, რომელიც საგასტროლოდ ჩამოვიდა თბილისში, იხილა ვ. შალიკაშვილის დადისპან ქარსიძე, რომელიც პირველსავე წარმოდგენაზე მსახიობებმა, კრიტიკამ და თვით ავტორმა რეალისტური აქტიორული ხელოვნების ნიმუშად აღიარეს. მიუხედავად ამისა, ანსამბლური შემოქმედების მოთხოვნილება იმდენად ძლიერია, რომ სპექტაკლების კრიტიკული შეფასება უკვე ამ პოზიციიდან მიმდინარეობს.

1908 წელს გამოიკა სევდას (ა. ფალავა) ბროშურა „ქართული თეატრი. მისი დღევანდელი მდგომარეობა“, სადაც პირუთენე-

ლადა თქმული მიმე სიმართლეს მართებდა. რა მოღვაწეს (მაშინ ის 21 წლისა იყო) აღუვებს, რომ ქართულ თეატრში სათანადო დონეზე არ დგას რეჟისურა, რომ ქართული ენისა და სასცენო მეტყველების საკითხი სრულიად უყურადღებოდა მიტოვებული, რომ კრიტიკა ვერ იჩენს საჭირო ყურადღებას თეატრისადმი. რომ თეატრის ხელმძღვანელებზე შემთხვევითი აღმანიშნები, რომლებსაც წარმოდგენაც არა აქვთ დრამატულ ხელოვნებაზე.

ამ პერიოდის ქართული თეატრის შესახებ არსებული მრავალი სახის დოკუმენტრადისტურებს, რომ ქართველ სცენისმოღვაწეთა დიდი ნაწილისათვის უკვე საესეზობთ გაცნობიერებულია ანსამბლის, მხატვრული მთლიანი სპექტაკლის თეატრის პრინციპებისათვის ბრძოლის აუცილებლობა. თეატრის კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლის გზას ისინი ამაში ხედავენ. ბუნებრივია, განსაკუთრებით აქტიურია ახალგაზრდობა.

სულ არაა შემთხვევითი, რომ ეს ახალგაზრდობა მოსკოვისკენ მიიწევდა. თუმცა ქართული სცენის ბედ-ილალით დანიჭებული იმ დროის არაერთი მოღვაწე ილაშქრებდა ამის წინააღმდეგ იმ არგუმენტით, რომ ქართული სცენის შემოქმედი საყოთარი ქვეყნის წინააღმდეგ უნდა გაიზარდოს.

იმ დროის მოსკოვის თეატრალური ცხოვრება სულაც არ იყო ერთფეროვანი — რუსული თეატრიც უხდის ხარკს დეკადენტურ სულისკვეთებას, იდეგმა თ. სლოგულისა და ლ. ანდრეევის, ა. არკობაშვილისა და სხვათა პეესებში. მაგრამ, ამავე დროს, სწორედ იმ სამხატვრო თეატრში დაადაგა ი. ტურგენევის პეესა „ერთი თვე სოფლად“ (1909 წ.) — სტანისლავსკის სისტემის მომარჯვებით განხორციელებული პირველი სპექტაკლი. ახალგაზრდა ქართველები, რომლებმაც ცხოვრების გზად სათავტრო მოღვაწეობა აირჩიეს — აკაკი ფალავა, ვალერიან შალიკაშვილი, მიხეილ ქორელი, ალექსანდრე წუწუნავა — მიდიან არა საერთოდ მოსკოვში, არამედ ზუსტი და პირდაპირი მისამართით — მოსკოვის სამხატვრო თეატრში. ამ თეატრის შემოქმედებას დაუკავშირდნენ ისინი პრაქტიკულად, მისი შემოქმედებითი რწმენა მიიღეს. შემდეგ კი, სამშობლოში დაბრუნებულები, სიტყვით და საქმით განამტკიცებდნენ მას. ამის საბუთია ვალ. შალიკაშვილის სტატიები, რომლებიც გამოქვეყნდა 1910 წლის ჟურნ. „თეატრისა და ცხოვრების“ რამდენიმე ნომერში, სადაც ის ან-



გიორგი არადელი-იშხანელი  
(ქვეყნდება პირველად)

ალექსანდრე იმედაშვილი — ოტელი



სამბლის თეატრის პრინციპებს უპირატესობას ამტკიცებს და, რაც მთავარია, ის სპექტაკლები, რომლებიც ქართულ თეატრში ახალგაზრდა რეჟისორთა ამ ჯგუფმა დადგა მოსკოვიდან დაბრუნებიდან რამდენიმე წლის მანძილზე და ანუნიკოს „იორიოს ასული“, ნ. ნაკაშიძის „უნ არის დამნაშავე?!“ ალ. სუმბათაშვილის „ლალი“ (ა. წუწუნავა), დ. ერისთავის „სამშობლო“, ი. გეგევიანიშვილის „მსხვერპლი“ და „სინათლე“, შილერის „დონ-კარლოსი“ (ვ. შალიკაშვილი), მ. გორკის „უკანასკნელი“, დ. კლიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“, სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“ (მ. ქორელი) და სხვ.

ამ სპექტაკლებისათვის საჯარო სცენური გარემოს შესაქმნელად უკვე იწვევენ არა მარტო დეკორატორებს (ნოვაკი, ლანსკი), არამედ ნამდვილ მხატვარს — შემდგომში ცნობილ მოქანდაკეს იაკობ ნიკოლაძეს. ყოველი ახალი სპექტაკლისათვის მზადდება საგანგებო დეკორაციები და სამოსელი, ზრუნავენ სცენის განათებაზე. ეს ყოველივე იმას გვაუწყებს, რომ ქართული თეატრის მოღვაწეებს ამ დროისათვის სავსებით გაეცნობიერებული აქვთ სპექტაკლში ნამდვილი მხატვრის მონაწილეობის აუცილებლობა.

ქლივრდება სპექტაკლის მუსიკალური მხარე, სიმღერისა და ცალკეული ინსტრუმენტების გამოყენებასთან ერთად. ზოგჯერ ორკესტრიცა ჩართული წარმოდგენაში. სწორია ქორეოგრაფიული ელემენტებით დამატებული თეატრის სპექტაკლის შეფერადება.

ამ წლებს ეკუთვნის ისეთი თამაში ცდა, როგორცაა მ. ქორელის მიერ დ. კლიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვლის“ დადგმა თბილისში ტექსტის კითხვისა და პერსონაჟთა სცენური სივრცის შეხამებით (1912). დეკორაცია ამ სპექტაკლში არ იცლებოდა, მოქმედ პირთა სცენურ ცხოვრებას პერიოდულად წყვეტდა ავტორისეული ტექსტის კითხვა. თუ გავიხსენებთ რუსთაველის თეატრში 1964 წ. მ. თუმანიშვილის მიერ დადგმულ „დიარისპანის ვასაკის“ და 1968 წ. თ. ჩხეიძისა და რ. სტურუას მიერ დადგმულ „სამანიშვილის დედინაცვალს“ უთუოდ ვიფიქრებთ, რომ მ. ქორელის მიერ დადგმული „სამანიშვილის დედინაცვალი“ ნამდვილად მათი წინაპარია.

1913 წ. მ. ქორელმა დადგა სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“ ცნობილი გერმანელი რე-

კოსორის მაქს რენიპარტდის სარეისორო ვეგმით. ესეც თავისებური ნიშნა იმისა, რომ სცენის ხელოვანები შემოქმედარევი სიორის აუცილებლობა ამტკიცებენ.

მეტად საყურადღებოა ისიც, რომ ქართულ თეატრში აღმოცენებულ ამ ტენდენციას მხარს უჭერს კრიტიკა, პრესა. მრავალი სახის ინფორმაციიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცნობები იმის შესახებ, რომ საზოგადოების მოწონებას იმსახურებენ ისეთი სპექტაკლები, სადაც რეჟისურა ცდილობს ყოველი კომპონენტი — მხატვრობა, მუსიკა, ქორეოგრაფია, მსახიობის შემოქმედება ერთმანეთთან შეხმატვილივით წარმოაჩინოს. ვ. შილაკაშვილის მიერ ამხარად დადგმული ი. ველდვანშვილის პიესა „მსხვერპლი“ ერთ სეზონში რვაჯერ წარმოდგენილი და დარბაზი რვაჯერვე სავსე ყოფილა. იმ დროისათვის ამგვარი რამ არნახული მოვლენა იყო.

კრიტიკა იწონებს მასობრივი ეპიზოდების ოსტატურ ორგანიზაციასა სავანგებოდ აღნიშნავს უკვე არა ცალკეულ გამოჩენილ მსახიობთა მიერ როლის შესრულების ხარისხს, არამედ სპექტაკლში მონაწილე ყველა მსახიობის მწყობრ თამაშს. 1913 წ. ვაზ. „სახალხო განათლებაში“ (26 აპრილი) ვკითხულობთ მ. ქორეისის მიერ დადგმული „ოიდიპოს მეფის“ შესახებ:

„...წარმოდგენამ მწყობრად, თითქმის უნაკლოდ ჩაიარა, **ყველამ** თავისი ადგილი იცოდა, **ყველას** როლი ზეპირად შეესწავლა, **ყველა** ცდილობდა ხელი შეეწყო ანსამბლისთვის და **ამიტომ** წარმოდგენამ საზოგადოებაზე განუზომელი შთაბეჭდილება მოახდინა“ (ხაზი ჩვენია, ნ. უ.). ლაბარაკია **ყველაზე** — ეს იმ დროს, როდესაც სცენაზე დგანან ოიდიპოსი — ალ. იმედაშვილი და იოკასტე — ნინო ჩხიძე!

განსაკუთრებით საინტერესოა წერილი, რომელიც ამავე გაზეთში გამოქვეყნდა 1914 წ. ვ. შილაკაშვილის მიერ დადგმულ შილორის „ღონ-კარლოსის“ ვიკი:

„...ყველაზე უწინარეს, სიამოვნებით უნდა აღინიშნოთ წარმოდგენის ღირსება **რეჟისორის** მხრივ. სწორედ მოაწონია ასეთი სადა მოწყობილობა სცენისა... სცენა მივლი წარმოდგენის განმავლობაში წარმოდგენდა ერთი სტილის შესაფერ დაარბას, უბრალოდ მორთულს, რომლის უკანა კედელი გაჭრილი იყო თილი და სხვა და სხვა სურათის დროს იცვლებოდა მხოლოდ ამ თაღის იქითა დეკორაციები.

ამგვარის მარტივის, მავრამ სრულიად საკმარისი მორთულობის წყალობით დაუგვიანებლად მისდევდა ერთი სურათი მეორეს, მთაბეჭდილება არ სუსტდებოდა და ისეთი მეტად რთული, დიდი პიესა, როგორცაა „ღონ-კარლოსი“, გათავდა პირველის ოც წამზე.

ასეთი სადა მორთულობა სახელმძღვანელოთ უნდა გაიხადოს ჩვენმა დამსა შექმნიპირის, შილორის და სხვა რთული ტრაგედების დადგმის დროს. **დაწვრილებით და სრული მორთვა სცენისა ყოველივის საჰიქირო არ არის.** საქმარისია ერთი ან ორი მოხაზულობა, რომ სცენამ შექმნას საჭირო ილუზია იქ, სადაც უწინაურის მნიშვნელობა აღამინის სულიერს განცდასა და ბრძოლას აქვს“ (ვაზ. „სახალხო გაზეთი“ 1914 № 1117. ხაზი ჩვენია, ნ. უ.).

როგორც ვხედავთ, 1914 წელს როგორც შემოქმედითაღვის, ისე მაყურებლისა და კრიტიკისათვის, მართლმავარობის ვარდა, უკვე გაჩნდა სხვა ახალი მხატვრული პირობა — თითო-ერთლა დეტაროლი მთელის მინიშნება. ეს ფაქტი მეტად მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია, ვინაიდან თეატრი, რომელსაც რევოლუციის შემდეგ კ. მარჯანიშვილი დაამკვიდრებს საქართველოში, სწორედ განსხვავებული, დაუსრულებლად მრავალგვარი მხატვრული პირობის თეატრი იქნება. მაყურებელი ასეთ თეატრს, ვერ მიიღებდა ნიადაგი რომ წინამორბედებს არ შეემსაღებინათ.

რეჟისურის საკითხი იმდენად მწვავე საკითხი იყო, რომ ქართველ სცენისმოდგეფითა პირველ ყრილობაზეც დაისვა. ეს ყრილობა, როგორც ცნობილია, სწორედ ამ 1914 წლის 8 ივნისს შედგა, ხოლო ორა წლის შემდეგ ვაზ. „საქართველოში“ გამოქვეყნებულმა წერილმა თბილისის რუსულ თეატრში ალ. წულუწნავას მიერ დადგმული „ლალატის“ შესახებ, მთელ საზოგადოებას აუწყა რა დონის რეჟისორი ჰყავს ქართულ თეატრს. ამ წერილის მხოლოდ ერთ აბსაცს გავისვენებთ:

„...არ შემიძლია დავდუმდე მას შემდეგ, რაც ენაზე რუსულ ენაზე დადგმული „ლალატი“... ბ-ნი წულუწნავა მართლაც მშვენიერი გემოვნების და მასთან დაკვირვებული რეჟისორი ყოფილა... ეტყობა, რომ სცენის ტექნიკა კარგად იცის. მთელი მოქმედება ვაღმოაქვს მეორე პლანზე და ისეთი გაბედულებით, რომ სცენური სიმეტრია სრულებით არ ირღვევა. ამასთანავე მიზანსცენებში იგი სრუ-

ლიად სამართლიანად და მარტივად ანაწილებს ფერადების კონტრასტს და ილუზიათა კონტრასტებს... ქართულ სცენას მართლაც ჰყოლია ნამდვილი, საქმის მცოდნე და მოვერტული რეჟისორი ბ-ნი წუწუნავა“ (გაზ. „საქართველო“, 1916. №№ 110, 111, 112). წერილის ავტორია ს. ასმეტელი, რომელიც შემდგომ, მარჯანიშვილთან ერთად დაამკვიდრებს საბჭოთა საქართველოში რეჟისურის თეატრს.

რეჟისორებთან ერთად ქართული სცენის სხვა მოღვაწეებიც მიისწრაფოდნენ სათეატრო ხელოვნებაში გარდაქმნებისკენ, ეს აშკარად ცხადყო სრულად საქართველოს სცენისმოღვაწეთა პირველმა ყრილობამ, რომელზედაც განხილული იყო მრავალი მტკიცებულება საკითხი. მოისმინეს ლ. მესხიშვილის, შ. დადიანის, ალ. იმედაშვილის, ა. წუწუნავას, ა. ფლავას მოხსენებები. მრავალი საქმიანი გადაწყვეტილებაც მიიღეს, მაგრამ მათ შესრულებას წინ გადაეღობა ორი მძიმე მოვლენა — დაიწყო პირველი მსოფლიო ომი და დაიწვა თეატრის შენობა. ქართულმა დასმა დროებით სახალხო სახლს შეაფარა თავი.

დაიწყო დაბნეულობა, სეზონების შეწყვეტა-ჩაფარდები, შემოქმედებით ძალთა დაქსაქსულობა. მაგრამ თუ რამე მაინც კეთდება, ისედაც ისევე ანაბნობს თეატრისაკენ სწრაფვის ტენდენციით.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ ძალაუფლება მენშევიკებმა ჩაიგდეს ხელში. მიუხედავად უმძიმესი ვითარებისა, ქართული თეატრის მოღვაწენი ამ წლებშიც (1918-1921) აყენებენ თეატრის აღდგენის აუცილებლობის საკითხს, საჭირო იყო სახელმწიფოებრივი ღონისძიება.

მიუხედავად ყველა ცდა 1917—1918 წ. თეატრალური სეზონი თბილისში საერთოდ არ გახსნილა. იმართებოდა მხოლოდ მსახიობთა გვარუდების მიერ ქართული სპექტაკლები თბილისის კლუბებში.

სწორედ ამ წელს — 1917 წ. — შეიქმნა მსახიობთა კავშირი. კავშირის შექმნა იმ დროს, როდესაც თეატრი ფაქტურად არ არსებობს, ნამდვილად თავისებური გაბრძოლება იყო მისი შექმნისათვის. ასეთივე გაბრძოლებად შეიძლება ჩაითვალოს 1918 წ. გ. ჯაბადარის სტუდიის შექმნა, რომელსაც ანსამბლური თეატრის პრინციპების დამკვიდრების სურვილი ჰქონდა. აქ სწავლობდნენ ვ. ანჯაფარიძე, ა. ვასაძე, შ. ლამაშიძე,

მ. გელოვანი და მრავალი სხვა მსახიობი, ახლო მომავალში რომ ქართული თეატრის შემოქმედებითი სახე განაპირობებს. უსახსრობის გამო ამ სტუდიამაც მხოლოდ ორი წელი იარსება.

მომდევნო სეზონები კიდევ უფრო მძიმე აღმოჩნდა — 1918-1919 წ. წ. სეზონი დავიანებით დაიწყო და ძალიან მალე შეწყდა. 1919-1920 წ. წ. სეზონი კი საერთოდ არ შედგა.

1920 წ. 2 იანვარს ქართველ მსახიობთა კავშირმა ტრადიციულად მაინც აღნიშნა „მსახიობის დღე“. შ. დადიანის თაოსნობითა და რედაქტორობით გამოვიდა სპეციალური გაზეთი. ამ გაზეთმა ერთხელ კიდევ აუწყა საზოგადოებას ქართული თეატრის სავალალო მდგომარეობა.

იმავე წლის მაისში მოწვეულ იქნა ქართველ მსახიობთა კავშირის წევრთა ყრილობა. ძირითადი საკითხი — ქართული თეატრის კატასტროფული მდგომარეობა. საჭირო იყო გადაუდებელი ზომების მიღება. საქმეს ახლაც საზოგადო მოღვაწეებმა უშეველეს — იმავე წლის ზაფხულში გადაწყდა თბილისში მუდმივი დასის შედგენა. ამ საქმის მეთაური იყო ა. ფლავა.

დასმი შევიდნენ გამოჩენილი ქართველი მსახიობები და გ. ჯაბადარის სტუდიის ახალგაზრდობა.

1920 წ. 15 ოქტომბერს ახლანდელი რუსთაველის თეატრის შენობაში გაიხსნა პირველი სეზონი შ. დადიანის ბესიო „გუმნადელი“. დადგმა მ. ქორელის ეკუთვნოდა.

სწორედ იმხანად ქართულ თეატრში მოვიდა ახალგაზრდა რეჟისორი, რომელიც, მართალია, სხვა გზით, მაგრამ მაინც ანსამბლური სპექტაკლისთვის იღვროდა და რომელიც სულ მოკლე ხანში კიდევ ბევრს რასმე განაპირობებს ქართული თეატრის ცხოვრებაში. ეს ახალგაზრდა რეჟისორი იყო სანდრო ასმეტელი.

ასეთია ის უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი და თეატრალური მოვლენები, რომლებიც განაპირობებდნენ ქართული დრამატული თეატრის უმთავრეს ნიშან-თვისებებსა და ტენდენციებს დღიდან მისი განახლებისა (1879), ვიდრე 1921 წლამდე.

ქართული თეატრის ცხოვრების ეს წლები მუდმივ მშფოთვარე იყო როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე ძვრების, ისე შიგათეატრალური, შემოქმედებითი და ორგანიზაციული სირთულეების გამო. მართლაც, ამ პერიოდის ქართულ თეატრს

მუდმივ უჭირდა შენობა, მუდმივ განიცდიდა ცენზურის სიმკაცრეს, ხშირი პრემიერების აუცილებლობას, არ ჰქონდა კადრების მომზადების კერა, დაუსრულებლად უნდა ეზრუნა ლექსმაუჭრე და ყველა წერილ-მანზე. თეატრის არასტაბილური მდგომარეობა ყოველდღიურ ბრძოლას მოითხოვდა. ისიც იბრძოდა.

არსებობის ამგვარმა პირობებმა განსაზღვრეს, ალბათ, ის რომ განახლებული ქართული თეატრის პირველი დასის წევრები (ე. ყიფიანი, ვ. აბაშიძე, მ. საფაროვი-აბაშიძისა ნ. გაბუნია, ლ. მესხიშვილი, კ. მესხი, ვ. გუნია და სხვანი) ძალიან ენერგიულად ამოიანები იყვნენ, ერთობ მოვალეფაროვანი იყო მათი მოღვაწეობა თეატრსა და მის გარეთაც. ისინი საზოგადო მოღვაწეები იყვნენ მოწოდებითაც და შეგნებითაც. დიდ პატივსაც სცემდნენ საკუთარ საქმიანობას. ამით სხვებსაც აიძულებდნენ ასეთვე დამოკიდებულება ჰქონოდათ სცენის ხელოვანის მიმართ. დღენიდაც თავის მოწოდებაზე მზრუნველნი ბევრს ფიქრობდნენ მის შესახებ. ნაფიქრ-ნახარების შესახებ ზეპირი საუბარიც შეეძლოთ, საჯაროდ გამოხვლაც და ბურაც. საგანგებო განათლებას მოკლებულნი, თვითგანვითარებით ავსებდნენ ამ ხარვეზს. მუდმივ კონტაქტში იყვნენ თავისი დროის საზოგადო მოღვაწეებთან. კომფორტს მოკლებული ცხოვრება და საქმის უსასყიდლოდ კეთება ჩვეულებრივი იყო მათთვის. ითქმის ყოველ მათგანზე დღეს ცალკე მონოგრაფია არსებობს, არაერთი ქალაქის თეატრს მიაჩნევს ზოგი მათგანის სახელი... მაშ, რა მიდართა და საინტერესო ყოფილა მათი ცხოვრება და მოღვაწეობა?!

ქართველ მსახიობთა მომდევნო თაობა (ელ. ჩერქეზიშვილი, ნ. გოცირიძე, ალ. იმედაშვილი, გ. არადელი-იშხნელი, ნ. ჩხეიძე და სხვანი) ამ ტრადიციას აგრძელებენ. ეს სასევბით ბუნებრივია, ვინაიდან ისინი შემოქმედებითად არ დაპირისპირებიან იმათ, ვინც დახვდათ თეატრში. პირიქით, მასწავლებლად, მისაბამ მაგალითად, ხშირად კი მიუწევდომელ იდეალად მიიჩნევენ მათ. არც მაშინ დაპირისპირებიან, როდესაც ანსამბლის თეატრის, მხატვრულად მთლიანი სპექტაკლების თეატრისათვის იწყებენ აქტიურ ბრძოლას მოსკოვის სამხატვრო თეატრის შემოქმედებით მრწამსს ნაზიარება ახალგაზრდა რეჟისორები. იმიტომ, რომ ახალი პრინციპების დანერგვას ისინი ამ მსახიობთა მეშვეობით ცდილობდნენ.

იმ დროის მაცურებლისათვის თეატრული დედა მნიშვნელობის საზოგადოებრივ დაწესებულება იყო. ესმოდათ მისი მნიშვნელობა. უყვარდით თეატრი, მსახიობები, ამ სიყვარულისა და პატივისცემის გამოვლენის საკუთარი ფორმებიც ჰქონდათ: ბენეფისები, საჩუქრები, ლიტერატურული გასამართლებანი, ეტლებში ცხენის ნაცვლად შეგბა, დაფნის გვირგვინებით დაჯილდოება...

იმ დროს ამშულა არსებობდა, მაგრამ ქართული თეატრის მსახიობები ყველაფერს თამაშობდნენ — ვოდვილსა და ოპერეტასაც კი! მიუხედავად ამისა, განახლებულ ქართულ თეატრში იმათივე გამოიკვეთა შემოქმედების ორი ძირითადი ფრთა: მტკიცედ რეალისტური, სახასიათო-კომედიური (ე. აბაშიძე, მ. საფაროვი-აბაშიძისა, ნ. გაბუნია, ელ. ჩერქეზიშვილი, ნ. გოცირიძე და სხვანი) და აბსტრაქტულ-რომანტიკული (ლ. მესხიშვილი, ალ. იმედაშვილი, ნ. ჩხეიძე, გ. არადელი-იშხნელი და სხვა). ქართული თეატრის ცხოვრების მომდევნო პერიოდებშიც ეს ორი ფრთა მუდმივმოქმედი აღმოჩნდება.

იმ დროისათვის სადაც უნდა შეწყდეს ჩვენი თხრობა, ქართულ სცენას ამ ორი ფრთის რამდენიმე თაობის მძლავრი ბურჯი ამშვენება: ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, ალ. იმედაშვილი, ნ. ჩხეიძე, ე. ჩერქეზიშვილი, ნ. გოცირიძე, ვ. ანჯაფარიძე, ა. ხორავა, ა. ვასაძე, შ. ლაბაშიძე, უ. ჩხეიძე... ზოგი ამთავრება თავის ცხოვრებას სცენაზე, ზოგი შემოქმედებითი ძალების სრული გაფურჩქნის ხანაში იყო, ზოგი კი მხოლოდ იწყებდა. ანლოვდებოდა 1921 წელი. როგორ წაირბინებდა მათი ცხოვრება განახლებულ საქართველოში? განახლებულ ქართულ თეატრში?.. ეს მომავალს უნდა ეჩვენებინა.

**შენიშვნები:**

- 1 მ. გარიყული. თეატრალური მოგონებანი. „ხელოვნება“, თბ., 1959. გვ. 30.
- 2 ალ. იმედაშვილი. მოგონებანი. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1963, გვ. 36.
- 3 იქვე, გვ. 56.
- 4 ე. ურუშაძე. მოგონებანი. „ხელოვნება“, თბ., 1951, გვ. 26.

თმატრმა რომ ვადალახოს ენის ბარეიკი და შინაგანი სიმატილით, პლასტიკით, მუსიკალობით, სიტყვის ეფფონიით დამორჩილოს სხვა ენებზე მოლაპარაკე ერების სმენა და მზერა, ჭეშმარიტი შემოქმედებით გამარჯვებაა.

თუ პოეზია სიტყვის თვისებაა (პ. ვალერი), ქანდაკება მასალის სიმატილ (გ. მუხრანი), ხოლო არქიტექტურა გაქვავებული მუსიკა (რ. როლანი), თეატრი გონების თვალს დამორჩილებული ყველა ადამიანური გრძნობის ვიზუალური დამაქრებლობის აქტია.

რუსთაველა ტრიუმფი, რამაც დღეს ასე გაუთქვა სახელი თანამედროვე ქართულ თეატრალურ ხელოვნებას, მხოლოდ მსახიობთა და რეჟისორთა ნიჭიერებით არ არის განპირობებული. აღბათ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ რეჟისორი, მსახიობი, მხატვარი, მუსიკოსი საერთოდ ხელოვნების ყველა დარგის წარმომადგენელი არასოდეს არ მდგარან ასე პირდაპირ, ასე „ღღეღიშობილა“ საკუთარ შესაძლებლობათა წინაშე, როგორც დღეს. იშვიათად ჰქონია შემოქმედის მსგავსი ფსიქოლოგიური და მატერიალური პირობა საკუთარი თავის დამკვიდრების თუ უარყოფის, მხატვრულ შესაძლებლობათა უსასრულოდ ვარიაციების თამაში შემოქმედებითი ექსპერიმენტებისა, ძიებებისა, როგორც დღეს აქვს.

ასი წელი მცირე მონაკვეთია ჩვენი ერის თეატრალური ცხოვრების ისტორიისათვის და, ცხადია, არც თეატრალური საზოგადოების, ან ერთი რომელიმე თეატრის შექმნის თარიღი განსაზღვრავს მის ჭეშმარიტ არსს.

სახიობა — იუმორი ქართული კაცის თანდაყოლილი თვისებაა, ლხინში თუ ჭირში გამოკვეთილ — გამოქრწილი და ჩვევად ჩამოსხმული. ამ თვისებამ შეუწარმუნა მას რწმენა საკუთარი თავისადმი, წონასწორობა ურთიკვი შექირევების თუ სიხარულის კამს, ამ თვისებით გამოიარა მან საუ-

# ველონავ

## სახელმწიფი

### თეატრს

კუნეები ათასი ცდუნების ძნელ გზებზე და დარჩა ბოლომდე საკუთარ თავთან, საკუთარ ენისთან.

რუსთაველის თეატრის გამარჯვებუც ამ შეურყენელ, თვითყოფად თვისებებზეა აღმოცენებული. სიტყვის სიმატილ, სიღრმე, პლასტიკური გამომსახელობა, მუსიკალობა, დახვეწილი ესთეტიზმი ამ ნიჭიერი კოლექტივის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებია და იგი შინაგანი არსით, ტემპერამენტით, ორიგინალური გამომსახელობით, სცენური რიტმით აღვილად იპყრობს ჩვენი დროის ყველა ეროვნების „ზოგადი მაყურებლის“ მზერას და სმენას.

არასოდეს დაკლებია ნიჭიერი მსახიობი ქართულ სცენას და თუ ზოგჯერ უნაკლოვობის პერიოდებში დასდგომია, უფრო მაღალნიჭიერ, უშეღავათო შემოქმედთა სიუხვით, რომელთა ინდივიდუალური თვითგამოხატვის ტენდენცია ჩრდილავდა ერთიანა რეჟისორულ სტრუქტურას. ვფიქრობთ, ამიტომ თეატრის ჭეშმარიტი გამარჯვებები რეჟისორთა და მსახიობთა შემოქმედებითი ურთიერთობის საუკეთესო პირობამ — რწმენაზე აღმოცენებულმა იდეალურმა სინქრონულმა რიტმმა და პულსაციამ განსაზღვრა, ერთიან პარმონიულმა სუნთქვამ დაამკვიდრა სცენაზე.

მე თეატრმცოდნე არ ვახლავართ, რომ მეცნიერულად ავხსნა ჩვენი თეატრალური ცხოვრების განვითარების ლოკალური გზა, გაავანალიზო ის მიღწევები თუ მარცხი, რომლებიც მრავლად ჰქონია ამ ნიჭიერ კოლექტივს, მაგრამ ჩემი დაკვირვებით, ინტუიციით, ხშირად მიგრძენია შემოქმედებაში, ურთიერთობაში (თეატრი გრძნობათა თვისების, შინაგანი რიტმის, კონტრაპუნქტული პარმონიაა — ე. კილარი) ხასიათთა, ნიჭის თავისებურებათა დაპირისპირებაზე, კონტრასტზე წარმოშობილი კონფლიქტი (სრულიად ლოკალური და გამართლებული).

მრავალჯერ თქმულა და დაწერილა საქართველოს ტერიტორიულ, ეთნოგრაფიულ





### ელგუჯა ამაშუკელი

თუ მის მკვიდრთა ბუნების, ხასიათის, ტემპერამენტის სხვაობაზე მრავალფეროვნებაზე. ეს „კონტრაპუნქტი“ ყოველთვის ითხოვდა და ითხოვს დღესაც შემოქმედების ყველა სფეროში ნიჭიერ, გინიერ ღირსიორ-რეჟისორს. და თუ ისტორიიდან ვიგონებთ გამარჯვებათა აღმწესხველ დღეებს, ისინი უსათუოდ ისეთ სახელებს უკავშირდება, როგორც: მარჩანიშვილი, ახმეტელი, მიქელაძე და სხვაგვარადაც, ეს იმას არ ნიშნავს რომ რეჟისორს, ღირსიორს დაბალი ნიჭის მსახიობებისაგან, მუსიკოსებისაგან შეუძლია შექმნას ანსამბლ უკომპრომისო მოთხოვნილებათა გამომატველი. სახიობა იყო და რჩება თეატრის უპირველეს ცნებად. ა. იმედაშვილი, უშანგი ჩხეიძე, გიორგი ანჯაფარიძე, ც. თაყაიშვილი აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე, სერგო ზაქარაიძე, გიორგი შავგულიძე, ვ. გომიშვილი და სხვანი წარსულში, დღეს — რამაზ ჩხეიძე, ოთარ მეღვინეთუხუცესი, გიორგი გეგეჭკორი, ეროსი მანჯგალაძე თუ სხვანი ის რეალური ძალაა, რომელსაც შეეძლო და დღესაც ძამულს დაიმორჩილოს თანამედროვე მსოფლიოს თეატრალური ცხოვრების ყველა კატეგორიის და სიმაღლის მხატვრული „მწვერვალი“, ცხადია იმ რეჟისორთა თანადგომით, რომელთაც აქვთ უზარო იგრონი დღევანდლობის რიტმი და მსახიობთა რეალური თუ პოტენციური შესაძლებლობა.

დღეს რეჟისორ რობერტ სტურუას მიერ ბრწყინვალედ დადგმულმა სპექტაკლებმა შორს გაუთქვა სახელი ქართულ თეატრს. არა ერთი და ორი დიდი გამარჯვება იზეიმა რეჟისორმა თ. ჩხეიძემ. დღესაც გვახსოვს რუსთაველის თეატრის სცენაზე რეჟისორების — შ. აღსაბაძის, დ. ალექსიძის, ა. ჩხარტიშვილის, შ. თუმანიშვილის მიერ დადგმული მშვენიერი სპექტაკლები, აღარაფერს ვამბობთ იმ ორი დიდი ცენტრალური კორიფეების: ახმეტელისა და მარჩანიშვილის სპექტაკლებზე, რომლებმაც მთელი ეპოქა


შექმნეს ახალი თეატრალური ცხოვრებისა და აზროვნებისა.

რუსთაველის თეატრის დღევანდელი შემოქმედება, კერძოდ სტურუას მიერ თუ მისი ხელმძღვანელობით უკანასკნელ პერიოდში დადგმული სპექტაკლები მაყურებელს იზიდავს, ხიბლავს გამოკეთილი რეჟისორული ხელწერით, სტილისტური თავისებურებებით, დახვეწილი ესთეტიკით, ფორმის „მუსიკალური მთლიანობით“, ანსამბლურობით — და უპირველეს ყოვლისა მხატვრული მოულოდნელობით, ფანტაზიით და რეჟისორული აღმოჩენებით.

გზა, რომელიც აირჩია რეჟისორმა რობერტ სტურუამ, არის ბრძოლის, სტერეოტიპული ფორმების რღვევის და ახლის დამკვიდრების გზა, გზა წინააღმდეგობებით სავსე უფსკრულის ბირას გაბავალი, რომელზედაც შემოქმედი მხოლოდ გონებით, ნიჭით და გამოცდილებით ვერ ივლის, თუ მას წინ არ უძღვის ინტუიცია, რისკი, გამბედაობა რწმენა. ამ გზას ხელოვნებაში ერთეულები ირჩევენ, ამიტომაც მათი გამარჯვებები უფრო „ხმაურაინია“ და მარცხით თვალსაჩინო.

მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ტაშში, რომელიც რუსთაველის თეატრმა მსოფლიოს მოსტაცა, ყველა ქართველი მსახიობის და მაყურებლის წილადაც მოდის, რამეთუ ის, რაც დღეს ანთია, ადრე მათ სულში იწვოდა აალებამდე.

ქართველ მხატვართა სახელით მე მივესალმები რუსთაველელთა სახელოვან კოლექტივს, ყველა მსახიობს, თანამშრომელს, მხატვარს, კომპოზიტორს მის მამაც და ნიჭიერ რეჟისორს რობერტ სტურუას. ვულოცავ მათ ამ საიუბილეო თარიღს და ეუსურვებ კიდევ უფრო მაღალ, ადრე შეუვალს მწვერვალთა დაპყრობას, ქართველი კაცის გენიის, მისი კუმპარტი არსის საჩინოდ.





# საუკუნოვანი დიდება

მართველობი დიდი თეატრალური კულტურის ხალხია... წარსულში პროფესიული თეატრი არა გვქონია, მაგრამ „ბერიკაობა“ — იგივე თეატრალიზებული წარმოდგენები — ოდითგანვე ჩვენში ცნობილი. პროფესიულ თეატრს უფრო ადრე ანკი როგორ შექმნიდა ჩვენსავით სვედამწარბელი და მოსვენებადაკარგული ხალხი, რომელსაც ამოსუნთქვასაც არ აცლიდა ათასი ჯურის მტრის შემოსევები. როგორც კი დროს მოვიხელთებდით, ისევე ტაძრებსა და ციხესიმაგრეებს ვაშენებდით — ჩვენი ფიზიკური და სულიერი გადარჩენის ემაგ უპირველეს მიზეზებს.

მოსპო თუ არა გარედან შემოსევის საშიშროება, უმალ საფუძველი ეყრება ჩვენს პროფესიულ თეატრსაც, რადგან ხალხი ფსიქოლოგიურადაც შემზადებული იყო და გულიც ერჩოდა საამისოდ. შეიქმნა გიორგი ერისთავის თეატრი და მისივე მეტად თვითმყოფადი დრამატურგია. მეცხრამეტე საუკუნიდან მოკიდებული საქართველოში თეატრზე ფანტიკურად შეყვარებული ადამიანები ქმნიდნენ თეატრალურ დასებს, თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში იქმნება მუდმივი პროფესიული თეატრები, სადაც მოღვაწეობდნენ ვასო აბაშიძე, ნატო გაბუნია, მკეო საფაროვი-აბაშიძე, ვალერიან გუნია, ვალერიან შალიკაშვილი, ლადო ალექსი-შენსიშვილი და სხვ. მათ ქართული თეატრალური ხელოვ-

## სერგო კლდიაშვილი

ნების ისტორიაში დიდი კვალი დასტოვებს.

ქართულ პროფესიულ თეატრზე ფიქრს რომ ვიწყებ, უპირველესად მაინც რუსთაველის თეატრი დამიდგება ხოლმე თვალწინ, რუსთაველის თეატრზე ფიქრისას კი მარჯანიშვილისა და ახმეტელის სახეები მიცოცხლდებიან, რადგან სწორედ ამ ორი რეჟისორის სახელთანაა დაკავშირებული ქართული თეატრის აღორძინება.


მარჯანიშვილი 20-იან წლებში რუსეთიდან უკვე სახელმწიფო რეჟისორი დაბრუნდა, მისი ჩამოსვლა და ქართულ თეატრში მოღვაწეობა ჩვენი თეატრალური ცხოვრების გაცოცხლება და სულს ჩადგმა იყო. მისი პირველი სპექტაკლი ლოპე-დე-ვეგას „ცხვრის წყარო“ თეატრის ნამდვილი დღესასწაულად იქცა. კოტე მარჯანი-

შვილს თითქოს რაღაც ჩადო ჰქონდა, მას შეეძლო მთელი ბრწყინვალეობით გამოეჩინა მსახიობის ნიჭი, თითქოს ყველა მსახიობს ჰქონდა დაფარული, გაუმუქლანებული ტალანტი, რომელიც დიდი რეჟისორის მოსვლას ელოდა.

მარჯანიშვილის შემდეგ სანდრო ახმეტელის მოღვაწეობა რუსთაველის თეატრში ამ თეატრის ახალ მიღწევებსა და მისი სახელის ახლებურად გამობრწყინებას უდრიდა... ახმეტელის მიერ დადგმულმა სპექტაკლებმა შორს ვაუთქვეს სახელი რუსთაველის თეატრის მის სხვა სპექტაკლებთან ერთად უჩვეულო წარმატება ჰხვდა „რდევას“. მასხლის სპექტაკლის ნახვის შემდეგ დავით კლდიაშვილმა შთაბეჭდილებათა წიგნში ვრცლად ჩაწერა თავისი შთაბეჭ-

რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზი.





ლილება. მარჯანიშვილიც და ახმეტელისც ვასაოცარი ფანტაზიისა და გემოვნების რეჟისორები იყვნენ. ორივეს სპექტაკლები ქართული თეატრის ისტორიის ოქროს ფონდში შევიდა. ბედნიერი ტალანტის გარდა, მათ აერთიანებდათ ერთი მეტად სასურველი თვისება — მათ შემოიკრიბეს ქართველი დრამატურგები და თავგამოდებით ზრუნავდნენ ეროვნული დრამატურგიის წინსვლისა და განვითარებისათვის.

სანდრო ახმეტელმა დაეითკლიაშვილის მოთხოვნების მიხედვით მთხოვა პეისის დაწერა. მის გადაწყვეტილი ჰქონდა სპექტაკლში გამოყენებინა „ბერიკაობის“ ელემენტები და მარტო შინაარსით კი არა, ფორმიაც ქართული წარმოდგენა დაედგა. მე გატაცებით ვიმუშავე ამ პეისა-

ზე, ჩაებარე კიდევ, მაგრამ ახმეტელს მისი დადგმა აღარ დასცალდა (ეს პეისა — „შემოდგომის აზნაურები“, შემდეგ კ. პატარიძემ განახორციელა სცენაზე).

შესაძლოა მარჯანიშვილმა და ახმეტელმა ბევრი ქართული დრამატურგის პეისის დადგმა ვერ მოახერხეს, ბევრისა დადგეს და თეატრის ისტორიას არ შემორჩა, მაგრამ ბევრიც შემორჩა. მთავარი კი მაინც ის არის, რომ ორივეს უპირველესად აინტერესებდა თანამედროვეობაზე შექმნილი პიესები, თანამედროვე პრობლემები.

რუსთაველის თეატრი დღესაც ერთვულია თავისი ტრადიციებისა და პრინციპების. წარმატებითმა ვასტროლებმა მექსიკაში, დასავლეთ გერმანიაში, ინგლისში, საბერძნეთში, იტალიაში, შვეიცარია-

ში, საფრანგეთში რუსთაველის თეატრს სახელი გაუთქვა ევროპაში, დღეს მას მსოფლიოს პირველ თეატრებს შორის იხსენიებენ.

რუსთაველის თეატრს დღეს სათავეში უდგას მეტად ნიჭიერი და ფართო დიაპაზონის რეჟისორი. მის ხელში ჩვენი თეატრი კედევ უფრო დიდ წარმატებას მიაღწევს.

ჩვენ კი სხვა კეთილ სურვილებთან ერთად, ვისურვებდით, მისი მომავალი წლების რეპერტუარში სკარბოდეს ქართული პიესები, სადაც ჩვენი თანამედროვეობის მტკივნეული პრობლემები, ჩვენი თანამედროვე ადამიანის სულიერი ძვრები და ტკივილები იქნება წინა პლანზე წამოწეული. ამით რუსთაველის თეატრი დიდ ეროვნულ საქმეს გააკეთებს.



## ღ ი ღ ი

სცენა სპექტაკლიდან „ცეცხლის წუარა“

უშანგი ჩხეიძე — პამლეტი

სცენა სპექტაკლიდან „პამლეტი“



კონტ მარჯანიშვილმა ერთხელ თქვა: ოცდაათი წლის მანძილზე ვეძებდი ჩემს თავს, მე ის ვიპოვე ქართულ თეატრშიო, გულახდილი აღსარებაა. მოუსვენარმა ცხოვრებამ საღ არ ატარა, იგი ქმნიდა ახალ თეატრებს რუსეთის იმპერიის უკიდევანო სამყაროში, ახდენდა თეატრალურ რევოლუციებს, ქმნიდა ბრწყინვალე სპექტაკლებს და



# თ ე ა ტ რ ი

## ვასილ კიკნაძე

უდიდეს როლს ასრულებდა რუსული პროფესიული რეჟისურის ფორმირებაში, საერთოდ თეატრალური ცხოვრების წარმატებაში. ფართო იყო სივრცე მარჯანიშვილის თეატრისა. ვალმოხდილი, დაბრძნებული დაუბრუნდა თავის სამშობლოს. ამიერიდან იწყება ახალი ეპოქა მისი ბოგორაფიისა და ეპოქა ქართული თეატრისა. ორმხრივ ბედნიერი იყო შეხედრა მშობლიურ სამყაროსთან. რა ბევრი დააკლდებოდა კ. მარჯანიშვილის სახელსა და დიდებას, საქართველოში რომ არ ემოღვაწა. მეორეს მხრივ წარმოდგენაკი ძნელია თუ როგორ წარმართებოდა ქართული საბჭოთა თეატრის ბედი უმარჯანიშვილოდ.

ცხოვრების ახალი საბჭოთაო წესის დაწყებამ, კ. მარჯანიშვილს შესაძლებლობა მის-

ცა რევოლუციურად გარდაექმნა ქართული თეატრი, ჩამოეყალიბებინა რუსთაველის თეატრის მოდელი. ა. ლუწანაშვილმა ზუსტად განსაზღვრა კ. მარჯანიშვილის წარმატების საიდუმლოება ქართულ თეატრში: „ქართულმა სტილმა და იმ ენამ, რომელიც ასე დიდებულად აედგრა ჩვენთვის სცენიდან, შექმნეს რაღაც განსაკუთრებული პარმონია. ეს აიხსნება, რა თქმა უნდა, თვით მარჯანიშვილის ნაციონალური თვალთხედით, რომელსაც თავის მშობლიურ ნიადაგზე უნდა ენახა მეტი მაცოცხლებელი ძალა, ვიდრე რომელიმე სხვა გარემოცვაში“.

მშობლიური რატემები, ქართული ტემპერამენტი „ფანტაზიის თავაწყვეტილი აფორმირება“, ძალუმაღ ავლენდა ქართველი ხალხის თეატრალურ გენიას. ხსნიდა მისი სულის წიაღში დღეგრული არტისტული ფენომენის საიდუმლოებას. კ. მარჯანიშვილმა იგრძნო ეპოქის მაჯისცემის თავისებურება და ხალხის სულში დღეგრული მრავალსაუკუნოვანი სანახაობითი კულტურის ცხოველმყოფელობა. იგრძნო და დიდებულად გამოხატა იგი. ლოპე დე ვეგას „ცხვრის წყაროს“ მისეულ დადგმაში გამოიხატა მარჯანიშვილის რევოლუციური სული, სპექტაკლმა გამოავლინა ქართველი მსახიობის დიდი არტისტული ნიჭიერება, „საერთო ნაბიჯით ევროპასთან ერთად“ — თქვა მარჯანიშვილმა და რუსთაველის თეატრიც გაბეზულად გააყვა მაღლგანვითარებული ევროპული თეატრალური კულტურის კვალს. მაგრამ ეს იყო არა მიბაძვა ან უბრალო განმეორება ევროპული თეატრალური ფორმისა, არამედ ღრმად ეროვნულ, ქართულ თვითმყოფად კულტურას ენიჭებოდა ევროპას თეატრალური კულტურის მიღწევები, აფართოებდა თეატრის თვალსაწიერს, ქართულ თეატრში დაიდაღა დინამიური ექსპერიმენტული ძიებების ხანა!

თეატრში იქმნება „ცხვრის წყარო“ და „პამლეთი“, „ვაახნარებელი მდაბიო“ და „გაერა“, „მზეთამზე“ და სხვა სპექტაკლები, რომლებიც სრულ წარმოდგენას ქმნიან მარჯანიშვილის მრავალპლანობიან ძიებათა ხასიათზე. იგი ერთბაშად ამკვიდრებდა ახალ ხელოვნებას, საფუძველს უყრიდა ახლებურ თეატრალურ აზროვნებას, სრულიად ანახლებდა საშემორულებლო ტექნიკას, აცხოველებდა თეატრალურ ფანტაზიას, ყველის აოცებდა ფორმათა ელვარებით, სახეიშო თეატრალიზით, თემებისა და პრობლემების



სცენა სპექტაკლიდან „არღვევა“

სიმამფრით. თეატრი მოექცა საზოგადოებრივი ცხოვრების ავანგარდში.

რუსთაველის თეატრმა ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში უნივერსიტეტის როლი შეასრულა. აქ ეკ უპირველესი როლი ეკუთვნის მის განმანახლებელს, ახალი ქართული საბჭოთა თეატრის ფუძემდებელს კ. მარჯანიშვილს. მან 1926 წლამდე (რუსთაველის თეატრიდან წასვლამდე!) მოასწრო თეატრის მტკიცე საფუძვლების ჩამოყალიბება. პირობითი თეატრალური ესთეტიკის პრინციპების ფორმირება ქართულ თეატრში. ძველის მსხვერვისა და სიახლეთა დაუფლების გაკვეთილი მისცა ახალ თეატრებს. რუსთაველის თეატრი, უპირველესად კ „სულთრეულები“, რომლებიც ფიცით შეიყვანენ, შემოქმედებითად მარჯანიშვილის სინთეტური თეატრის ერთგულნი დარჩნენ. ასე იყო მაშინაც, როცა სრულიად გაიყარა მათი გზები. რუსთაველის თეატრიდან მარჯანიშვილის წასვლა დიდი ადამიანური ტრაგედია იყო, მაგრამ ისტორიულად კანონზომიერი თავისი დიდი შედეგებით. საქართველოში შეიქმნა ორი დიდი თეატრი, რომელშიც ითავა ქართველი ხალხის ახალი თეატრალური კულტურის ჩამოყალიბება.

კ. მარჯანიშვილმა თეატრში მოიტანა სინთეტური თეატრის პრინციპები, რაც ორგანულად შეერწყა ქართველი აქტიორის ბუნებას. მარჯანიშვილის სიახლეთა ძიებებს ფართო თვალსაწიერი ჰქონდა. იგი იყენებდა ყველაფერს, რაც კი თეატრის სამყაროში ექცეოდა. პირველ რიგში უდიდესი როლი მიენიჭა სცენოგრაფიას, მუსიკას, ქორეოგრაფიას, ქართველი მსახიობის პლასტიკას, ახალი დროის მსახიობის მოქალაქეობრივ პოზიციას. ამ წლების თეატრში არის გვირგვინ-რომანტიკული სტილი, არის ყოფითი-ფსიქოლოგიური ნაკადი და მიუზიკლი, არის ძიებათა მრავალი სფერო და რაკურსი. რომელიც სავსებით ავლენს ქართული თეატრის დიდი მზატერულ შესაძლებლობებს. სტილური მრავალფეროვნება, ეანრების აღრევა გარკვეულად ართულვებდა თეატრის ერთიანი მზატერული სახის მოდელირებას, მაგრამ მისი მრავალსახეობა თეატრს ანთავისუფლებდა შტამებისა და ერთფეროვნებისაგან, ახლის ძიებისათვის ქმნიდა წინამძღვრებს, იძლეოდა ახალ აქტიორულ სახეთა აღმოჩენის ეფექტს. მარჯანიშვილი თეატრალურ-რეკლუქტიურ გარდაქმნებში ეყრდნობოდა თავის უმდიდრეს გამოცდილებას


და ქართული თეატრის წინა პერიოდში ჩატარებულ მუშაობას. მას გარკვეულად მომზადებული ნიდაგიც დახვდა. საქართველოში შექმნილი სოციალურ-პოლიტიკური პირობები საშუალებას აძლევდა ავღორძინებინა ქართული თეატრალური ხელოვნება, შეექმნა საქართველოსთვის მანამდე უცნობი, სრულიად ახალი ტიპის თეატრი, კ. მარჯანიშვილის პირობითი თეატრალური მრწამსა თანაზიარი იყო ახალგაზრდა ამბეტელის შეხედულებების, რევოლუციამდელ თეატრში. იგივე საუკუნის აიბანი წლებს შემდეგ იგი ერთადერთი რეჟისორი იყო, ვინც პირობითი თეატრის ესთეტიკას იცავდა, ამდენად განაგებდა როცა კ. მარჯანიშვილმა განაცხადა: მე მინდა გვერდით მყავდეთ ახალგაზრდა რეჟისორი ს. ამბეტელი. ვაგ სულ ორიოდვე წელი და ს. ამბეტელი იტყვის: „ხაზი, რომელიც მე ავიღე, ქართულ თეატრში ჩემს თეატრში მოსვლისაანავე, საყვებით გამოდგა წინამორბედი იმ საერთო თეატრალური გზისა, რომელსაც ადგას კოტე მარჯანიშვილი“... თქმა ამისა დიდი გაბედულებაა და დიდი სიმართლეც. ყველა სპექტაკლი ერთობლივი ხელის მოწვერი მიდიდა და აქაც ვლინდებოდა კ. მარჯანიშვილისა და ს. ამბეტელის შემოქმედებითი პრინციპების თანამოხვევა. ზოგჯერ ერთნაირი არ იყო თითოეულის წვლილი სპექტაკლში, მაგრამ აფიშას მაინც ორივე აწერდა ხელს. თანდათან იმძლავრა შემოქმედებითაა განსხვავებამ, მას თან სდევდა წმინდა ადამიანური შეპირისპირებაც. თეატრისა და მის გარეთ წარმოქმნილი ვნებათაღელვა, რაც ერთობ აპოხიერებდა საკონფლიქტო სიტუაციებს და... მარჯანიშვილი თეატრიდან წავიდა!

1926-27 წლების სეზონი ერთგვარად გარდამავალი იყო, უმარჯანიშვილოდ დარჩენილ თეატრს ერთბაშად ათასი საზრუნავი დაატყდა თავს. შეიქმნა რთული ფსიქოლოგიური კლიმატი, საზოგადოება აღაშფოთა „დურუჯის“ უკომპრომისო ბრძოლამ, რასაც თეატრიდან მარჯანიშვილის წასვლა მოჰყვა. თეატრი დარჩა „დურუჯის“ მეთაურის ს. ამბეტელის ხელში. სეზონის სპექტაკლებიდან მხოლოდ ა. გლეგოვის „ზაგმუქმა“ მიიქცია ყურადღება. თეატრში თავი აჩინა კრიზისულმა სიტუაციამ. მიუხედავად იმისა, რომ მომდევნო სეზონში დიდი წარმატებით დაიდგა ბ. ლაგერნევის „რღვევა“, დაისი ნაწილი მაინც წავიდა თეატრიდან.

ოციან წლებში რუსთაველის თეატრის დიდ აქტიურულ ხელოვნებას ქმნიან უ. ჩხეიძე და ვ. ანჯაფარიძე, ა. ხორავა, ა. ვასაძე, თ. ქავჭავაძე, ნ. წულუკიძე, გ. დავითაშვილი, ს. ყორჯოლიანი, მ. გვლოვანი და სხვები, კ. მარჯანიშვილი პირდაპირ სიაცარი

გულუხეობით ავლენდა მსახიობთა ნიჭიერებას, სცენოგრაფისტებს, კომპოზიტორებს. დიდი აღმავლობის წლებია რუსთაველის თეატრისთვის 20-იანი წლები. ძიებნა და წარმატებანი იოლად არ ხდებდა, არის შეუღლომები, ჩავარდნები, მაგრამ თეატრი სულ უფრო და უფრო გაბედულად ქმნის ახალ წარმოდგენებს ეძებს ახალ ხერხებს და საშუალებებს, მრავალძლიანად ძიებათა რაკლებშია ს. ამბეტელის სპექტაკლები „ბერლო ზმანია“, „როდამი“, „ლატავია“, „შპინგელმენში“, „სალომა“! კ. მარჯანიშვილის „ჰამლეტის“ გვერდით თითქმის უცნაურია მათი დასახელება, მაგრამ ისინი ყველანაერთად წარმოაჩენენ ქართული სანახაობითი კულტურის მრავალფეროვნებას, მის ღრმა დინებათა ათას განშტავებას, ძიებათა უნაპირო სივრცეებს.

ამბეტელი ეძებს მეამბოხე გმირის თემას, ეძებს ყველაფერს, არსებითად აქ არის საწყისი იმ გზისა, რომელსაც იგი ახალი ქვეყნის მშენებელ რომანტიკულ გმირებთან მიიყვანა. ევოლუცია ამბეტელის შემოქმედებითი გზისა სათავეს იღებს „ბერლო ზმანიაში“, ვაიცილი ექსპრესიონისტულ და სიმბოლისტურ ძიებათა ნაკადებს და ფორმირდება სრულიად ახალ სახეში — გვირგვინ-რომანტიკულ თეატრში. რუსთაველის თეატრში ექსპრესიონიზმს მოაქვს ახალი საშემსრულებლო ლექსიცა და ხელს უწყობს თეატრის მოდერნიზებას. იგი საყვებითა ბუნებრივი ფორენა რუსთაველის თეატრის ისტორიაში. ამბეტელის ნოვატორულ ძიებათა კომპლექსში ბუნებრივად თავსდება ექსპრესიონისტული და სიმბოლისტური დრამატურგია თავისი სიახლეებით. ამბეტელის შემოქმედება კი საერთოდ გლობალურდება თავისი მასშტაბებით. იგი გარკვეულად უკავშირდება იმ ძიებებს, რასაც ეწოდა ვ. შეიერპოლდი, გ. ფუქსი, ლ. კურბასი, რენჰარტი, ე. პისკატორი. თეატრალური პარალელებია და მერიდიანებია ამ სივრცეებს ბუნებრივი კავშირი აქვთ ერთიერთთან, თვით საუკუნის მიერ წამოპრილი პრობლემების ნაირგვარობასთან, ღრმა სოციალური, პოლიტიკური თეატრის პლატფორმასთან. ამბეტელის ძიებანი მოიცავდა ახალი ქვეყნის რევოლუციურ გარდაქმნათა დიდ შინაარსს, მეტროპოლი ჰუმანიზმის პოზიცია აერთიანებდა წარსულსა და აწყყოს, ძველსა და ახალს, რომანტიკული გმირი იქცეოდა ფართო მასშტაბის, ამდლებული სულის დიდ მეტაფორულ სახედ. ამბეტელმა შექმნა გარკვეული მოდელი ქართული რომანტიკული თეატრისა, იგი საბოლოოდ დაასრულა „ყაჩაღებში“, ხოლო შემდეგ შეჩერდა და დაიწყო სრულიად ახალი თეატრა-






სცენა სპექტაკლიდან „ლამარა“

სცენა სპექტაკლიდან „ანზორი“

სცენა სპექტაკლიდან „ვანალები“

ირაკლი გამრეკელი  
დეკორაციის ესკიზი სპექტაკლისთვის  
„თონიულდი“





ლური სამყაროს მოდელირება. ეს იყო ახალ ძიებათა კარიბჭესთან დგომა და ჩაფიქრება. მისთვის იქნებ სავსებით ნათელიც კი არ იყო საით წარიმართებოდა ძიებანი, რა გზას გაჰყვებოდა თეატრი. „ლუარსაბ თათქარიძისა“ და „კლდიაშვილის ნიღბების“ დადგმაზე ფიქრი, ჩვენში ათასგვარ ახნის ბადებს... ამოა იმის გარკვევა, რაც ასმეტელს გაჰყვა...

30-იანი წლების პირველ ნახევარში გრძელდება 20-იან წლებში წარმოქმნილი ძიებანი. ცოცხალი თეატრალური პროცესები ფართო პლანში მიედინება და მრავალწვრილ შენაკადს ქმნის, ფართოდაა გაშლილი მისი ნაპირები. საბჭოთა ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარი ღრმა სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებები, ადამიანის სულიერი და ეკონომიური ცხოვრების განმანახლებელი მოძრაობანი თეატრისაგან მოითხოვს შესაბამის მხარდაჭერას და ქართული თეატრიც ჩვენი ხალხის ესთეტიკური ცხოვრების ავანგარდში ექცევა. თეატრი ხდება მეგრძოლი, თეატრი ტრიბუნი, თეატრი ახალი ქვეყნის სულიერი ცხოვრების გამომსახველი.

რუსთაველის თეატრის სცენაზე იდგმება ვ. კირშონის „ჭართა ქალაქი“, ე. იანოვსკის „ყამირი“, ა. სლავინსკის „პროტესტი“ და „ლაზარა“ (ვაჟა ფშაველას ნაწარმოებთა მოტივების მიხედვით). ამით მთავრდება ოციანი წლები და იწყება ახალი ოცდაათიანი წლების პირველი სეზონი. ამის შემდეგ ახ. ჭეტელი მხოლოდ ოთხი წელი ხელმძღვანელობდა თეატრს. ს. ახმეტელს მხარში ედგნენ რეჟისორები შ. აღსაბაძე, აკ. ვასაძე და კ. პატარიძე. ახმეტელის ხელმძღვანელობით იდგმებოდა ყველა სპექტაკლი. „ახზორი“, „ჭართა ქალაქი“, „ლაზარა“, „თეთნულდი“, „ყაჩაღები“ და თუ აქვე მოვიხსენიებთ 1928 წელს დადგმულ „არღვევას“. — განსაზღვრავდა რუსთაველის თეატრის სახეს.

1930-1931 წლებს სეზონში ახმეტელის ხელმძღვანელობით იდგმება ა. მირცხულავას „განგაში“. ს. შანშიაშვილის „სამნი“, მომდევნო სეზონშიც მხოლოდ ორი ახალი სპექტაკლი დაიდგა — შ. დადიანის „თეთნულდი“ და პ. სამსონიძის „სალტე“. 1932-1933 წლების სეზონში კი ერთი სპექტაკლი ფ. შილერის „ყაჩაღები“. და ბოლოს ახმეტელმა დადგა ლ. სლავინის „ინტერვენცია“ და ვ. შვეარცინის „ნაბიჭვარი“. ამ უკანასკნელის პრემიერა შესდგა 1934 წლის 4 აპრილს. ეს წელი თეატრმა „დურუჯის“ შექმნიდან განვლილი ათწლეულის საიუბილეო მხადებს მოანდომა, დიდი დრო და ენერჯია



აკაკი ზორაგია — ოტელო

აკაკი ვასაძე — იაგო

მოხმარდა საზღვარგარეთ გასტროლები-სათვის მზადებას.

ს. ახმეტელის სპექტაკლებმა ნათელყვეს გმირულ-რომანტიკული თეატრის მთელი სიღამაზე. „ანზორი“, „არღვევა“, „თეთნულ-ლი“ და „ქართა ქალაქი“ უშუალოდ ეხებოდა თანამედროვეობას. მის გვერდით მნიშვნე-ლოვან ადგილს იჭერს მითოლოგიური თემა და კლასიკა.

რუსთაველის თეატრმა „ლამარაში“ ადგი-ლობრივი თქმულება ხაკაცობრიო დრამის სიმადლეზე აიყვანა. თავის დამაბულობით, სიღნეკითა და ასახვის უზრარლობით ეს სპექტაკლი შექსპირისებურია (ხაზი ჩემია ვ. კ.). რეჟისორი ახმეტელი დაკვიდრებულია საკვირველი ხელოვნებით რომ ყველაზე რთული სცენური მდგომარეობანი დამაჯე-რებლად და ხელმისაწვდომად ჩამოასხას<sup>1</sup>, ასე აფასებდა სპექტაკლს კრიტიკოსი კ. ფე-ლდმანი.

ს. ახმეტელის რომანტიკულ თეატრში უმთავრესი იყო ღრმად ადამიანური ტრაგე-დიის თემა. სწორედ ამ პრინციპს ეფუძნე-ბოდა „არღვევის“, „ანზორის“, „ლამარას“, „ქართა ქალაქის“, „თეთნულდის“, „ყინა-ელბის“, დაღმები. სპექტაკლები იძლეოდა რომანტიკულისა და ფსიქოლოგიურ სინ-თეზს.

სავსებით მართებულია გ. ტოვსტრონოვო-ვის შენიშვნა: „რომანტიკა და ფსიქოლოგია უნდა ერთიანდებოდეს ერთ სპექტაკლში, იქნება ის „ობტიმისტური ტრაგედია“ თუ „ჩემი უფროსი და“, „არღვევა“, თუ „ქორ-



წინების დღე<sup>2</sup>. არ უნდა გავაღარებოთ ჩვენი ხელოვნება მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ თეატრის ზოგიერთ მოღვაწეს ვერ მიუღ-წევია ამ სინთეზისათვის<sup>1</sup>.

ა. ახმეტელის დიდი რეჟისორული ძალა სწორედ ამ სინთეზში იყო. ალბათ ამ ფაქტ-მაც განაპირობა ახმეტელისადმი გ. ტოვს-ტრონოვოვის განსაკუთრებული სიმპათია, რომელსაც იგი ხშირად გამოხატავს ხოლმე.

ა. ახმეტელმა აამილა ქართული თეატრის საერთაშორისო ავტორიტეტი.

ხშირად წერდნენ, რომ ს. ახმეტელი არის საქართველოში „თეატრალური ოქტომბრის“ მედროშე. ვ. ბლიუმი პირდაპირ ამბობდა: „ახლა ჩვენი ვიცით, თუ როგორი დროშების ქვეშ თუ ვისი „ძახილის“ ქვეშ იწარმოებს გაშლა საბჭოთა თეატრისა“, და აქვე განაგ-რძობდა „ელაპარაკობ ენის დაუბმელად, — ახმეტელი ხდება მეიერჰოლდის დროშის შემკვიდრე“<sup>2</sup> (ხაზი ყველგან ჩემია—ვ. კ.). ხო-ლო რაც შეეხება ს. ახმეტელის თეატრის ვა-მოდისილს მოსკოვის თეატრალურ ცხოვრება-ში, ამაზე მიუთითებს ვ. ბლიუმიც: „მისი (ახმეტელის) შემოქმედება დღეიდან იქნება საყრდენი (ზოგჯერ კი ამოსავალი) მოწინავე საბჭოთა თეატრალური კრიტიკული აზრისა“ (ხაზი ყველგან ჩემია — ვ. კ.) ასე, რომ ახ-მეტელის თეატრი გავლენას ახდენდა სხვებზე, მისი საოცარი თვითმყოფადი ბუნება ხიზ-ლავდა ყველას.

<sup>1</sup> გ. ტოვსტრონოვი, რეჟისორის პროფესია, საქარ-თველოს თეატრალური საზოგადოება, თბ., 1975, გვ. 118.

<sup>2</sup> ვ. ბლიუმი, რუსთაველის თეატრი, კრებული, 1934, გვ. 32.





რუსთაველის თეატრის დასის შეხვედრა  
ვლ. ნემბროვიჩი-დანჩენკოსთან ქართუ-  
ლი კულტურის დეკადანზე მოსკოვში,  
1936.

აკაკი ხორავა — ივანე მრისხანე („ლიდი  
ხელშეიფე“)





სცენა სპექტაკლიდან „ოიდიპოს მეფე“

ვინც უფრო ღრმად ეროვნული სულის გამოსახვაში, ვინც უკეთ სწვდება თავისი ხალხის ფეხებს, მით უფრო საინტერესოა იგი ყველასათვის. „ეროვნული კულტურის ხარისხობრივ განვითარებას ინტერნაციონალისკენ მიყვავრთ“ — თქვა ასმეტელმა. ერთი სიტყვით „ვინც არ ეუფთვნის სამშობლოს ის არც კაცობრიობას ეუფთვნის“ (ბ. ბელინსკი). სწორედ ასე შეერწყა და შეენაერთა ერთმანეთს ეროვნული და ზოგადკაცობრივი ასმეტელის თეატრში.


ევოლუცია, რომელიც ასმეტელის შემოქმედებაში ხდებოდა, იმპულირებული იყო ავით ჩვენს ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებებით, რაც თავისთავად მოითხოვდა მხატვრული ორიენტაციის შეცვლას, მსოფლიოს თეატრალურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებას!

ასმეტელმა ვერ მოასწრო თეატრალური ზღოვებების ყველა სფეროს ჩაწვდომა, ერთნაირად ვერ გაუნაწილა დრო და ენერგია.

მაგრამ მთელი შემოქმედება იყო უზარმაზარი ძიების პროცესი, რომლის თავისებურებანიც ყველაზე უკეთ „ყაჩაღებში“ გამოვლინდა. აქვე შეიქმნა აკ. ხორავასა და აკ. ვასაძის დიდი აქტიორული სახეები. სპექტაკლში გამოჩნდა გ. დავითაშვილის, თ. წულუკიძის, ე. ლორთქიფანიძის ნიქიერება.

30-იანი წლების პირველ ნახევარში დასრულდა რუსთაველის თეატრის ერთი პერიოდი. იგი დაკავშირებულია არა მარტო ასმეტელის თეატრიდან წასვლასთან, არამედ იმ რთულ სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებთან, რომელიც იმეამად საქართველოში მიმდინარეობდა. დასრულდა ასმეტელის თეატრის ეპოქა. მასზე დარჩა ლეგენდები და თქმულებები. აღფრთოვანება და ტკივილი.

თეატრმა მსოფლიო სახელი მოიპოვა, ზედმეტ არ იქნება ამ საიუბილეო წერილში კვლავ გაიხსენოთ. „იგონებენ ყველაზე უფრო მკაფიო, ყველაზე უფრო ძლიერ თეატრალურ შთაბეჭდილებას და, მართალი



ქართული  
ენციკლოპედია

ფარნაოზ ლაიაშვილი  
დეკორაციის ესკიზი „ბასტიონი“  
სპექტაკლისთვის

სცენა სპექტაკლიდან „ბასტიონი“

სცენა სპექტაკლიდან „ბებერი მუზუნე-  
ები“


სერგო ზაქარიაძე — ფიროსმანი („ფიროსმანი“)



რომ ითქვას, არც ერთის შედარება არ შეგვიძლია" — წერდა ე. ბესკინი. „რუსთაველის თეატრი ნამდვილი სიცოცხლეა. ხელოვნება მოცემული უდიდეს ფორმაში. ათასი მაძლობა“ (ე. მორტონი). გამოჩენილი ნორვეგიელი პოეტი და დრამატურგი ნ. გრივი წერდა, „მაძლობა რუსთაველის თეატრის სიცოცხლით სავსე და უმშვენიერესი სპექტაკლებსათვის, რომელთა მსგავსი არასოდეს მინახავს“. „ქართულმა არტისტებმა და მათმა გენიალურმა რეჟისორმა ახმეტელმა კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვეს“ (ა. ქრისტენსენი). „ქართულ თეატრს ჰყავს თავისი გენია“ (პ. ფლანგანი). მსოფლიოს სხვადასხვა ადამიანთა ამ აღფრთოვანებულ სტრიქონებს თითქოს აჯამებს ევროპის თეატრალურ გაერთიანებათა დირექტორის პ. ფლანგანის წერილი: „უფლებას ვაძლევ ჩემს თავს მხოლოდ შეგვეკიხოთ. — გაქვთ თუ არა სურვილი ამერიკაში მოსვლამდე ჩამობრძანდეთ ევროპის მთავარ ქალაქებში. ვფიქრობ, პირველად ვენაში, შემდეგ ბუდაპეშტში, პრაღასა და ვარშავაში, ციურხისა და პარიზში, ლონდონსა და ამსტერდამში, ბრიუსელში, პაგასა და, შესაძლებელია, იტალიაშიც... რა შორს წავიდა ახმეტელის თეატრის სახელი. გავა ნახევარი საუკუნე და რუსთაველის თეატრი რ. სტურუას ხელმძღვანელობით კიდევ უფრო გააფართოებს ფლანგანის მიერ შემოთავაზებულ მარშრუტს. იცვრება ბუნებრივი წრე. დღეს თანამედროვე რუსთაველის თეატრზე სახეებით შეიძლება გავიმეოროთ ის, რაც ა. ლუნაჩარსკიმ ნახევარი საუკუნის წინათ თქვა: „რუსთაველის თეატრმა გააკვირვა მოსკოვი. რუსთაველის თეატრი მსოფლიო თეატრების პირველ რიგში წინაურდება“.

რუსთაველის თეატრის რთული პერიოდი დაუდგა 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან, რომელიც კარგა ხანს გაგრძელდა. სირთულე მრავალმხრივი იყო. იგი მოიცავდა რუენისურის, აქტიორული ოსტატობის, მხატვრული სტილისა და ძიებების მრავალ სფეროს. თეატრის წინაშე ერთბაშად დადგა საკითხი — რა გზით წასულიყო მისი განვითარება.

1935-36 წლების სეზონში დაიდა ა. კორნიჩუკის „პლატონ კრეჩტი“, დ. კლდიაშვილის „შემოდგომის აზნაურები“, კ. ვოლდონის „სასტუმროს დიასახლისი“, ს. შანშიაშვილის „არსენა“... სპექტაკლებს იმხანად ხაზგასმული პროპაგანდა გაუწია პრესამ. თეატრში მოხდა ნამდვილი გარდატეხაო. მართლაც 1934-35 წლის სეზონის ფონზე მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა, მაგრამ





ეს სრულიადც არ ნიშნავდა იმას, რომ თეატრი ახლა დადგა რეალიზმის გზაზე.

30-იანის მეორე ნახევარში რუსთაველის თეატრის სცენაზე წამყვან ადგილს იკებრს აკ. ვასაძის, შ. აღსაბაძის, კ. პატარიძის და დ. ალექსიძის სპექტაკლები. დ. ალექსიძემ 1936 წლიდან დაიწყო მოღვაწეობა.

სულ სხვა ტენდენციას გამოხატავდა კ. პატარიძის დადგმა „შემოდგომის აზნაურები“. (მხატვარი დ. თავაძე). მსუბუქი სატირული სპექტაკლი შეესაბამებოდა კლასობრივი ბრძოლებით სავსე პერიოდს. „პლატონ კრეჩეტი“, მეორეს მხრივ, „შემოდგომის აზნაურები“. ამ ტენდენციებში თავსდებოდა აკ. ვასაძის „არსენა“ და დ. ალექსიძის „სასტუმროს დიასახლისი“. „არსენას“ დადგმაში შეიმჩნეოდა ინერციულობა რომანტიკული სტილისა. საერთოდ, თეატრში თანდათან იკარგება ხალასი რომანტიკა თავისი ღრმა ფსიქოლოგიური ძიებებით და მის ადგილს იკებს ცრუ პათეტიკის დანაშრევები. თეატრის საუფეთესო აქტიორული ძალები თავიანთი დიდი ნიჭის საშუალებით ძლევენ მას, მაგრამ სადაც არ არის ამგვარი სიმძლავრე ნიჭიერებისა, იქ ერთობ რთულდება სიტუაცია.

დიდ სამამულო ომამდე ა. ვასაძე დგამს შ. დადიანის პიესას „ნაპერწყლიდან“, ა.

ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავენი“, ა. კორნეიჩუკის „ბოგდან ხმელნიცისა“ და ს. კლდიაშვილის უკანასკნელ რაინდს“.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თეატრში დ. ალექსიძის მისვლას. იგი ორგანულად უხამებს დრამატულს და კომედიურს ურთიერთს. „ალკაზარის“ გვერდით იდგმება მისი კომედიური წარმოდგენები.

„სასტუმროს დიასახლისმა“ თითქოს რაღაც ახალი, უფრო მივიწყებული ტენდენცია წმეახსენა აუდიტორიას, აგრძნობინა რომ რუსთაველის თეატრის მხატვრული მეოთხედი როდი გამოირიცხავს კომედიას.

1939 წელს კ. პატარიძემ დადგა „გუშინდელნი“. რეჟისორული გადაწყვეტის მხრივ შ. დადიანის „გუშინდელნი“ ბევრი რამ ჰქონდა საერთო დ. კლდიაშვილის „შემოდგომის აზნაურებთან“.

რუსთაველის თეატრში ა. ზორავას და ა. ვასაძის გვერდით წარმატებით მოღვაწეობენ გ. დავითაშვილი, თ. წულუკიძე, თ. ჭავჭავაძე, გ. დავითაშვილი, ე. აფხაიძე, გ. სალარაძე, ე. ლორთქიფანიძე, ი. ლალიძე, ე. აბაშიძე და სხვები. თეატრში ახალი თაობის დაწინაურება ხდებოდა თითქმის შეუმჩნეველად, რადგან შემოქმედებით ზენიტში იყვნენ თეატრის წამყვანი მსახიობები, ერ-



სენა სპექტაკლიდან „ადამიანებო იყავით ფხიზლად!“

დმიტრი თავაძე  
დეკორაციის ესკიზი სპექტაკლისთვის  
„ესპანელი მღვდელი“

სენა სპექტაკლიდან „ესპანელი მღვდელი“

თომბ დიდი იყო თეატრის დანაქარავი, როცა ჩამოაცილეს რამდენიმე მსახიობი...

დ. ალექსიძის „ალკაზარში“ ღერმანაძე, გამოდინ მ. გელოვანი, გ. დავითაშვილი, თ. ბაქრაძე, ხოლო ს. კლიაშვილის „გმირთა თაობაში“ ს. ჭაფარიძე, გ. სალარაძე, წინაურდება ახალგაზრდა მხატვარი დ. თავაძე, თეატრში დიდი წარმატება აქვს ს. ქობულაძეს. ირ. გამრეკელის, დიდი თეატრალური შემოქმედის გვერდით მოღვაწეობენ სხვა მხატვრები. ი. გამრეკელი, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა რუსთაველის თეატრის მხატვრული სტილის შემუშავებაში, თანდათან გზას უთმობს სხვებს.

თეატრში რევოლუციური თემატიკის საზის გაგრძელება და თავისებურად ახალი აელერება იყო შ. დადიანის „ნაპერწყლიდან“ და პოვოდინის „თოფიანი კაცი“. იქნება რევოლუციური პათოსის წარმოდგენები. ამ სპექტაკლებში იკვეთება აკ. ხორავას, აკ. ფასაძის, დ. მეფიძის, ს. ჭაფარიძის, დ. ხუციშვილის, ე. აფხაიძის მიერ შექმნილი სახეები.

„ყაჩაღების“ შემდეგ რუსთაველის თეატრში ყველაზე დიდი მოვლენა იყო შექსპირის „ოტელოს“ დადგმა (რეჟ. შ. აღსაბაძე). ეს არის კვშმარტიად ისტორიული





დღე ქართულ თეატრში. ამავე სეზონში იდგმება „ნაპერწყლიდან“, ნ. შოთავაშვილის „სულელი“ (რეჟ. კ. პატარიძე) გ. მდივნის „სამშობლო“ (რეჟ. დ. ალექსიძე), მომდევნო ორ სეზონში განხორციელდა შვიდი ახალი სპექტაკლი. ა. ოსტროვსკის „უღანაშუალოდ დამნაშავენი“ (რეჟ. ა. ვასაძე), ს. შანშიაშვილის „ფოლადური“ (რეჟ. შ. წერეთელი), ნ. პოგოდინის „თოფიანი ცაიკა“ (რეჟ. ა. ხორავა), ს. მთვარაძის „უღელტეხილზე“ (რეჟ. დ. ალექსიძე), შ. დიდიანის „გუშინდელნი“ (რეჟ. კ. პატარიძე), ა. კორნეიჩუკის „ბოვდან ხმელნიციკი“, (რეჟ. ა. ვასაძე), ს. კლდიაშვილის „გრაფის ქვრივი“ (რეჟ. დ. ალექსიძე), ხოლო მომდევნო სეზონის პირველ ნახევარში (1940 წელს) დაიდგა ს. შანშიაშვილის „გიორგი სააკაძე“ (რეჟ. კ. პატარიძე), ა. სუმბათაშვილის „ალატი“ (რეჟ. ა. ხორავა) და სხვა.

ასე დასრულდა რუსთაველის თეატრის მღელვარე 30-იანი წლები. დასახლებულ რეპერტურაში მთელი თეატრის ძალა გამოჩნდა, ყველა მსახიობი მონაწილეობდა სხვადასხვა როლში. აკ. ხორავას, აკ. ვასაძის, ნ. ჩხეიძის, თ. წულუკიძის, გ. დავითაშვი-

ლის, ე. აფხაიძის, მ. ლორთქიფანიძის, ვ. აბაშიძის, ი. ლალიძის გვერდით მოღვაწეობდნენ გ. საღარაძე, ნ. დავითაშვილი, დ. მეჯვია, ნ. ლაფაიჩი, ა. თოიძე, თ. ბაქრაძე, თ. თუშიშვილი, ვ. დოლოძე, მ. ჩიხლაძე, ნ. ალექსი-მესხიშვილი, დ. ხუციშვილი, ს. ჯაფარიძე, გ. ასიტაშვილი და სხვები. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ნ. ჩხეიძის ზეინაბი, ნ. ჯაფანიშვილის მიკო. თეატრის შემოქმედებითი ცხოვრების მთელი სიმძიმე ხუთი-ექვსი მსახიობის შვრებზე გადადიოდა. პირველ რიგში აკ. ხორავა და აკ. ვასაძე განსაზღვრავდნენ თეატრის გზას, მის ხასიათს. უაღრესად ინტენსიური და ფართო იყო მათი მოღვაწეობა. თეატრის შემოქმედებით მუშაობასთან ერთად ისინი დიდ როლს ანდომებდნენ ორგანიზაციულ საქმიანობას. თეატრს ჰყავდა ძალიან საინტერესო დეკორატორები და კომპოზიტორები. სხვადასხვა სპექტაკლების გასაფორმებლად იწვევდნენ ცნობილ მხატვრებს: ს. ქობულაძეს („პლატონ კრეჩეტი“, „სასტუმროს დიასახლისი“ და სხვა), თ. აბაკელიას („ფოლადური“), რომელსაც გვერდით ედგა დ. თაფაძე. სპექტაკლების მუსიკალურ გადწყ-



ვეტას ხელმძღვანელობდა ი. ტუსკია, ცალკეულ წარმოდგენებზე იწვევდნენ ი. გოკიელს, შ. მშველიძეს, რ. გაბრიჩიძეს და სხვებს.

რუსთაველის თეატრი ცდილობდა შეენარჩუნებინა თავისი სახე, გამოცალკეებოდა სტილურ ნიველირებათა მძლავრ ტალღას, რომელიც ერთობ საცნაური გახდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა თეატრს ჩამოაშორეს დიდი ექსპერიმენტატორი რეჟისორები, თავი იჩინა სტანისლავსკის სისტემის ვულგარიზატორულმა გაგებამ და სამხატვრო თეატრის პრაქტიკისადმი ბრმა მიმბაძველობამ.

რუსთაველის თეატრის საუკეთესო სპექტაკლებში მქვადვდებოდა თეატრის დიდი პოტენციური ძალა, იქმნებოდა საინტერესო აქტიორული სახეები. 40-იან წლებში შემოქმედებითად დაწინაურდნენ ე. აფხაძე, ვიორჯი საღარაძე, ნ. ლაფაჩი, ვ. დოლიძე და სხვები. სრულიად ახალი ამოცანის წინაშე დააყენა თეატრი დიდმა სამამულო ომმა. დაიწყო რეპერტუარის შეცვლა, საშეფოკონცერტების გამართვა. მსახიობთა ნაწილი ფრონტზე წავიდა. მსაყურებელმა მოითხოვა ფსიქოლოგიურად სულ სხვაგვარად აწყობი-

ლი თეატრი. მსახიობები ვადიოდნენ ბობოლის ველზე. თ. ჭავჭავაძე იღონებს: სუვერფრონტის საბრძოლო ხაზზე გასასვლელად გამზადებულ ნაწილში ვართ. მაიორი ახლოვევი კონცერტის დაწყების ნიშანს იძლევა. მანქანა-მანქანას მიუფენეთ და თვლებიან ესტრადაზე შევდგებით, შორიდან ზარბაზნების გრიალი ისმის, მამაცი არტილერიისტები გზას უკაფავენ ჩვენს სატანკო და ქვეითი ჯარის ნაწილებს. რამდენიმე ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი ელის ჩვენს გამოსვლას. და აი, ზარბაზნების გრიალს უერთდება ჩვენი სიმღერის ხმა. საბჭოთა პოეტების ლექსების ძალა... მეომრებს ჩვენი სიმღერა მოაგონებს სახლკარს, თავის სოფელს, რომლის დასაცავად სამშობლომ იარაღი მისცა ხელში.. ამ შეგნებამ რაღაც საოცარი ძალა მოგვცა, ფრთები შეგვასხა. ერთმანეთს ვეღარ ვეკობდით, ისე თავდავიწყებით და გატაცებით გამოვდიოდით. პირადად მე იშვიათად მიგრძმენია ჩემი გამოსვლით ასეთი კმაყოფილება, ასეთი სიხარული საკუთარი ხმის მონახვისა, ნამდვილი არტისტული ძალის განცდისა. მარტო თ. ჭავჭავაძე არ განიცდიდა ასე. იგი თითქმის ზოგადი, ყვე-

ენები სპექტაკლიდან „კინკრავა“





სენა სპეტაკლიდან „სეილემის პროცესი“

სენა სპეტაკლიდან „ხანუმა“

სენა სპეტაკლიდან „სიზრანე-სიცრუისა“.



ლა ხელოვნებისათვის ნაცნობი გრძნობა იყო.


სცენაზე გაიღვიძა ისტორიის მეგრძობლმა სულმა. ქართული თეატრი გახდა მეგრძობლი, როგორც ბრძოლის ველზე ვასული ჯარსაკაო. სულიერი ვეჯაკობა საუკუნეების სიღრმედან მოდის. საუკუნეების მანძილზე იწრთობოდა და კრისტალდებოდა ის ფორმები, რომელსაც ყოველი თაობა იღებდა და ითვისებდა, როგორც ძვირფას ტრადიციას.

ომმა გამოსცადა თეატრი. თეატრმა გაუძლო მას. სცენაზე გვიჩვენა საბჭოთა ხალხის უდიდესი გმირობა, სულიერი სიმზნევე და ვეჯაკობა, რომელსაც ჩვენმა ხალხი ავლენდა და ყოველდღიურ ცხოვრებაში, იგი შთაგონებული იყო გამარჯვების რწმენით. ამ რწმენას უნერგავდა თეატრიც. ვინ მოსთვის რამდენი ამალეღვებელი სახანაბობის მოწმენი ვახდენენ საბჭოთა მეომრები ბრძოლის ველზე, რამდენი მეგრძობლი სიმღერა, ლექსი ითქვა სანგრებში, ქვემეხებისა და ზარბაზნების ქუხილში...

რუსთაველის თეატრის სცენაზე იდგმებოდა გ. მდიენის „ბატალიონი მიდის დასავლეთისაკენ“, „მოსკოვის ბუქსთან“, ვ. დარსაყლის „კეკელი“, ფ. ვოლდის „პროფესორი მაქლოკი“, ა. რეჟიშვილისა და მ. კაცის „ოლეკო დენდია“, დ. ერისთავის „სამშობლო“, ა. ყაზბეგის „ხევისბერი გიორგი“, ა. შანშიაშვილის „კრწანისის (ბ. შანშიაშვილის ინსცენირებით). ამ რეპერტუარში ჩანს თეატრის მოქალაქეობრივი პოზიცია. თანამედროვეობისა და ისტორიულ-რევოლუციური წარსულის ასახვით თეატრი მაყურებელში აღვიძებდა მეგრძობლ სულს, აღძრავდა მტრისადმი სიძულვილს. ეს იყო მთავარი და თეატრის ეს მხატვრული პოზიცია რეპერტუარში ვლინდებოდა. თეატრის ესთეტიკური პრინციპი უპირველესად სწორედ მეგრზე გამარჯვების იდეას ემსახურებოდა. ეს კი მიითხოვდა სამეგრელებულ ლექსიკის თავისებურ გადაწყვეტას. სცენაზე ფართო გასაქანი მიეცა „მაზინჯ სხეულში მახინჯი სულის არსებობის“ იდეას. მისი რეალიზაცია ხდებოდა მუქ ფერებში, რათა მაყურებელი განეწყო მტრისადმი სიძულვილით.

რუსთაველის თეატრის ომის წლების დადგმები სრულიად არათანაბარი იყო. ზოგჯერ სრული ავტაკტუური ხასიათი ქონდა. შიშვლდებოდა ტენდენცია. იქმნებოდა დადებითის და უარყოფითის შეპირისპირების სტერეოტიპული მოდელი, მაგრამ თეატრი აღწევდა უმთავრესს — სრულ გაგებას და თანაგრძობას მაყურებელში. ომის შემდგომ წლებშიც კვლავ ჭრბოვანი ადგილი ეკავა ომის თემას. დადგმები სტილურ

„ჩინარდ III“-ის პროგრა-  
მა-ბუღალტრა. ლონდონის  
„რუნელ-პუზი“.



„კაქაშვილი“, 30 აპრილი


### თავები ცვიპა, ზვირპვინაზი რჩაბა

შექსირის „ჩინარდ მესამე“, რომელიც ნოვაცი-  
რტლად დაღვა ქართული თეატრის რეჟისორმა რ.  
სტურუამ. ერთი შეხედვით თითქოს სადა და მარტი-  
ვია, მაგრამ ქალზე რთულია ამოხატვობა. უპირველეს  
ყოფილია, იგი ინგლისს წარმოვიდგენს მისი ათხვევ-  
არ ნიუანსებით.

თეორად შემოხილი სცენის უკან მხარე მონას-  
ტრის მოქმედი წაგავს, რომელსაც თავს დაშობია ზეცა-  
ამ ბიჭუფრულ ინგლისურ სამყაროში, სადაც ხშირად  
წვიხს, მზივნარე ვნებებს ქოლგეხვეშე მოუკალითე-  
ბიათ, საქცეკლის ერთერთი მოთავარი გმირი გვირგვინ-  
ია. ის არის მრავალი უხედღებების მიზეზი. რჩინარდ  
მესამის დრამაც მან განაპირობა. ამ გვირგვინს ისე თა-  
მაშვებენ, რაცირც ბურთის თბილისის „ღინამოს“ ტატო-  
ინზე. ხელიდან ხელში გადადის გვირგვინი და უკან  
თავებით მოფენილ სისხლიან კვალს სტოვებს. გვირ-  
გვინი ძალაუფლების სიმბოლია, ხელსუფალინი მას  
თავზე იდგამენ. შემდეგ ვაი, რომ თავი ტანს შორდ-  
ბა! სისხლიანი კვალი ბოლის დედალად მიდის, რი-  
მელიც რ. სტურუამ დიდებულად გაჩაჩაჩა. საერთოდ,  
შექსირის მიხედული წაიხთვა აღვირბეებითაა შე-  
უკული.


გაიძვერა ჩინარდის შენიღებულ ნაბიჯთა შორის სა-  
მავალითა სცენა ღელს ანახთან. აქ იგი აღ კაონის  
ვეგონებს, რიცა თავის მხხვეპოლს ლინიერ მკლავე-  
ში მოქცეებს და ღამის სული ამოხალის.

ძალზე ეფექტურია წარმოდგენის ფინალური სცე-  
ნა, რიცა ჩინარდი ნელა მიიწევს ტახტისაკენ, თავზე  
ვეგონებს იდგამს და სინათლუც ქრება. წამიც და სი-  
ნათლუც კვლავ ინთება. ჩვენს წინაშე გამოდგან მახა-  
იობები, რომლებმაც მთელი თავისი ეშხი და ნიქიქვა  
დააუტყვის სცენაზე. გამომის რამაზ ჩხიქვაძე, კაკა-  
სიორი ტემგარამენცისა და ზღვა ემოციის მქონე აქ-  
ტიორი.



სცენა სპექტაკლიდან „სამინიშვილის დედინაცვალი“

სცენა სპექტაკლიდან „გუშინდენი“



საპარტიველოდან ჩამოტანილი  
ბრწყინვალე „რიჩარდ III“  
დაძმებული რეჟისორი რ. სტურუა

შეიძლება დასცირო ძალაუფლების მე-  
ქანიზმ?  
მსუბუქი და მინიშნებითი გროტესკი.  
ზეთი დაისხა და რ. ჩხეიძის ბრწყინ-  
ვალე თამაში

„კავასიური ცარცის წრის“ შემდეგ რუსთაველის  
თეატრის დასმა, რომელიც იზილისიდან ჩამოვიდა, მი-  
ლანის დღე არტეს თეატრში წარმოადგინა შესანიშნ  
„რიჩარდ მესამე“. სექტაქლამ რომლის რეჟისორია 13  
წლის რ. სტურუა, მოაკადოვა მკურებელთ.

რ. სტურუამ ტექსტის ისეთი ინტერპრეტაცია შე-  
მოკვავა, კართულ ენაზე ისეთი ვერსიადგინა მინიშნ  
სიესხა, რომ შესაძლოა ერთგვარი შემოქმედებითი სა-  
ზრდო კი მისცა ლინგვისტებს. მან თამაშად შესცავლა  
ფინალი, მოქმედების მსაფელოთაში შემოიყვანა მას-  
ხარა და ამოი ცხადდა მიგვიანშნა, რომ ძალაუფლების  
შეკანოში რიჩარდს არ შეუძნა, რომ უკუვლი დრო  
თავის რიჩარდებს შობს და მეფეთა ტახტზე ასვლა  
ხანმოკლე და ამ ცხოვრებასაკე წარმავალი.

სექტაქლამი დამაინებით ძალზე შეყარად და მსუ-  
ბუქად იხიციბიან, თვალზე ზელის მიფარება და პე-  
რსინიყე ქრება ეს საქმე მარგარტეს მიაწვდა, რომე-  
ლსაც შესანიშნავი აქტიორი მ. ჩახავა ანახიყრებს.  
იგი თოქოს შუაშავალა დამაინებას და ნიცილის  
შორის, აქ უველა გვირგვინს ეკორტნება და ეს სწა-  
ფვა ტახტსაკენ ირონიულ, ხარკისტულ იერს აქი-  
რებს. სენაწა ძალმობრივთა მეფობა, რომელიც არ ახ-  
ცა ხაელსობო ფენის წარმომავლებლსაც, არქივის-  
კომისი, მკვლელო თუ ღირადი, უველა ბორიციბებს ემ-  
სახურება.

სექტაქლი კომპაქტურია, ზედმეტი ელუმინეტიზ-  
საკან გაწუნელოლი და საურებლად ხანტერესო.

რ. ჩხეიძის რიჩარდი თავის ამოთიქოს აღწევს მე-  
სამე მოქმედებაში. მისი განწირული სახე, მოწვეწენე-  
ბით დამაჩიქებული სული, დაწულე ხმა სტეფამოსილი  
ტირანის აღსახრულზე მიგვიანშნებს. რიჩარდი თოქ-  
ოს თავივე პიროვნების არღლად ქცეულა.

დევარდ მეფის, კარინალისა და მასხარის საუკე-  
თესო სახეები შექმამ, ა. მახარაძემ, შესანიშნავი ნ.  
ფარუშვილის ლედი ანა, გ. ვაჰეჰკიორის ბრეჟინგერი,  
ს. ანაწელის ელსახეული და მ. თბილელის მიერ სორც-  
შესხმული რიჩარდის ღედა!

სექტაქლი კეჟმარიტად დიდებულა, შეუღარებე-  
ლი თავისი აქტიორული დონითა და რეჟისურით.

ამან განაპირობა განუწვებელი ივაცი და ტაში!



საქართველოს თეატრის  
მსახიობთა სასტუდო „მომ-  
აველ“ შეხედრამდე. საქე-  
ლყო თეატრის ხელთ.

რი თვალსაზრისით არაფერ სიხალეს არ შე-  
იციადენ, არც ომის თემის ახლებური მო-  
ახრების ცდა იყო. კრილომები ჭერაც არ  
მოუშუებოდა ხალხს, ომისადმი ჭერ ისევე  
მძფავი, ემოციური დამოკიდებულბა ჭინ-  
და მაყურებელს. ასე აღიქვამდა მაყურებე-  
ლი ჩირკოვის „გამარჯვებულს“, ი. მოსაშ-  
ვილის „სადგურის უფროსს“.

40-იანი წლების პირველი ნახევარი მთავ-  
რდება შესანიშნავი სპექტაკლითი სოლოვიო-  
ვის „დიდი ხელმწიფე“ (რეჟ. ა. ვასაძე).  
კვლავ გამოჩნდა ა. ხორავას ტრავეტიული ნი-  
ჭი და ა. ვასაძის ფართო მისწრაფის აქტიო-  
რული მრავალსახეობა (ასრულბდა ვასილ  
შუსკის როლს). 40-იანი წლების მეორე  
ნახევრის სპექტაკლებიდან გამოირჩეოდა  
წერეთლის „პირველი ნახიჯი“ თავისი რეჟი-  
სორული (დ. ალექსიძე) და აქტიორული  
(ვ. დოლიძე, გ. ვაჰეჰკიორი, ბ. კობახიძე და  
სხვა) მიღწევებით.

თეატრში 50-იანი წლებიდან იწყება ახა-  
ლი ეტაბი. სოციალურ-პოლიტიკური ცხოვ-  
რების თავისებურება, ფართოდ განვითარე-  
ბული მსოფლიო კულტურული ურთიერთო-  
ბანი, პარტიის XX ყრილობაზე დასმული  
ამოცანების მასშტაბები, ძველი სოციალურ-  
პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების  
მომართა გადასინჯვის მოთხოვნებიდან,  
განსხვავებულ პირობებს ქმნიდა ლიტერა-  
ტურისა და ხელოვნების განვითარებისათ-  
ვის. ლიტერატურაში, თეატრსა და კინემა-  
ტოგრაფიაში დაიწყო ღირიკული ნაკადის  
წარმოჩენის მძლვარი ტენდენცია. უშირტე-  
სი გახდა ფსიქოლოგიური ნაკადი, რომელიც  
ადამიანის სულის უფაჩიზეს შრეებს იცვლე-  
და. სულის სიღრმისეული სამყაროს გახს-  
ნის, ადამიანის უკიდევანო ბუნების ამოც-  
ანებისა და ამოკითხვის სურველი ძლიერ იმ-  
პულსებს ქმნიდა ახალი ძიებისათვის. მკე-  
ქარე ორატორიული, ფართო განზომილი  
ბიანი პეროიეული ხელოვნების საპირისპი-  
რდ დიდ გამოძახილსა და აღიარებას პო-  
ულობს ღირიკული ყოფის პოეზია, მისი  
სიმარბოლისა და უშუალობის მომხიბვლელო  
ძალა, კინემატოგრაფიაში იქმნება „წეროე-  
ბი მიფირიანე“ და „ბალადა ჭარისკაცზე“,  
ეს არის თვისობრივად ახალი მხატვრული  
ახროვნება, ახალი რეჟისორული პოზიცია.  
ომის თემზე ამგვარი რამის შექმნა წარ-  
მოუდგენელიც კი იყო არა მარტო ომის  
წლებში, არამედ, მის შემდეგაც. 50-იანი  
წლების მეორე ნახევრამდე კი, დრომ მო-  
იტანა აუცილებლობა რომ შექმნილიყო  
„ბალადა ჭარისკაცზე“. კართულ კინოში  
იდგებმა რ. ჩხეიძისა და თ. აბულაძის „მა-  
დანას ლურჯა“, რომლებიც სათავეს უდებს



სცენა სპექტაკლიდან „ბერნარდა ალბას  
სახლი“

სცენა სპექტაკლიდან „ანტიგონე“.

სცენა სპექტაკლიდან „იულიუს კეისარი“



ახლებურ კინორეჟისორულ აზროვნებას და ესეც დროის მოთხოვნილებით არის ნაკარნახევი. არსებითად იგივე პროცესი შეინიშნება ლიტერატურაშიც, განსაკუთრებით კი — პროზაში.

ქართულ პროზაში ჩნდება ახალი სახელები და თანდათან მძლავრდება ლირიკული პროზის ტენდენციები. ლირიკული ნაყადი აქ შენივთებულია მკვეთრ ანალიტიკურ აზროვნებასთან.

ქართულ თეატრში, უპირველესად კი რუსთაველის თეატრში, იქმნება პირობები, რათა უფრო რელიეფურად წარმოჩნდეს სიახლის ძიების აუცილებლობა. მას საამისოდ (გარკვეული თვალსაზრისით!) კომპეგბიანი“ ვითარებაც იქმნება. 1955 წელს თეატრის ხელმძღვანელი პოსტებიდან მოღიან ა.კ. ხორავა და ა.კ. ვასაძე. ეს იმას ნიშნავდა რომ ფაქტურად თეატრის სათავეში მოექცნენ სხვა თაობის რეჟისორები. თეატრში იქმნება სარეჟისორო კოლეგია, რომელიც აერთიანებს დ. ალექსიძის, მ. თუმანიშვილისა და ა.კ. დვალისვილის რეჟისურას. კოლეგიას სათავეში უდგება დირექტორი პ. კანდელაკი. იგი ქმნის კარგ პირობებს, რათა უფრო ფართოდ გაიშალოს თეატრის შემოქმედებითი ცხოვრება.

50-60-იანი წლების თეატრში წარმოიქმნა სტილური მრავალფეროვნება. მკვეთრად გადაადგილდა მხატვრული აქცენტები, ხშირ შემთხვევაში შეიცვალა სარეჟისორული ორიენტები. უფრო მოუთმენელი გახდა კინოუნქტურა და უსახურობა. წარსულს ჩაბარდა ადამიანის „ეინტიკების“ თეორია. თეატრში წამოიწია უბრალო ადამიანის თემამ. რეჟისურამ დაიწყო გაბედული ექსპერიმენტები. მთელს ამ პროცესში უთუოდ შეინიშნება 20-30-იანი წლების თეატრალურ ძიებათა გამოძახილი. პირველ რიგში იგი შეეხო რეჟისურას. სწორედ მან ითავა აქტორი ექსპერიმენტატორის როლი და აქ იგი უშუალოდ დაუკავშირდა 20-30-იანი წლების რეჟისურას. გაიღო ხიდი ტრადიციასა და თანამედროვეობას შორის. დიდი იყო 50-იანი წლების თეატრში განახლების მოთხოვნილება. ამ ტენდენციას თავისებურად ხელი შეუწყო იმანაც, რომ პარტიამ ხალხს დაუბრუნა უკანონოდ რეპრესირებული დიდი რეჟისორების ეს. მეიერჰოლდის, ს. ახმეტელის, ლ. კურბასის, ა. თაიროვის სახელები. მათ გამდიდრეს საბჭოთა თეატრი. გამოჩინულ რეჟისორთა შემოქმედების ობიექტურმა შესწავლამ მეტი ძალა და სტიმილი მისცა რეჟისურას ახლის ძიებაში, განსაკუთრებით კი ახალი თაობის რეჟისორთა თეატრალურ ძიებებს.

საბჭოთა თეატრში ისევ აღდგა 20-30-



ელინბურგის ფესტივალის პროგრამის გარეკანი.

Edinburgh Festival Fringe Programme 1975

„აპანირი“, 6 მაისი.

**ბოჩქინვალე თეატრალობა**

პარტიველანის დიდი წარმომება გენუაში

ამ ბოლო ოცი წლის მანძილზე ბრეზტის პიესები ჩვენი ურჩადლებს ცენტრში მოექცა. ჩვენ ესწრება „აკეკასიური ცარკის წრე“ ბესონისა და სტრუვარის დაღებით. მაგრამ თბილისის შ. რუსთაველის სახ. აკადემიური თეატრის მიერ წარმოდგენილი სპექტაკლი სრულიად სხვაგვარი, უაღრესად ორიგინალური, შთამბეჭდავ და უცნაური ელემენტების შემცველი ხანახაობა.

ქართველებმა საოცარი სიმკვირცხვე, სიცოცხლე შესინეს ამ პიესას და გამოამუშურეს ბრეზტის დრამატურგის მშვენიერება. ეს ძალზე მწიწნელოვანია, რადგან სულ ცოტა ხნის წინ ბრეზტი წარმოვადგინეს სულთამბოთაე იდეოლოგიად, რომლის პიესებში ვერ ვხედავთ სინათლეს და სილამეს. სწორედ ამიტომ ბრეზტის ნაწარმოებები შექმნილი სპექტაკლები კვლიდა და ევალუანება კიდევ. რ. სტრუვარმა მიაჩნა თავისებურად გაეზარებინა ბრეზტი, რაც საკმაოდ შორს დაგასწავლიდა ვეროის რეჟისორთა კონცეფციებისაგან. მაყურებელი მოაქადვია ამ სპექტაკლის უეფლერო თეატრალიზმამ და დიდი დღესასწაულის უშუალო მონაწილედ აქცია, თითქოს მაყურებელთა დარბაზსა და სცენას შორის ზღვარი მოიშალა.

ჩვენ მივიზიბლეთ ბრეზტის „აკეკასიური ცარკის წრეში“ ქართული ხალხური ტრადიციების ელემენტთა მშვენიერებით. რა შესანიშნავად მოაქვს ეს ყველაფერი ჩვენსად მახსობებს ისინი კუშმართად ბრეზტის ხელი პერსონაჟები არიან!



საარბუქუნის მუნიციპალიტეტის საფეკრი ქალაქის ემბლემა.





რ. სტურუა და რ. ჩხიკვაძე სპექტაკლ  
„უვარუვარეს“ რეპეტიციაზე

სცენები სპექტაკლიდან „უვარუვარე“









სცენები სპექტაკლიდან «კავასიური ცარის წრე»

გოგი მესხიშვილი  
დეკორაციის ესკიზი სპექტაკლისთვის  
«კავასიური ცარის წრე»



ინი წლების თეატრის ერთ-ერთი ნიშანდობილია — ქოროს პრინციპი. შ. დალიანის „თეთნულმა“, ს. ასმეტელის დადგმით ანტიკურობისავე მოსხვდა საბუთი თეატრი. ქოროსი გამოიხატა ძველისა და საბჭოურის შეჯახების ისტორიული გარდევალობა. „ბაპებისა“ და კომკავშირელების კონფლიქტი გამოვლინდა ქოროს სცენურ ფორმაში. ქოროს ფორმის განახლება დაიწყო 50-60-იან წლებშიც. იგი გამოვლინდა არა მხოლოდ ანტიკური დრამატურგიის ნიმუშებზე, არამედ საბჭოური პიესების დადგმებშიც. (მეგ. ა. არბუსოვის „ირაკეტის ისტორია“). მაგრამ ეს იყო ერთ-ერთი მომენტი ძველის განახლებისა, მისი ორგანული კავშირისა ახალ თეატრალურ ძიებებთან.

გმირულ-რომანტიკული თეატრის პრინციპები, რომელიც ყველაზე ძლიერად 20-30-იან წლებში ჩამოყალიბდა, 50-60-იან წლებში უფრო მძაფრი კრიტიკის ობიექტი ხდება. თეატრში საქმიად მშობიერი აღმოჩნდა ის ნაკადი, რომელიც დაუპირისპირდა სცენაზე პომპეზურობას, სცენოგრაფიის მონუმენტალიზმს, აქტიურულ პათოსს, დღის წესრიგში დგმა რომანტიკული თეატრის პრინციპების გადასინჯვის აუცილებლობა. ახალ თეატრალურ აზროვნებას ამკვიდრებენ მ. თუმანიშვილი, ა.ვ. დვლიშვილი და აქტიურთა ახალი თაობა ახალი თაობა უპირატეს როლს ანიჭებს ფსიქოლოგიურ-თეატრალურ ესთეტიკას, რაც გარკვეული რაქციკა გმირულ-რომანტიკული სტილისა. თვით სცენოგრაფიაში მიმდინარე პროცესები ქმნის პირობებს, რომ თეატრმა უძიოს ახალი სახე. იზრუნოს ახლებური თეატრალური ელემენტების გამოუმუშავებაზე. შეიცვალოს პრობლემების სფერო და პიესის ენარული რაობისადმი დამოკიდებულება, გაბედულად დაიწყო ბრძოლა სტერეოტიპების წინააღმდეგ. ამ დიდი შტურმის ლიდერი მ. თუმანიშვილი თავისი გაბედული ექსპერიმენტებით ცდილობს ახალი თეატრალური პრინციპების დამკვიდრებას. პირველ მერცხლად გვევლინება ი. ფურჩიკის „ადამიანებო, იყავით ფიზიკალად“, აქ ჩნდება ახალგაზრდების პოზიცია, იფიქრება მათი სათქმელის ფორმა. მ. თუმანიშვილი თავის ძიებებში სინჯავს სხვადასხვა პლანებს. ახდენს სტილურ „გასვლებს“, ხან უზრუნველბა რომანტიკულს, მაგრამ ახლებურად მოაზრებულს, ხან საინაგბოდ ხაზს უსვამს ფსიქოლოგიურს, არის შეცდომები და დაშვებანი, მაგრამ ყველაფერი მაინც საბოლოოდ ხელს უწყობს ახალი თეატრალური ესთეტიკის შემუშავებას, რაც შეეძლება საფუძველი გახდება 70-იანი წლების ძიებათა მრავალი ახალი ასპექტის წარმოჩენისა. რუსთაველის თეატრის ორი დიდი მსახი-



ლონდონის თეატრების სცენაზე წარმოდგენილი „ოჩარდ 111“-ის პროგრამის გარკვევა.

„სახმა სარბ“, მ. ბაილი.

**სოჩალ, კართვალბაშო!**



რა უნაღებო არიან ქართველები, რომლებმაც გუშინ ტრეზის მკურნალებს წარმოადგინეს დაუიწყარი, ხიციკობილი სახე სექტაკლი. „კაკასიური ცანცა წრე“ ბრეტის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია, რომლის გათამაშებით ქართველებმა სცენაზე დამკვიდრეს მხარბრუნება ეს საუკეთესო მუსიკა, მკურნალებთან დარბაზში კი სასიამოვნო განწყობილება.

ამ სექტაკლში რ. სტურფა გმობს ნაიკიზს, ფაშაშს და ძალმომრეობის ყოველგვარ გამოვლენას. პიესაში წარმოდგენილ ადრიაკურ ლეგენდას ჰერტის არა თავისი ქვეყნის წარჩინებულ მოქცეულს, არამედ ფართო საერთაშორისო მასშტაბით. გრუშეს თავდასაცავი პლატიკური ზეზნებითაა გამოიყენებულ და შეიცავს დრამა ფსიქოლოგიურ ელემენტებსაც. გ. ენჩილმა აღსოსანგან გასახიკური ორგანული მუსიკალური ენაში შემოიტანა პიესაში. დამაბედელი მოქმედებები კი მუსიკალურად სრულიად განსხვავებულად არის გაზრებულნი. მსახიობთა თამაში უზრუნველბა სია. ძნელია რომელიმე მათგანი გამოყოფა, მაგრამ მარჩეულმა მოვანხივით ი. გიკოშვილის უშუალოდ გრუშე, რიშლის დაეიწყება შეფუძლებული, ახოვანი წარმოსადგენი ხიზონ ჩაგვა კაკასიის შესრულებით. ჯ. დლიანის ლავრენტე, გ. საღარაძის ეფრეიკოტი მშვედელი. გ. დლიანის მონარბელი, რომელიც დიდი ოსტატობით ახსება პაუზებს, გ. ფერაძის იოსები და გასაოცარი მოვლენა — რ. ჩიქვაძის აზრადი.

რ. ჩიქვაძე გარდასახვებს უხადლო ოსტატია და თავისი ხალხის შემოქმედების საუკეთესო იმპროვიზაციის სექტაკლის მსვლელობას იგი ჩაიღონტარ რიშის ძილებს და სრულყოფილებას ანიჭებს ბრეტის გმირს.



სერვანტისის სახელობის ფსიქოლოგის საჩუქარი (ქ. ბუაჩაშვილი)



### მართველი შემსპირი მილანის თეატრში

„რინარ მესამე“ — სედიანი, მგლოვიარე და ამავე დროს მზიარული სექტაკალია! შეგვძლია საკმაოდ ბევრი ვილაპარაკოთ მასზე, სხვადასხვა ფორმულში მოვიშველიოთ მის ამოსახსნელად. ვიკამათოთ ტექსტის ამგვარ ინტერპრეტაციაზე, რითაც თავის დროზე გამოირჩეოდა იან კოტი. შეგვიძლია ვაღიაროთ, რომ ეს არის შექსპირის დახვეწილი, ფილტრირებული გააზრება უცნაური ეფექტების დემონსტრირებით. ერთი შეზღვევით სადა, მაგრამ უაღრესად შთამბეჭდავი გარემო, თვით საშისში გახვეული სცენა, რომელსაც ავბედითად დასცქერის ყოვანი, კუთხეში მიგდებული პირბალი, რომელიც ვინ იცის, რაზე მიგვანიშნებს, იქნებ კაცობრიობის ისტორიის უკულმართობაზე, იქნებ „ბედნიერებაზე“? ინგლისის დროშა, რომელსაც აქეთ-იქით დაფრიალებს, ურკა, რომელზედაც თითქოს ცილის ზღაპრულ ფიგურები შემომსხარან! სექტაკლის პერსონაჟებს სხვადასხვა ეპოქის კოსტიუმები აკეთია და ეს არ არის შემთხვევითი. რ. სტურუა შეგახსენებს, რომ შემაზრუნეი ფაქტები, რაც წარსულში მოხდა, საშუალოდ არ დამარხულა და აღმნიანები უზიზღად უნდა იყვნენ, უინ აცუღენენ, უკუელგვარ პირობებს. განა შექსპირის ასეთი გააზრება აღტაცების საფუძელს არ იძლევა? შიალი სექტაკალი გაუღუნითა მტკივნეული სარკაზმით, ექვემდებარება მოწილ, ხაზისიან რიტმს და ფინალში თითქოსდა მომღიპარი მკვდარი სულების გამოჩენა ხომ თავზარდამცემ ემოციებს იწვევს.

ჩვენი აზრით, ბიესის ხუთი აქტის სამ აქტამდე დავყვანამ სასიკეთო შედეგი გამოიღო. დროა ჩვენი თეატრებიც დაადგენ ამ გზის და არ მორიდონ მიხეხის შემცირებას სათანადო ინტერპრეტაციით.

როგორია რ. ჩხიკავას რინარი? გაუწული თვალში, პიროტი პირი, ურწმუნის ანაგობა მიგვანიშნებს მის შავნელ საქმეებზე და ამ გზის დიდი ოსტატობით წარმოვიდგენს საოცრად სიმპათიური გარეგნობის რ. ჩხიკავაძე. ასეთი დიდი ტროფუმი, ასეთი დიდი ოვაციები მისი შემოქმედების გამარჯვების დასტურია იყო, მაუერებლებს არასოდეს დააიწყებდათ ეს საღამო და ისინი კი, ვინც შექსპირს არ იცნობდა და ინტერესმა მოიყვანა ამ სექტაკალზე, კმაყოფილი სტოვენებენ დარბაზს და საშუალოდ შეიყვარეს შექსპირი.



ქ. რევი ემილიას, სამასსოგრო მედალიონი.



სცენები სექტაკლიდან „კავკასიური კარცის წყე“.

ობი 50-იან წლებში თეატრის ცხოვრების მეორე პლანზე გადაადვილდა. ა. ხორავა უკვე იშვიათად გამოდიოდა ახალ როლებში, ხოლო ა. ვასაძე განთავისუფლდა სამხატვრო ხელმძღვანელის მოვალეობისაგან და ქუთაისის თეატრში გადავიდა. ქუთაისის თეატრში წასვლამდე მან რუსთაველის თეატრში ითამაშა პეპიას როლი („გლახის ნამბობი“) და მოულოდნელად ისეთი „დარტყმა“ მიაყენა ახალი გზების მძიებელთა თაობას, რომ გააოგნა. დიდი შემოქმედების ცოცხალმა მაგალითმა, უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა თეატრის ახალგაზრდობაზე. მათ პეპიას სახით პრაქტიკულად დაინახეს ის, რასაც თავად ესწრაფვოდნენ, რის გამოც ხატვისაც ლამობდნენ. ავ. ვასაძემ კი ერთ-ერთ კიდვე შეასენა ყველას, რომ დიდ ხელოვნებას სიბერე არ უწერია. ავ. ვასაძის პეპია ახალი საფეხური იყო მსახიობის შემოქმედებაში. ამასთანავე, იგი პირობითი თეატრის ფსიქოლოგიური ძიებების გამართლებაც კი იყო. ავ. ვასაძის აქტიორული ტექნიკა, მისი მხატვრული აზროვნების ანალიტიკურობა და ვირტუოზობა სამავალით დარჩა ახალი თაობის მსახიობებისათვის. ავ. ვასაძემ დიდი გავლენა მოახდინა თანამედროვე სამსახიობო ხელოვნების განვითარებაზე. თეატრში დიდ შემოქმედებით ცხოვრებას



საქართველოს საკვებთან ერთად III\*



ეწევა დ. ალექსიძე. მისი სპექტაკლი „ოიდიპოს მეფე“ (მხატ. ფ. ლამაზვილი) სრულიად ახალ ხარისხში ავლენს თეატრის ტრადიციულ ნიქს, მისი გმირული საწყისების სიდიადეს. ა. დვალაშვილის საუკეთესო სპექტაკლის „ჩვენებურების“ შემდეგ „ოიდიპოს მეფე“, მ. თუმანიშვილის „ესპანელი მღვდელი“ და „როცა ასეთი სიყვარულია“ — ეს თეატრის დიდი დიაპაზონის მათემატიკაა და ამავდროის წინააღმდეგობათა გამძაფრების საფუძველიც. „ოიდიპოს მეფეში“ რუსთაველის თეატრმა მიაღწია იმას, რასაც ჭერჭერობით კერც ერთმა თეატრმა ვერ მიაღწია საბჭოთა კავშირში“. (ს. მიუქლსკი). მისივე აზრით, „მკაფიო პოეტურობა და რომანტიკული ზეაწეულობა, რაც რუსთაველის თეატრისთვისაა დამახასიათებელი, კი არ გამოირიყვას სიმართლეს, გულწრფელობასა და ადამიანურობას, ზრამედ ორგანულად არის შერწყმული მასთან“.

„ოიდიპოს მეფეს“ მხარში უდგას დ. გარეჩილაძის „ბახტრიონი“. ორივე წარმოდგენა დიდ სახელს უხვევს თეატრს.

რუსთაველის თეატრის რეპერტუარში არის სპექტაკლები, რომლებიც მალაღობა მხატვრული დონით ავლენენ სხვადასხვა მხატვრულ ტენდენციას, რომანტიკული თეატრის მოტრფიალეებს შეუძლიათ დიდ სულიერ სიმაღლეებს ეჩიპრონ „ოიდიპოს მეფის“, „ბახტრიონის“, „ფიროსმანის“ და „დემეტრის“, განიცადონ რომანტიკული სილამაშის წუგეულოვანი ღირებულება, მაგრამ ასევე მხატვრულ სიხარულს ანიჭებს მასუფრებელს ღრმა ფსიქოლოგიური პლანის სპექტაკლები, უდიდესი პოეზიით გამსჭვალული „როცა ასეთი სიყვარულია“, ფაქტზე ნიუანსებზე აწყობილი, მსუბუქი, ელეგანტური „ამბავი სიყვარულისა“ და მჩქეფარე, არტიტული „ესპანელი მღვდელი“. ეს არის დიდი მხატვრული ცხოვრების ფართო ნაპირები, მძლავრი დინება შემოქმედებითი ძიებებისა...

ლორეული ნაყადის, ფსიქოლოგიური საწყისების ამოხსნის მძაფრი სურვილი, რომელიც 50-იან წლებიდან დაიწყო, თითქოს გარკვეულად მიღწეული იქნა. მძიებლებიც თითქოს ერთგვარად დაკმაყოფილდნენ, მათ შეიძინეს პრაქტიკული გამოცდილება, საპირო ვახდა მერტი ანალიტიკურობა, ინტელექტუალური სიღრმეების ძიება, სტილური მრავალფეროვნების აუცილებლობა, მთავარ მომენტად წარმოიჩნდა ძიებათა საერთო ფონზე.

რუსთაველის თეატრმა 60-იანი წლები „ზღვის შვილებით“, „ფიროსმანიით“ და „მყუდრო სავანეთით“ დაიწყო, მაგრამ უკვე მომდევნო წელს ნათელი გახდა, რომ საკმა-



„დემეტრიას“ ფესტივალის (სალონიკი) პროგრამის გარეკანი.

„ლა სუნი“, 27 მარტი

### საპარტველოდან ჩამოსული რჩინარდ მისამი

რუსთაველის თეატრის წარმატების ამბავი ჩვენს კერს კიდევ ადრე შეეძრებოდა იმ საუკუნის მეოხებით, რომლის ხმა მოეხსენიებოდა ვერცხვას მისწვდა.

ინგლისურება, შექსპირის უფლებზე კარგა შემხარულება, მოწინებით დახარეს თავი ამ სპექტაკლის წინაშე.

ხალხით ხაზე დარბაზი დიღხანს არ დამცხრალა მოწინების შემაღლებითა და ოჯაციებით.

ამ წარმოდგენაზე ბუჯი რამ გვაოცებს, რ. სტუარტს ხელში მ მოქმედებანი პიესა სამ მოქმედებად იქცა. თითქოსდა სადად, უშუალოდ, ლადა ნათამაშეკი ეიზოლდობი სიმწევათა და განცდილი გრძობების ოდგენაზე ფორმას იქნენ.

სხვადასხვა ეპოქის კოსტუმთა ნარისხებობა და სასიამოვნო, რინიულია პიესის თანხლებანი ძალზე დამშვენა სპექტაკლის იერი.

რამაზ ჩიკვაძის საოცარმა გარდასახვამ უფლებამოსცა ხალხს ესუმცხრალი ტაშით გაეცლიდნინა იგი. ამგვარი სპექტაკლის წყალობით ჩვენს ბუჯი რამ უფდა ვასწავლოთ — თუ როგორ შეიგარძნებო, როგორ ემით და დამენ შექსპირს საქართველოში.




ქ. რეჯიო ელიას სამახალხო მკლლონი





სცენები სპექტაკლიდან „რიჩარდ III“



რისი აღარ იყო მიღწეული, ორივე ტენდენციას, რომლებიც ხშირად ხედვებშიდნენ ურთიერთს, ერწყმოდნენ და ერთმანეთს კვეთდნენ, მეტი საზრუნავი გაუჩნდათ, იწყებოდა ახალი ათწლეული და ეს უზარლო ფაქტი არ გახლდათ.

60-იანი წლებიდან იწყება საბჭოთა ხალხის შრომისა და გამბრძობის ახალი პერიოდი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და მთავრობა ახორციელებენ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია საბჭოთა ხალხის სულიერი ღირებულებათა გამდიდრება, მათი შემოქმედების პროპაგანდა, მატერიალური და სულიერი ცხოვრების ყველა სფეროს ვადახალისება და წარმატება.

რუსთაველის თეატრში 1962-64 წლებში იქმნება მეტად რთული სიტუაცია. ირდევვა ერთხანს მიღწეული შემოქმედებითი ბალანსი, რომანტიკული ზეაწეულობის ტენდენციას საბოლოოდ აჩრებებს „ამირანის“ (1963) დამარცხება, ხოლო მის საპირისპირო სტილურ ძიებების ზოგიერთ ასპექტს „ზახფხუსის ღამის სიზმარი“ (1964). რეჟისორები და ალექსიძე და მ. თუმანიშვილი შექმნილ სიტუაციიდან ეძებენ გამოსავალს. თითქოს სადაო არაფერი იყო: თეატრმა დადგა საუკეთესო სპექტაკლები: „ესპანელი მღვდელი“ და „როცა ასეთი სიყვარულია“, „ჩვენებურები“, „ოიდიპოს მეფე“ და „ზახტრონი“. მათ გვერდით იყო არა ერთი სხვა წარმატებული სპექტაკლიც. შეიქმნა ახალი აქტიორული სახეები, სცენოგრაფიული ნაამუშევარი იღ. თვაძე, ფ. ლაპიაშვილი. მაგრამ თეატრს არ შეუძლია გუშინდელი მიღწევებით ცხოვრება და იგი ეძებს ახალ გზებს. ამ ძიებაში არის უკიდურესობამდე დაშვებაც.

შექმნილ რთულ პირობებში ნათელი გახდა, რომ თეატრის იმ თაობამ, რომელმაც ასე გაბედულად წამოიწყო 50-იანი წლების ახალი ძიებანი, აშკარა მარცხი განიცადა. საჭირო იყო სულის მოთქმა ახალი გზების ძიება. ე. წ. „უპაერო სივრცის“ გადატანა, რათა საესეებით გამოვლინებულიყო „სულიერი რეზერვები“. თეატრმა უარყო „ამირანის“ გზა, მაგრამ ვერ იპოვა ახალი, აქ არ მოხდა ის, რაც 50-იან წლებში გაკეთდა, რაც თეატრმა უარყო „ფოლადის სამეფო-ლოს“, „პაიტის“ ან „მტრების“ მსჯავის სპექტაკლები და მათ დაუპირისპირა „ადამიანები“, იყავით ფიზიკალური და „ჩვენებურები“. მართალია, რ. სტურუას სპექტაკლი „ვახუშტის წინ“ დროულად მოველინა თეატრს, მაგრამ ახალგაზრდა რეჟისორის სპექტაკლის მხატვრული დონე მაინც ვერ ცვლიდა შექმნილ სიტუაციას. არც მოსალოდნელი, იმდენად მასშტაბური, ღრმა და რთული პროცესები ხდებოდა თეატრში, რომ მის განვი-

მილანში გამოცემული პრინციპის გარეკანი



„ტრიბუნა დე მენცა“, 28 მაისი


ჩემის აზრით, საქართვები არ მოითხოვენ დეტალურად შევხებით საქეტაქლის ჩარისხს, მაგრამ არ შევძიქლია არ გავიქორთო, ხარ ეს საქეტაქლი, შექსპირის „ჩარჩარ მესამის“ სხვა დადგმათა შორის ერთი უქვლაუ საუკუქოსოა. ეს საქეტაქლი რადენიქ წე ლის წინ იქნა აღქოჩენილი და მან თქოი ინკლასიქი ქ დაიქ გამოქმნაქრება და მოქონება მოქო.

თუ, პარველი შეხედვით, ენის გაუგებრობას ჩვენთის ხელი უსხა შექოქლა — საქეტაქლი სიქრისოქულა თარგმნის გარეშე მიქოიდა — სინამდვილექო ქი საქეტაქლი ვიქოქლურად იმდენად მოქიბიქვლელი აღმოქნდა, რომ მსხაქოქა ექნა, საბოლოოქ, თოქოქსდა, ჩვენს მოქოლოქორ ექნა გადაქქაქ.

ჩა თქმა უნდა, გარკვეული დრო იქო საქიქოი იქნისათვის, რომ ჩვენთის უჩვეული, ქართულ რიტმს შევჩვევოქოთ, მაგრამ თქალისდაქმნაქმნაქოთ ეს უქვეულობა გაქქა და მოქალიქებულექო, თანდათანოქოთ, ორგავლელ ჩაქეროქოთ თამაქის მსველლობაქო, რაც რ. სტურუას საუცხოო დადგმის ქ დაქსის შექანაქნავი განხორციქლებს წაქოქოთ მოქიბა.

ფლორენციის სამხსოქოქ ვერქტლის მედალი





5º FESTIVAL INTERNACIONAL CERVANTINO  
29 DE ABRIL 15 DE MAYO 1977 GUANAJUATO MEXICO



EDINBURGH INTERNATIONAL FESTIVAL 1979  
19 AUGUST - 8 SEPTEMBER

EDINBURGH THEATRE FESTIVAL SOCIETY

Robert Maxwell  
in association with  
The Round House  
presents

The Round House  
Chalk Farm Road  
London NW1  
Box Office  
01 267 2564


The Rustaveli Company  
from Georgia USSR  
in  
RICHARD III

Monday 29 January at 7.00pm  
29 January - 9 February at 8.00pm

With the support of the Visual Arts Unit of Great Britain

IE' ΔΗΜΗΤΡΙΑ  
ΟΚΤΩΒΗΣ 1980

ΔΗΜΟΣ ΘΕΣΣΑΛΟΝΙΚΗΣ



რუსთაველის თეატრის შიერ მექსიკაში, შოტლანდიაში, ინგლისში, იუგოსლავიაში, საბერძნეთში, იტალიასა და შვეიცარიაში წარმოდგენილი საგასტროლო და საფესტივალო სპექტაკლების აღწერები

TEATRO DI ROMA

CONSIGLIO REGIONALE  
ASSESSORATO ALLA CULTURA

**INCONTRI INTERNAZIONALI**

TEATRO ARGENTINA 12-13-14 maggio	TEATRO ACCADEMICO GEORGIANO RUSTAVELI Il cerchio di gesso del Caucaso di B. Brecht
15-16-17 maggio	Riccardo III di W. Shakespeare
TEATRO POLITECNICO 15-16 maggio	GRUPPO PLAN K Quarantaine
25-26-27 maggio	GRUPPO TRIANGLES Steve Lacy Hedges
TEATRO FLAIANO 3-4-5-6-7 giugno	GRUPPO RADEIS Pour cause de maladie
TEATRO PARIGI 27-28-29 maggio	THÉÂTRE GERARD PHILIPPE La Tempesta di W. Shakespeare

URSS  
BELGIO  
FRANCIA

Comune di Reggio Emilia  
TEATRO MUNICIPALE «R. VALLI»

Mercoledì 29 - Giovedì 30 Aprile - Venerdì 1 Maggio 1981  
ore 21 - in abbonamento

**IL CERCHIO DI GESSO DEL CAUCASO**  
di Bertolt Brecht

Traduzione di ROBERT STAVIA  
Regia di R. VALLI  
Scenografia di R. VALLI  
Musica di STEVE LACY  
Costumi di R. VALLI  
L. 1981/000

Compagnia Stabile del Teatro Accademico Georgiano Rustaveli di Tbilisi

La rappresentazione sarà finita di risultato insoddisfatto.

Biglietti: 20.000 - 15.000 - 10.000 - 5.000 - 2.000

TEATRO ALFIERI  
8-9-10 maggio 1981

COMPAGNIA STABILE DEL TEATRO ACCADEMICO GEORGIANO RUSTAVELI DI TBILISI

**IL CERCHIO DI GESSO DEL CAUCASO**

di Bertolt Brecht


Traduzione di ROBERT STAVIA  
Regia di R. VALLI  
Scenografia di R. VALLI  
Musica di STEVE LACY  
Costumi di R. VALLI  
L. 1981/000

Presentazioni e vendite: Segreteria del Teatro Alfieri, via Roma 49 - Tel. 54 40 40 - 43 40 40

TEATRO ALFIERI



septembar 1978 Beograd



ქ. რევიო ემილიაში გამოქ-  
ვებული პროგრამის ვარჯიანი



„ღებრ — არბ“, 29 ივლისი

**პართველავის ნიარ წარმოდგენილი  
ბრძენის „პაპასისური ცარცის წრე“ და  
შეპსპირის „რიჩარდ მესაზე“.**


რუსთაველის თეატრი თბილისიდან, რო-  
მელიც ატარებს შუა ხალხურების გენი-  
ალური პიეტის შ. რუსთაველის საეულ-  
ერთ-ერთი ეველზე ცნობილი თეატრია  
საბოთა კავშირში. დაარსდა 1921 წელს.  
დიდი წარმატებით გამოვიდა ედინბურ-  
გის ფესტეველზე „რიჩარდ მესაზე“.  
თეატრმა პაის სახალისი საბაოთა ეწეში  
წარმოადგინა ორი სპექტაკლი — ბრე-  
ტის „კავკასიური ცარცის წრე“ და შექ-  
სპირის „რიჩარდ მესაზე“, ორივე სექ-  
ტაკლი ისტორიული მოვლენა.

მხურველუ ოვაციები, რომლითაც მკურებელი შე-  
ხდა რუსთაველის თეატრის გამოსვლებს, 29 წუთს  
გრძელდებოდა და სავსებით კანონიერი და დამსახურ-  
ებული გახლდათ. იყო დიდი თეატრალური ტრიუმფი,  
გულწრფელი, მხიარული და აზრიანი თამაში. სადაც  
თანამედროვეობა და ხალხის კულტურა ერთმანეთს შე-  
ერწეა. ისინი გაბედულად დაადგნენ შემოქმედებითი  
ჩიების წესს და დასწლიეს დაპროვლებები. რ. სტუ-  
რუა „კავკასიური ცარცის წრით“ დავედსტრუა,  
რომ ამქვეყნად უოველ აღმაინს აქვს უფლება დაიცავს  
თავისი ღრსება. ეს აზრი ქართველ მხანიობებს მო-  
ქვეთ ემიტური გულუბოითი, დიდი სიკეთითი, სპექტა-  
კლში ფართოდაა გამოუენებული ხალხური ტრადიცი-  
ები, ხალხური მელოდიები. სენაზე ისე ჩქეფს სიყო-  
ცხლე, ისეთა წრეული იუმორი, ისეთა ხალისიანი გა-  
წყობილება მეფობს, რომ ცდუნებს ეფრ უძლებს და  
ეგორჩილებს.

„რიჩარდ მესაზე“ საოკრალ მედაღური, შთამბეღა-  
ვი და ამაღლებებელი სპექტაკლია ელსახედის საშუა-  
რი, ქართული ტრადიციების თვალთხედვით გააზრ-  
ებული, უაღრესად დახვეწილი ფორმით წარმოვლენ-  
ბა. რამაზ მხიციას რიჩარდ ზესაზე საწეულია, 29  
ალატროვანა ავიინიონი.



ფლორენციის რევიონეს სა-  
მასსეორო მედალონი



თამარ დოლოძე — ანო („როლი დამწყე-  
ბი მსახიობი გოგონასათვის“)

სცენა სპექტაკლიდან „ჩვენ ქვემოთ ხე-  
ლისმოშვერნი“

სცენა სპექტაკლიდან „ღერჯი ცხენები  
წითელ ბალახზე“



თარებას მოცემულ ეტაპზე ვერ შეაჩერებ-  
და ერთი სექტაკლი, ვერ შექმნიდა რომე-  
ლიმე ტენდენციის უპირატესობას. თეატრ-  
ში აშკარად იგრძნობოდა, რომ ახალგაზრდა  
მსახიობები განთავისუფლდნენ ძლიერი  
ემოციების თეატრის წნევისაგან. თავი იჩინა  
გაიოლების, არტისტულ საშუალებათა ემპირი-  
ულობის ტენდენციამ. გარკვეულად შენეულ-  
და თეატრის მოქალაქეობრივი პოზიცია,  
სიმძაფრე და ვნება მოაკლდა სცენას.

თეატრში იქმნება უადრესად საინტერე-  
სო სექტაკლი „სელიმის პროცესი“ (რეჟ.  
რ. სტურუა), სულხან-საბა ორბელიანის  
„სიბრძნე-სიკრუისა“ (რეჟ. ნ. ნაჭყალი,  
თ. მალაშვილი) ქართული თეატრ აპირ-  
ველად ეცნობა ბრეტის შემოქმედებას. დ.  
ალექსიძე დგამს „სამაროშიან ოპერას“. მ.  
თუმანიშვილი „ჰინკრაქას“. თანდათან იკვე-  
თება თეატრის ახალ ძიებათა განშტოებანი.

რუსთაველის თეატრის შემოქმედებაში  
დიდ როლს ასრულებს თ. ჩხეიძის მოღვაწე-  
ობა. განსაკუთრებით მისი სექტაკლი „გუ-  
ნი-ნღღლი“ და „სამანიშვილის დედანაცულო“  
(რ. სტურუასთან ერთად) ორივე საუკეთეს-  
ო მავალითა ქართული კლასიკის ახლებურად  
მოაზრებისა. „გუშინდელი“ არასოდეს  
არ აედრებულა ასე თანადროულად, არასოდეს  
არ გამოსახულა ასე მძაფრად  
ღრმა სოციალური პრობლემები საქართვე-  
ლოს ცხოვრებისა მოცემულ პერიოდში.

დ. კლიაშვილის „სამანიშვილის დედი-  
ნაცულო“ ნოვატორული სექტაკლია, რუს-  
თაველის თეატრში დ. კლიაშვილის ნაწარ-  
მოებთა ახლებური გადაწყვეტა უფრო აღ-  
რისკი. თუმანიშვილმა გვიჩვენა, როცა „და-  
რისპანის გასაჰირი“ დადგა, „სამანიშვილის  
დედინაცუალი“ პირობითი თეატრალური ეს-  
თეტიკის, წარმოსახვისა და გაუცხოების,  
მის მრავალპლანიან შესაძლებლობათა გა-  
მოსახვის მავალითა ვახდა.

მრავალპლანიანი იყო 60-იან წლებში  
რუსთაველის თეატრის ძიებანი. თავის მხრივ  
იყო 50-იანი წლების მეორე ნახევარში წარ-  
მოქმნილ განმანახლებელ დინებიდან ამოი-  
ზარდა. 60-იანი წლების ბოლოს (1968-70)  
თეატრში გარკვეული წარმოდგენა იქმნება  
სხვადასხვა თაობის რეჟისორთა მოღვაწეო-  
ბაზე. მინიშნებულია მომავლის პერსპექტი-  
ვებიც, თაობათა მონაცვლეობაც და საერ-  
თოდ, რეჟისურის განვითარების ზიგზაგები.  
ახალგაზრდა რეჟისორი გ. ქავთარაძე ცდი-  
ლობა შექმნას ემოციური სექტაკლები  
(რ. თაბუკაშვილის „დემბურგის ზარები“),  
თითქოს მოულოდნელი ტრიუმფი ხვდება  
წილად ა. ცაგარელის — „ხანუმას“. რ. სტუ-  
რუა პიესის სრულ მოდერნიზებას ახდენს.  
იქმნება შესანიშნავი აქტიორული ანსამბლი.



რასენია სტაბილეს საერ-  
თაშრობის თეატრალური  
ფესტივალის პროგრამა

„ლე მონღ“, 29 ივლისი

### ბრეხნი და შემსპირი კართულად

მიხდა იმე, რომ რუსთაველის თეატრში ჩამოვიდა  
აინიონში და ჩამოიტანა ბრეტის „კავასიური ცარ-  
ის წრე“ და შექსპირის „რიჩარდ მესამე“. საშუა-  
როა, რომ მათ მხოლოდ თითოჯერ გვიჩვენეს თავიანთი  
წარმოდგენები. ორთვე სექტაკლის რეჟისორია რ.  
სტურუა. ეს ისეთი რეჟისორი კი არ არის, მთელი  
სცენოვება რადიკალ რომ ეძებს და პოულობს, მან შე-  
სწავნავედ იცის, რაც უნდა. მისი სექტაკლი ცო-  
ცხალი, იუმორით აღსავსე. მსახიობები თამაშობენ  
ლაღად, უკველგვარი დაძაბულობის გარეშე. „რიჩარ-  
დი“ და „ცარის წრე“, რომლებსაც თითქოს მელოდ-  
რამის ელფერი დაქარავს, მთლიანად ხალხურ შემო-  
ქმედებასა და კოლორიტს ეერდნობა. დასის თამაში  
ექსპრესიონისტულია, შემუშავია ინვენტატორული ნი-  
ჭიერებით, ხასიათდება საკუთარი თავის პერფორმაც-  
ხლასი იუმორითა და კლასიციზმით.

მას ქვეა რამაზ ჩხეიძეა, „რიჩარდი“ დიქტატო-  
რია, „კავასიური ცარის წრეში“ კი მოსაპართლე.  
მისი შემოქმედება — ეს არის მუდღარი და მჩქეფარე  
შინაგან სამყაროს დემონსტრირება.

სექტაკლის გაზარბეს შესანიშნავად შეესატყვიე-  
ბა მუსიკა, რომელიც იმე მიმოიჩვენა, როგორც ზო-  
მალად გაშლილ ზღვაში.

ჩვენმა თბილისელმა მეგობრებმა იმე გაითამაშეს  
წარმოდგენა, რომ ენობრებმა ბარებრმა პირ შეფერ-  
ბა მაყურებელთა ემოციები. უკვლადგარი — იუმორი  
თუ გულშინაგულში ექიზოლები — გასაგები და ამა-  
ღელელოები იყო.



დონესკლორდის თეატრის  
სამასხურო მელლონი



სცენა სპექტაკლიდან „ვარიაციები თანა-  
მეღროვე თემამზე“

სპექტაკლი უკვე ამყარებს მყარ პოპულარულ კონტაქტს. თეატრი ზუსტად აგნებს ქართული არტისტიზმის ცხოველყოფილ ნერვებს, ეს თვით ხალხის სულში, მის პლასტიკაში, მის სინთეტურ მრავალსახეობაში, მოძენილი მოდელია. სცენაზე კოცხლებიან ა. ცაგარელის კომედიური სიტუაციები, მკვეთრი, სისხლსახე სასიათები, ყველაფერი საესეა მხითი, სითბოთი, არტისტული სიმშაგითი, თითქოს ძნელი დასადგენი ზღბა სად იწყება თეატრა და სად ცხოვრება. სიოდან მოდიან ასე უცნაური, ექსცენტრიგბული და გულდია ადამიანები. არსად არ არის ცხოვრების სერიოზულობა, პრობლემებზე ფიქრი, ყველაფერი ისე თითქოს თავისთავად არსებობს, წყაროსავით მოედინება არტისტული მრავალფეროვნება, გარდასული საუკუნის ცხოვრება მაღის თავისი პრიმიტიული თეატრალიზმით, მაღის სიხალისით, ზეიმურად, რეისორი პოულობს კოცხალ ნერვს ხალხურ თეატრალურ ტრადიციებთან, ასხეაფერებს მას და ისე უბრუნებს პირველ საწყისებს. აქ ყველაფერი თამაშობს, არასერიოზულის სასწვრამდე მაღის სერიოზული და წინააღმდეგობათა გროტესკულ განზოგადებაში ისახება გარკვეული თეატრალური ტენდენცია. ეს არის 1968 წელი, თეატრს უკვე ნათამაშები აქვს დ. ალექსიძის სპექტაკლი „სამგროშიანი ოპერა“, მ. თუმანიშვილის „კინოპრაქა“, 1969

წელს თეატრში იდგმება ო. იოსელიანის „სინამ ურემი ვადბარუნდება“ (რეჟ. მ. თუმანიშვილი) „სანუმა“ იწყებს დიდ კამათს, ბევრს აფიქრებს: თეატრი ზომ არ დავარ, გავდა პრობლემურობას, იდეების სიმჭაფრეს, სოციალურ გამიზნულებათა აქტუალობას. აჟ  
რუსთაველის თეატრი 60-იან წლებში „რომანტიკული ზეაწეულობის“ „ინტელექტუალურის“, „ფსიქოლოგიურისა“ და გროტესკულ, პაროდულ ტენდენციათა რთულ წიხაღმდეგობრივ პროცესებში ვერ კიდევ ვერ ქმნის ერთ მთლიან გარკვეულად ჩამოყალიბებულ მოდელს. მაგრამ იგი მარჯვედ იკვლევს სიხალისაყენ გზას, გაბედულად პოულობს საყრდენს, რაზედაც შეიძლება შემდეგ ასალო მხატვრული სინამდვილე დაფუნდეს. „რომანტიკული“ უკვე წარსულია, მოგონებაა, ვარკვეულად გარდამავალი ხანის ფუნქციას ასრულებს ზოგიერთი წარმოდგენა. მაგრამ ყველაზე არსებითი შნიშნელობას ისენს „სამანიშვილის დეინაცციის“ წარმატება, იგი ხდება სიმრ შემოსევაში ამოსავალი წერტილი შემდგომი ძიებისა, არა მარტო აქ არამედ მთელს ქართულ თეატრებში, დ. კლიაშვილის ოუმორი, მისი გმირების თამაშის მანერა და უბირველესად კი ტრავიკომიკური ბუნება ერთობ საინინოა 70-იან წლების თეატრალური ესთეტიკისათვის.  
რ. სტურუა გაბედულად იწყებს არა მხო-

ლოდ თავისი გზის, არამედ თეატრის მთელი საშემსრულებლო არსენალის გადასინჯვის. „სიელიმის პროცესის“ დამდგმელი ცდილობს შექმნას ახალი თეატრალური მოდელი. ფართო მასშტაბებში მოიაზროს თეატრის პოლიტიკური პლატფორმა. ფორმითა და პრაქტიკითაა გლობალიზაცია და გართულებული მეტაფორული ძიებებისაკენ სვლა. ტოტალური რეჟისურის პრინციპებს არის ნახიარები, ცოცხალი თეატრალური პროცესების მრავალსახოვან დინებებში იგი პოულობს უმთავრესს და თეატრის სახეს წარმოგვიდგენს როგორც პოლიტიკური გრატესკის, ირონიის, პაროდირების, ხალხური სანახაობის წარმოჩენის, ენარული შეპირისპირების რთულ სინთეზს. დიდ მხატვრულ ფუნქციას იძენს სცენური სივრცეც. გამორჩეული მნიშვნელობა ენიჭება სცენოგრაფიას და მუსიკას, ნამდვილი ზემის, სანახაობითი თეატრისა, და იგი ამ თვალსაზრისით გარკვეულად უკავშირდება ს. ახმეტელის თეატრალურ ესთეტიკას — თუმცა სრულიად სხვადასხვაა მათი მხატვრული აზროვნების ხასიათი, მეთოდი და საშემსრულებლო ლექსიკა.

ჩემის აზრით, რეჟისორი ზომავს მეტად გაიტაცა განმარტებითმა ინტონაციამ. ნაცვლად იმისა, რომ გატაცება ფილმის იდეის წარმოჩენისკენ სწრაფვით გამოხატულიყო, რაც თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენდა კაცთმოყვარეობის პრინციპის მარადიულ სიღიადეს, ავტორის ვნებები გმირთა ამა თუ იმ საქციელის მიზეზთა ახსნა-განმარტებას მოეშახურა. ამგვარად, ფილმში „მთის ნოველა“ კომპოზიციური სიმწყობრის მაჩვენებელი რგოლები გამოიკვეთნენ, მაგრამ ნაკლებად გამოამყლანენს ერთმანეთთან კავშირი — ვითარებების გადაზრდა განვითარებაში მოციურ და იდეურ საფეხურებში, რის გამოც მთავარმა საფიქრალმა ვერ ჰპოვა სათანადო გამოხატულება.

მოკლემეტრეაინი ფილმის „გოლას“ (რეჟისორი გ. მატარაძე) საფუძველს წარმოადგენს მახვილგონიერული ამბავი, რომელიც იმის დროს ერთ პრივიციულ ქალაქში მოხდა.

ცალთვალა გოლას, სამშობლოსათვის თავდადებულ ადამიანს, უნებლიე შეცდომა მოუვიდა — გერმანელია ფორმასი გამოწყობილი მსახიობები მტრად მიიჩნია და ადგილობრივ რაზმთან ერთად შეიპყრო.

თავისთავად ამბავი ანეგდოტურია, ამდენად სხარტად, მოკლედ თქმის მომთხონი, რომ არც ამბავმა დაკარგოს მომხიბვლელობა და მთხრობელის იუმორული

ხელოვნებად გამოჩნდეს. მაგრამ ავტორს გადასჭრია მოკლედ სათქმელის გრძლად თქმის სურვილი, გაციონურებამ კი შინაარსობრივი აღრევა და სტილიურეულოვანობა გამოიწვია. საქმე ისაა, რომ სანამ ამ შემთხვევაში ნაბ აზიარებდეს მაცურებელს, ფილმის ავტორს საკიროდ მიაჩნია დღევანდელი თვლით გადახედოს ქალაქს, სადაც ეს ამბავი მომხდარა დიდი ხნის წინათ. ამდენად, ფილმის ექსპოზიციურ მონაკვეთებში ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნება, თითქოს, ვუყურებდით „საბჭოთა საქართველის“ ან სხვა რომელიმე კინოეურნალის სიუჟეტს, სადაც სიხარულია გამოთქმული ქუჩაბანდების პროსპექტებად გარდაქმნის გამო. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ვნახავთ ქუჩებს, შადრევნებს, სკვერებს, ხალხს, ბავშვებს და გავცნობით ავტორისა და ქალაქის დამაკავშირებელ ცნობებს, ვიგებთ გოლას იუმორით სავსე ამბავს. ვფიქრობ, ამბავი თავისთავად მომხიბვლეულია და მისი გაზრდა ზედმეტი იყო, მით უფრო იმგვარი ხერხით, როგორც ფილმშია.

საინტერესო მასალის მიგნება მნიშვნელოვანი მომენტია რეჟისორისათვის, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია სათანადო ხერხით ამ მასალის მოწოდება.

შემოქმედებითი ცხოვრების დასაწყისში თვალსაჩინოდ იკვეთება რა საფიქრალით მოდის ადამიანი ხელვნებაში, რა აღლევებს, რა სათქმელი მოზღვავებულა მასში. დასაწყისი ისეთი პერიოდი, სადაც მკვეთრად იჩენს თავს ავტორის მოქალაქეობრივი და შემოქმედებითი ინტერესები.

ყველას გვახსოვს, როგორი მღალი პიროვნული შეგნებით დიიწყეს თავის დროზე რ. ჩხეიძემ და თ. აბულაძემ. გ. შენგელაიას პირველი ფილმი ნამდვილი გალაშქრება იყო დამკვიდრებულისა და უკვე ზრწნალი თვითმკაყოფილების მიმართ. გვახსოვს, როგორი გაბედული სიტყვა თქვა ამ მიმართულებით თათარ იოსელიანმა. ჩვენი ცხოვრების შუავულში მყოფი უბრალო ადამიანი წარმოაჩინეს 60-იანი წლების მიწურულს ტელესტუდიოში მოსულმა ახალგაზრდებმაც.

თაობათა ამგვარ მონაცვლეობას განახლება მოქპო-

კადრი ფილმიდან „ქორწინება იბერულად“



ნდა სინამდვილის აღქმისა და გამოხატველობის ესთეტიკაში.

ქართულ რეჟისურას სულ ახლახანს შეემატა დიდი რაზმი ახალგაზრდებისა. ახლა მათ უნდა მოიძიონ სასამყარო, რომელიც ცხოვრებისადმი მათი საკუთარი დამოკიდებულებით იქნება აღბეჭდილი.

მ. თავაძისა და გ. მაგარაძის ფილმების ერთ-ერთ მთავარ ნაკლად სათქმელის არამყარია განცდა მიმანჩნია. სინტერესთა საიდან მოდის ეს ხარვეზი?

აზრი, რომელიც სულის სიღრმიდან მოდის, მკვრივია და მეტყველი. მაგრამ როდესაც იწყება ფიქრი თუ რა დამატებითი დრამატურგიული ხაზი გაამდიდრებს, შეალომაზებს ძირითად აზრს, მთლიანობა ირღვევა და ეს ფორმის კონტურების გაუმართაობასაც იწვევს.

ფიქრით, რომ ჰუმანური იდეა, რომელიც მ. თავაძისა და გ. მაგარაძეს ჩაუქსოვიათ თავის ფილმში, გათავისებული არა აქვთ. თითოეული მათგანი ბათაბის განცხადებით ან გოლას პათოსით რომ ყოფილიყო შეპყრობილი, ისინი გატაცებით ვნებით მოპყვებოდნენ თავიანთ გმირებზე და მთლიანად გაუქრებოდათ ავტორისეული ყოვლისშემძლეობის დემონსტრირების სურვილი.

რაკი თეატრალური ინსტიტუტის კინოდაკულტურის კურსდამთავრებულთა ფილმებს შევხვებ, ვისარგებლებ შემთხვევით და ყურადღებას შევაჩერებ კიდევ ერთ ფილმზე, რომელიც არ შედის განსახილველ პროდუქციაში, რადგან ის „დებიუტშია“ გადაღებული. მაგრამ საუბრის უფლებას მაძლევს, ჯერ ერთი, ის, რომ ფილმის ავტორი ახალი თაობის წარმომადგენელია და, ავტოთვე, ისიც, რომ ეს ფილმი, ალბათ, დაიმკვიდრებს ადგილს ეკრანზე და შესაძლებელია ტელეეკრანზეც, ეს გახლავთ გოდერძი ჩიხელის „ბაკურხველი ხევსურში“.

გ. ჩიხელის ფილმი მთავი მომხდარ ერთ ამბავს აღწერს.

...ვერა და ვერ ისროლა ცეცხლი თოფმა. დაქანგულ თოფში ტყვია გაქედილიყო. თამაშს ჰვავდა ყოველი

ლონე კაცისა ესროლა თოფი და ისიც აპყვა ამ თამაშს. და იქცა თამაში ძაღომორგობად.

უკაცოდ დარჩენილი ქალები დაჩაგრა ნეტარულმა ლმა მივიღო. კაცთაგან მუსუსი და მშინარა დაიბრია. ვა. იარალით შესდგა მათ და სიძლიერე გაანავარდა...

იარალით შემინებულმა ხალხმა ყოველი ნება შეუსრულა გახელებულ კაცს. ასე გაგრძელდა მანამ, სანამ გასროლილა ტყვიამ არ იმსხვერპლა სიკვდილთან მოპაექრე მსროლელი.

რკინის ნაჭერმა შექმნა მბრძანებელი და რკინის ნაჭერმვე მოუღო მის ბოლო. მაგრამ ფილმი არ არის ხობტა რკინის ნაჭრისა. ის ძალალობას ამხელს.

შემთხვევით არ ვახსენებ ზემოთ თამაშში. ჩიხელი აღწერს ქმედებას, გამოწვეულს თავის შექცევის სურვილით ან ცნობისმოყვარეობის დამყაფილებით, მოუხეტლებელს თავის ბოროტ საწყისში. აზრი ძალალობაზე მებადება მე, მაყუარებელს და მზარავს.


ჩიხელი ორიგინალურად წყვეტს ფინალსაც: სროლის ხმა ხევსურამდე მიაღწევს, ღიღინით რომ მიემართება თავის გზაზე. ისიც წამით შედგება, შეწყვეტს სიმღერას და რაკი ჩასთვლის, რომ მოეყურა, ისევ განაგრძობს სიმღერით გზას. ასე განუტევებს სულს იარალის მყარობელი და, მასთან ერთად, ძაღომორგობაც, რომელიც თავის მნიშვნელობას დაპყარავს დროსა და სივრცეში.

გ. ჩიხელის საყურსო და სადილობო ფილმები „ადგილის დედა“ და „მიწისმომღებები“ უდავოდ იქცევი ყურადღებას სიმარყოფით. სინამდვილის აღქმისა და მისი მხატვრული გააზრების თავისებურებით. „ბაკურხველი ხევსურში“ ყოველივე ეს კინემატოგრაფიული პალიტრის სრულყოფით გამოიხატა. არ გადაეპყარებებ, თუ ვიტყვი, რომ აქ მხატვრული აზროვნების ზემოთა, სადაც მთავარი ფიქრის სავანი — აღამიანი — სახედ წარმოაჩენს თავისი ბუნების სირთულეს.

გ. ჩიხელის ლიტერატურული ნაწარმოებები (მოგესხენებათ, გ. ჩიხელი გაიციანთ, უპირველესად, როგორც მწერალი) საკაცობრიო პრობლემების ღრმად განცდის მაჩვენებელია. გამოხატვის ფორმითა და სტრუ-



კადრი ფილმიდან „ნიკა მთაში“



ქალბი ფილმიდან „მთის ნოველა“

ქტრით — გამჭვირვალე და დახვეწილი. „ბაკურხეველ ხეესურში“ ნათლად გამოჩნდა გ. ჩოხელის, როგორც პიროვნების, ასევე, მისი მხატვრული სამყაროს, დამახასიათებელი ეს თვისებები.

გ. ჩოხელის უპირატესობა იმაშიც მდგომარეობს, რომ ის ბარიდან არ უყურებს მთას. ის მთის მკვიდრია. მისი თვითგანცდაა, სწორედ, ახალ განზომილებაში რომ მაჩვენებს, მე პირადად, მთის კაცსაც და მთის ცხოვრებასაც.

კინოფაულტეტის პირველი გამოშვების წარმომადგენლებმა გაერთიანება „დებიუტში“ მოიყარეს თავი. ალბათ, ამ შემოქმედებით გაერთიანებაზე, სპეციალური საუბარი გვამართებდა.

ამ შემთხვევაში გაერთიანების პროდუქციანე საუბარი (რასაკვირველია, ფრაგმენტული) გ. ჩოხელის ფილმმა გამოიწვია, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ჩვენ როგორღაც მიუფასლოდით იმ პროცესს, რაც ამ გაერთიანებაში მიმდინარეობს. როდესაც ვლაპარაკობ თემის თვითგანცდაზე, მით უფრო საინტერესოა ამ პროდუქციის განხილვა, რადგან სწორედ თვითგანცდით მიიპყრეს ყურადღება ჩვენი კინოფაულტეტის კურსდამთავრებულებმა თემურ ბაბლუანიამ და მარინე ზონელიძემ. მათი სადიპლომო ფილმები უფლებას მაძლევს ვთქვა, რომ მივიდინე ნიჭიერი ახალგაზრდები, რომელთა აზროვნებაც წრფელი და გრანდიოზური აღქმის საფუძველზე დგას. გაერთიანება „დებიუტში“ არის ბევრი რამე საინტერესო, რაც ჩეროვან ყურადღებას იმსახურებს, მაგრამ ვინაიდან ჩემი კვლევის საგანი სატელევიზიო ფილმებია, სიტყვას ალარ ვაგვარძლებ და კვლავ ტელეპროდუქციის მივებრუნდები.

ფილმი „ოლბალი“ (რეჟისორი ბ. წულაძე) გავრძელება სერიისა, რომელიც სამი უცნაური ადამიანის კოევილდური საქმიანობიდან იღებს თხრობის მასალას.

რ. ვაბრიძის სცენარებით შემოთავაზებული სერია

ხასიათების კომედიას წარმოადგენს, ხასიათების ქანრული ეფექტი კი სიტუაციამ ჩნდება.

ამჯერად, სერიის წულაძისეულ ინტერპრეტაციაში ახალთახალი ავტომანქანა შემოდის და სამი განუყრელი მეგობარი კონფლიქტურ სიტუაციაში ხვდება, რაც ხასიათობრივი მონაცემების გასახსნელადაა საჭირო. პირველი გმირის სახასიათო ნიშნად ფილმის ავტორებმა პირად საკუთრებაზე ზრუნვა მიჩინეს, ხოლო დანარჩენი ორის ხასიათობრივი ნიშანთვისებანი გაბრაზებაში იგულისხმეს და ამის იქით აღარ წვიდნენ. ერთი სიტყვით, კ. კავასის, გ. ბერიაკვილისა და ბ. წულაძის გმირები არც ახლა გამოიკვეთენ გონებაშიცხოვობით, ფანტაზიის ორიგინალობით და ა. შ. მივიღეთ მორალურ-ეთიკური შეგონება, სადაც კომედოური საწყისის მაჩვენებელია, ძირითადად, არაესთეტურ გამოვლინებებზე აგებული რამდენიმე დეტალი.

კომედული ქანრისაა რეჟისორ რეზო ჭარხალაშვილის მოკლემეტრაჟიანი ფილმი „მეცამეტე ვიკი“. მარტივი და უპრეტენზიო ამბით რეჟისორმა ადამიანთა ურთიერთობის აუცილებელ კომპონენტზე — მოყვასის სიყვარულზე იფიქრა. ეს ფილმი, ისევე, როგორც ადრე გადარღებული მოკლემეტრაჟიანი ფილმები „მეზომლები“, „ხლვის ლომი“, „სოფლის ამიკი“ და სხვ. რ. ჭარხალაშვილის ლად იუმორზე, ეროვნული კოლორიტის მისეულ განცდაზე მეტყველებს.

დასაწყისში მოვახსენებ ქანრულ და გამოშახველობით ფორმათა ნაირსახეობაზე. ტელეფილმების პროდუქტიაში ე. ქლენტისა და გ. ალექსიძის ფილმი-ბალეტი „მედეა“ ამის დასტურია.

ვფიქრობ, ბალეტის ფილმად გადაღება ორი მიზეზით უნდა იყოს განაირობებელი: თუ სპექტაკლი საბალეტო ხელოვნების მონაპოვარს წარმოადგენს და თუ ქორეოგრაფიული მასალა თავიდანვე ჩაფიქრებულია ფილმად, ამ შემთხვევაში, ტელეეკრანზე განსახორციელებლა.

საბალეტო სპექტაკლი „მედია“ მცირე ფორმის კომერციული ქანრი საბალეტო ნაწარმოებია და, ვგონებ, ამ მიმართ სურდა განასაზღვრა მისი ეკრანზე გადატანის სურვილი. ამავ დროს, გ. ალექსიძის შემოქმედებაში ერთაქტიან ბალეტებს წაშუვანი ადგილი უჭირავთ. აქედან გამომდინარე, არჩევანი ხარისხისა და ფორმის თანხვედრამაც განაპირობა.

ე. ქლენტი და გ. ალექსიძის ნამუშევარში შვიგრძნობა კინოსათულებების გამოყენების ცდა, მაგრამ ეს ცდა დაკავშირებულია უფრო მეტად ნაწარმოების ფაბულის გათვფრასთან და არა ქორეოგრაფიასთან. არადა, გარკვეული ხელვითი უთხისათვის გათვალისწინებული ეს თუ ის საცეკვაო ნიმუში იმეორეა ქორეოგრაფიული ილივის უკეთ წარმოდგენის საშუალებას. ვფიქრობ, კინობალეტი სწორედ ამ მიმართებით უნდა განალაგებდეს მხვილობას. ამვე დროს, გასათვალისწინებელია მსხვილი ხედის თვისება, რომელიც იმაშიც მდგომარეობს, რომ განსაკუთრებით ამოწმებს სახეს თვალში არაკლილ ყოველ გამომეტყველებით ნიუანსს. ამიტომ, მოცუცევეებმა, ქორეოგრაფულ პარტიკულთან ერთად, მხატვრული სახის შექმნისას უნდა გაითვალისწინონ მიმოქის მნიშვნელობაც ფილმში.

ნათელი სევდის მომცველია ომარ გვასალიას მოკლემეტრაჟიანი ფილმი „მომავალ შეხვედრამდე, მეგობარო“. ეს ნაწარმოები ადვილად კავკლევს გზას მაყურებლისაკენ ჰუმანური სულისკვეთებისა და მომზიბველდი ამბის გამო. სცენარის ავტორი და რეჟისორი ი. გვასალია ადამიანის სულიერი სამყაროს სიღრმისეულ ნიუანსებზე ახსნის ფილმის საფუძვალს, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ განუშტკიცოს მაყურებელს მომავლის რწმენა, იმედინად განწყობა.

ამგვარად, ამოიწერა მცირე ფორმის სატელევიზიო ფილმების ნუსხა, სადაც ძირითად და ხელშესახებ თვისებად გამოიკვეთა ავტორთა მიზანი ასახონ შინაარსით მოკლე, მაგრამ ყოფისთვის დაბასასიათებელი რაიმე შემოხვევა ან ამბავი. ზემოთ ნახსენებ თითქოს ყოველ ფილმში არის ცდა ამბის საფუძვალზე აზრის განხილვადებისა. ცხადია, მეტნაკლები ფართობი და ტევალობით, მაგრამ მიზნ არის, ე. ი. ამბავი ფილმების ავტორებს სჭირდებათ იმდენად, რამდენადაც ის საფორმალს აღძრავს. ამასთან დაკავშირებით ერთ საკითხზე შეგვირდები. მე გმონია, რომ წარმოდგენილი პროდუქციის თემატიკა სუსტადაა დატვირული ცხოვრებისათვის დამახასიათებელი პოლიფონური სისასით, გაუბრის ჩვენი ცხოვრების მწვევე და აქტუალურ პრობლემებს. არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღინიშნოს ის გარემოება, რომ თანამედროვე თემატიკაზე გადაღებული ფილმები გამოირჩევა უკონფლიქტობით, უფრო სწორად, ზედმეტო ოცნებებითა და კეთილგანწყობის გზავიადებული დემონსტრირებით. მე არ მოვეუწოდებ სინამდვილის ფერადოვანი სპექტრის ჩამოქუებისაკენ, მაგრამ მოვლენისა თუ ხასიათის სიმართლე შელამაზების, ერთგვარი მოპირკეთების გარეშე მსურს დაინახო. სწორედ ასეთი ავტორისათული დამოკიდებულებით უნდა წარმოიჩინოს ჩვენი ცხოვრების პრობლემა და პოეზია: ცხოვრების მართალი სურათი ადამიანის სახესაც გაამრავალფეროვ-

ნება, მის მიერ გადაღმულ ყოველ ნაბიჯს უხალა მნიშვნელობით გააღვირდებდა. რაიმე ვაღაწყვეტეუქმების მიღება, ისევე როგორც ურყოფა, ხარისხობრივად განაღლებულ განზომილებაში დაგვანახებს გმირს, თორემ უსახური სიტუაცია ხშირად ასევე უსახური პიროვნებას გეთავაზობს და რაკი სხვაგვარი არ გვყავს, ჩვენც ვიღებთ ამ პიროვნებას. და, უფრო მეტიც, ერთგვარად ვაიღიალებთ კიდევ მას. ის, რაც ახლა მოგახსენეთ, ცხადია, არ არის მხოლოდ მოკლემეტრაჟიანი ფილმისათვის დამახასიათებელი ვითარება. ეს არის ხელოვნებაში აზარტული ოპოზიციის გამოვლენის საერთო სურათი. თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს საკითხი, ჩვენ კიდევ ერთხელ გწმუნდებით სრულმეტრაჟიანი და მრავალსერიანი სატელევიზიო ფილმების მავალთებზე.

1979 წლის სატელევიზიო ფილმების თემატიკური პორტფელში საყმაწვილო ფილმის გათვალისწინება სასიამოვნო ფაქტად მომეჩვენა, მაგრამ იმთავითვე გამოინადა იქნეული დამოკიდებულება ფაქტისადმი. ფილმის ავტორები გულწრფელად დაინტერესდნენ ყმაწვილის ცხოვრებით თუ ამ ქანრში მუშაობის გადაწყვეტილება არის მხოლოდ გამომართება მუდმივ საყვედურებზე, მითითებით რაიმე შეთრდება საყმაწვილო ფილმის ნაკლებობის გამო. ამ შეკითხვაზე პასუხს მხოლოდ ფილმი გამცემდა. მაგრამ ფაქტია, რომ ასეთი აზრის დაბლება უკვე ნიშნავდა იმას, რომ საყმაწვილო ფილმი ჩვენში მართლაც სავალალო დღეშია.

ამგვარი განწყობილების მიუხედავად, ყმაწვილთა სამყაროსაკენ ზურაბ თუთუბერიძის მიერ გადაღმული ნაბიჯი საკითხის დადებითად გადაჭრის პირველ ნიშნად მივიჩნეო.

„ნიკა მთაში“ მოსწავლეთა არდადეგების პერიოდს მოიკავს. მოზარდის ცხოვრება ამით არ კარგავს სანტერესს, აქტუალურ ასაქუტებს. პირიქით, არდადეგების დროს ნიკას ყოფნა გეოლოგიურ პარტიაში ცხოვრების წინა ხაზზე მოხვედრას უდრის. ექსპედიციის მუშაობის რთული პირობები, გეოლოგიის ურთიერთობათა ჭკვე ყმაწვილის ცხოვრებას შეაცნობინებს. ცხადია, ცხოვრების შეცნობის პროცესი ბარშიც მიმდინარეობს და მთაშიც. ავტორთა გადაწყვეტილება მოქმედება მთაში გადატანით და თორბათ ექსპედიციის მუშაობის ფონზე წარემართათ, თავისებური პირიციპული მნიშვნელობა ჰქონდა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ექსპედიციას პარტია სამყაროს მნიშვნელობა ენიჭება. ადამიანთა ყოფას აქ დასახლებული ადგილიდან მოშორებით, თავისი კანონები აქვს — ერთდროულად მაკარცა და ჰუმანურთა. აქ, იქნებ, მეტი ფასი ჰქონდეს მეგობრობას. აღმაიანზე ზრუნვას, ხოლო უნებელი შეცნობა მაკარცა ისეება და ბოროტების რანჟში ადის. მოქმედების მთავრი გადატანის გამო თავისი დრამატურგიული დატვირთვა ბუნებასაც უნდა ჰქონოდა, რადგან ადამიანის სულიერი სინატივე სწორედ ამასთან კონტაქტში იღებდა თვალსაჩინო გამოხატულებას.

ფილმის მიხედვით, მამამ ნიკა მთაში იმიტომ გაგზავნა, რათა მისთვის ცხადი გაეხადა, რომ მიზნისკენ მიმავალი ყოველი გზა არ არის მისაღები. ფილმი მუდმივად ეხმარება ამ შეგონებას. იცლებთან მოქმედი პერსონაჟები, იცლება სიტუაცია, მაგრამ შეგონება მე-

ორღება. გამოდის, რომ ავტორები მორალურ-ეთიკური პრობლემებით აღვსეულნი. ეს ძალზე მნიშვნელოვანი პრობლემაა, თუმცა, ძნელია მოიძებნოს მხატვრული ნაწარმოები, რომელიც ამგვარ პრობლემას არ მოიცავდეს. ამ ფილმში კი პირდაპირ ზნეობისა და სიმშინდლის გაცეცხლელობა მოცემული. ფილმის ავტორებმა შემოჰყავთ ხასიათთა და ბიოგრაფიით განსხვავებულად ამიანიები. აქ არის ნიკოერი, თამბი გელოზაგი, ერთგული მეგობარი და, საერთოდ, ადამიანის სიყვარულით აღვსეულ კაცი (თ. არჩვაძე). ნიკა მეგზური მთავრ; აქ არის ყოფილი მეომარიც, თავმდაბალი, პატიოსანი მუშაიკი (უ. სკანდელიძე), რომელთანაც ნიკას ხშირად უხდება ჟრთიერობა. აქ არიან შრომის პაოსით გაშიჩნეული ადამიანები, არიან მეტ-ნაკლებად ცუდი ადამიანებიც. ერთი სიტყვით, ფილმის ავტორებმა ნიკას კარგისა და ცუდის თვალსაჩინო საილუსტრაციო მასალა შესთავაზეს, რის საფუძველზეც მას სთათათი დასკვნები უნდა გაეკეთებინა.

ნიკა, ისევე როგორც ჩვენ, მაყურებლები, შეიარაღებულია ინფორმაციით თითოეულ მათგანზე — ზემოთ მოყვანილი მოკლე დახასიათებები ჩვენ ერთნაირად მივიღებ სხვადასხვა მოქმედი პირისაგან და რადგან ხასიათები ამაზე მეტად არ იხსნიებიან, ისინი მხოლოდ გარკვეული სახასიათო მდღელის ილუსტრაციებს წარმოადგენენ.

ცხადია, ფილმის უბირველესი დანაჯარია ის, რომ არ გაიხსნა მობარდის სამყარო, მისი ხასიათი. ავტორები ძირითადად მოზარდის სიკეთეს ვერაგებიან. ასეც რომ იყოს, სიკეთეც სარწმუნო არგუმენტი უნდა გახდეს. ის არ უნდა ჩაიკეტოს უზნეობის ნაკუჭში, სიკეთეც რომღნადმე ყრმის ფსიქიკაც უნდა ჩამოაყალიბოს.

სქემატურ მონახაზში ჩაიკეტა თითქმის ყველა სახე. ვიჭობებ. განსაკუთრებით გაუჭობდათ პროფესიონალ მსახიობებს თ. არჩვაძესა და უ. სკანდელიძეს, რომლებსაც გამოცილილება უქარანახებდათ სახის გამდიდრებას, მაგრამ ამაოდ — განსასახიერებელი თითქმის არაფერი იყო.

ფილმის ძირითად ხარვეზს — თბობის სქემატურობას — მთელ ქსოვილში ვგრძნობთ. ვერავითარ დახმარებას ვერ უწევს ამ მხრივ ტუის ბინადართა ამსახველი ჩანარობები, ისინი ანტიხსენილებივით შემოიკრებიან და ისედაც გაუმართავ ქსოვილს აპარორანული ხმით ტვირთავენ.

საყმაწვილო ფილმი კინემატოგრაფიის რთული სფეროა. თბობის სიმართლისა და მხატვრული სრულყოფის საკითხს აქ მოზარდთა ცნობისმოყვარე აუდიტორიაც აფასებს. იმიტომ რომავად დასაანაია ფილმის არასრულფასოვნება, რადგან ამგვარი დამოკიდებულება კიდევ უფრო აუარესებს საყმაწვილო ფილმის ისედაც კრიზისულ მდგომარეობას.

სათაურით „ქორწინება იმერულად“ რეისორები ნ. ნინოვა და გ. წულუია უკვე თავიანდებ მივიითებებენ, რომ მათ ფილმში დრამატურული ინტრიგა ერთგულ-ლი მომხიბვლელობის საჩვენებლადია მიმართული.

სამანიშვილების ტრავედია და საერთოდ იმერეთის ყოფა და კლდისაშვილმა ავებდიო ქორწინებაზე მრავალ-

კერ აავო. შემოკლდომის აზნარებები თავიანთ ვანწიოთ უკრედლიტობაში ქორწინებაზე რომ დიდ იმედს ამაყარებდნენ — „დაკარგულ სამოთხეში“ ვნახავთ, რომელიც წინება, როგორც ყოფისა და ხასიათების განმათვისსა-ჩინოებელი ფაქტი, ნინოვამ და წულუიააპაც ირწმუნეს და გავისტუმრეს თანამედროვე იმერეთის სოფელში, კლდისაშვილისა და კაკაბაძის დღევანდელ მემკვიდრეებთან.

სოფელში ჩამოსულ ახალგაზრდა მოქანდაკეს — ლაღოს — კოლმურნობის თავმჯდომარე ქანდაკების შეკვეთას აძლევს.

ლაღო ქანდაკების მოდელად ცირა ნიორაძეს აირჩევს. ცირას მშობლებისათვის საქმარისა ამისი გაგება, რათა ქალიშვილი ლაღოს საცოლედ გამოაცხადონ. ამა-სობაში ლაღოსა და ცირას შორის სიმბათური გრძნობები ჩნდება. მაგრამ მათ დამოკიდებულებაში მშობლებისა და სოფლის აქტიური ჩარევა ლაღოს წინააღმდეგობის გაწევის სურვილს უმამარებს მხოლოდ და იგი ქალაქში გარბის. მაგრამ მალე მიხვდება, რომ ცირას გარეშე მას ცხოვრება არ შეუძლია და სოფელში ბრუნდება.

ასეთია ფილმის ფაბულა.

ყოველი ჩვენგანისთვის, ალბათ, ადვილად ამოსაკითხია ფაბულის კომედიური მარცვლი — საქმარისა ქალიშვილთან იროლობეში გაიართ, რომ ქორწინების აუცილებლობის წინ დადგე. ეს არის ავტორთა დაცინვის საგანი.

მე შორის ვარ იმისგან, რომ დავიწუნო ან კრიტიკულად შევაფასო ავტორების მიერ შემოთავაზებული რაი-კონფლიქტი ან თუნდაც დრამატურული მიტევი, ვინაიდან ხელგევაში ასახვის საგანად ყველაფერი ცხოვრებისეული შეიძლება აქციეს. ლაღოსა და ცირას სასიყვარულო ამბავი და მათი მშობლების ახირებულობა ცხოვრებისეული მომენტებია და საესეებო დასასმე-ბია მხატვრულ ნაწარმოებში მათი დასესხება, ოღონდ, ერთის პირობით: ნაწარმოების მხატვრულ მთლიანობაში ამ მომენტების დანიშნულება გამართლებული უნდა იყოს. რა, რისთვის, რატომ და როგორ, — აი ხერხე-მალი. რომელიც აუცილებლად უნდა არსებობდეს ნაწარმოებში და თანაც არსებობდეს უჩინარად, რათა არ დაიკარგოს ს ი მ ა რ თ ლ ი ს შიბაბედილება.

ერთი მიზევეით, ფილმში ყველაფერი რიგზეა.

ლაღო იმეტომ ჩამოდის, რომ ხელმოცარული... შეკვეთას იმიტომ იღებს, რომ მატერიალური საფასური იზიდავს... ცირას იმიტომ აქანდაკებს, რომ მოსწონს... ლაღო იმიტომ გარბის, რომ არ სურს იძულებით ქორწინება და ა. შ.

კონფლიქტური სიტუაციის გაქცევით გადაწყვეტა პირადმე ვერაღნადმე უხერხულ მდგომარეობაში მაყენებს. არა იმიტომ, რომ მომხრე ვარ ერთმანიშვნელოვანი გადაწყვეტისა და ვფიქრობ, რომ თუ ლაღო გარბის, მას ცირა არ უყვარს. ან, თუ უყვარს, რატომ გარბის, სრულადაც არა. სიყვარულის გამო ადამიანები კიდევ უფრო შორს წასულან და უფრო დიდ ხნითაც. უხერხულობის მიზეზი ვახსავთ ის, რომ ლაღოს გაქცევა არ არის სარწმუნოდ არგუმენტირებული.

ფილმში არის ერთგვარი განმარტების ცდა, — ახა-





კლარი ფილმიდან „მეფეა“

ღაზბრდა გმირს მოსწონს ცირა, მაგრამ ჭერ არ არის გარკვეული თავის გრძნობებში და ასეთ დროს ოფიციალურ საქმროდ გამოცხადება მას აღიზიანებს. ვალიზიანების შემდეგ კი ლადოს აუმუშავდება წინააღმდეგობის გაწევის რეფლექსი.

ასეთ მიზეზს სარწმუნოდ ჩავთვლიდი, მაგრამ მაცურებელი იცნობს ლადოს ხსიათის კონკრეტულ ნიშნებს. მართალია, ის ჭერ კიდევ ნებივრობას იჩენს, თითქოს გარდამავალი ასაკისათვის დამახასიათებელ სიანცესაც, მაგრამ ის, რომ მას აქვს დაფიქრებისა და სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარი — ესეც ცხადად იკითხება მის დამოკიდებულებაში საქმისადმი, პროფესიისადმი.

ამავე დროს, ჩვენ ვიცნობთ კონკრეტულ სიტუაციასაც, რომელიც ლადოს გარეშე შეიქმნა ნიორაძეების ოჯახის წყალობით, ე. ი., ლადოს წინააღმდეგობას რალაც სხვა მიზეზიც უნდა გააჩნდეს. რა მიზეზია ეს?

ცირას შშობლები რომ უპატონონო გზით გამდიდრებული ადამიანები არიან — ამაზე ლაპარაკობენ ფილმში. თანასოფლებმა იციან მათი მაქინაციების ამბავი, მაგრამ არ ვიცო, ეგუებიან თუ მათ გარკვეულ სიძლიერეს გრძნობენ (ფილმში მიზეზი არ იკითხება), ხელშეუხებელ პიროვნებად მიუჩნევიან, ამდენად, მათ მიერ ნიორაძეების დახასიათება მხოლოდ ინფორმაციის მოვალეობის შემსრულებელია, ინფორმაციისა, რომელიც დრამატურგიულ ქსოვილში არ თამაშდება.

ცხადია, ლადო იმიტომ გაიტყა, რომ მას ალუდგა ოჯახი, რომელიც არაჯანსაღი კანონებით ცხოვრობს. ეს მიზეზი კი ფილმში გაუმოწრაფი იმიტომ დარჩა, რომ ამ ფილმის ავტორები არ იცდებენ სოციალურ ასპექტებს,

ჩემის აზრით, მომხვეჭელობის თემა ფილმში მოგვიანებით შემოვიდა. ყოველ შემთხვევაში ფაბულაში, რომელიც სავანგებოდ გადმოგვით, ის ადგილს არ ითხოვს. სოციალური სიმწვავე დამატებითი სიტყვის სახით შემოვიდა, შესაძლოა, იმისათვის, რომ ავტორებს გარკვეული ხარკი გადაეხადათ ჩვენს რესპუბლიკაში დრო-

ით წამოჭრილი პრობლემებისათვის. ეს კი უკვე ზედაპირულობაა.

იმერელმა გულეკაცმა და არა მარტო იმერელმა, შესაძლებელია, მართლაც, სტუმრად მოსული ადამიანი სასიძოდ გამოაცხადოს. ასეთი რამ მართლაც იწვევს ღიმილს, მაგრამ ამისათვის სულაც არ არის საჭირო ეს კაცი უფრო სერიოზული მანკიერებით დავეტირთოთ. სრული შესაძლებელია, რომ პატრონანი, მაგრამ პრივილეგიული აზროვნების ადამიანი ამგვარად ფიქრობდეს. ასეთ შემთხვევაში მეტი საფუძველი გვექნებოდა ღიმილისათვის. კომედიური სიტუაციისათვის. თორემ ის, რომ სოფელში ცხოვრობს და ბოგინობს ოჯახი, რომელიც თავის ყაიდაზე ამოქმედებს სოფლის გარკვეულ ნაწილს და, ზოგ შემთხვევაში, ლადოსაც, სრულებით არაა სასაცილო.

ზემოთ ხელოვნების ნაწარმოებში სიმართლზე მოგახსენეთ. როგორი სიმართლით აისახა ფილმში დღევანდელი იმერეთი? პასუხი ერთია: ბენდიერი, შრომითი დღეებით აღსავსე; სოფელს ჰყავს გამარჯე უფროსი თაობა და ახალგაზრდობა, ე. ი. სახელოვანი წარსული და პერსპექტიული მომავალი, იდეალური კოლმეურნეობის თავმჯდომარე და მანიკერების ეროადერთი გამოვლენა — ნიორაძეების ოჯახი. მაცურებელმა ეს სიმართლე უნდა იჩვენოს. მას კი, ვფიქრობ, გაუჭირდება ამის დაჭერება, თუმცა კოლმეურნეები გულით ცდილობენ მოლომარი სახეებით გამოიყურებოდნენ. ყველგან — ქუჩაში, საკუთარ კარმიდამოში და საბარგო მანქანაში, ყანაში გასამგზავრებლად რომ ჩამსხდარან — ბენდიერი ღიმილი დასთამაშებთ სახეზე.

არა მგონია, ნეტარების ამ გამოხატულებამ განცდების ქუმპარტებაში დაგვარწმუნოს. ცხადია, არა იმიტომ, რომ მე მევევება შრომისაგან მინიჭებული ბენდიერებისა, არამედ იმიტომ, რომ ფილმში არ ჩანს რისი შედეგია ეს ღიმილი, სულიერი და ფიზიკური ძალების ხარკვის რა პარამონიული მითლიანობა უდევს მას საფუძვლად. ამიტომ ღიმილი უფრო ნიღბს ემსგავსება, რომელიც გვიკეტავს სიმართლისაკენ მიმავალ გზას. და რაკი ამცდით სიმართლეს, გვერდით დაგვრჩა ე რ ო

ენ ული თვითმყოფადობაც, რომელიც იმაში გამოხატება მხოლოდ, რომ შეძახილზე — მისპინტელო! — ღვინით სავსე დოქი გამოაქვს იმერელ კაცს. იმერეთი ამ შეძახილით იწყება, მაგრამ მისი თვითმყოფადობისაკენ მიმავალი გზა შორის მიემართება, ამ გზაზე ადამიანის სულიერი სამყაროს ის სივრცეებიც იშლება, სადაც ვხვდებით მისი მრავალმხრივი ნიჭის, უნარის გამოვლენებებს, მათ შორის ერთ-ერთს — იმერელი კაცის სიყვარულისადმი დამოკიდებულებას.

შარშანდელი პროლეტკია გვათავაზობს ე. წ. ვესტერნის ქანრის ნაწარმოებსაც. ეს ვახლავთ რეჟისორ გ. ხოჯაიას ფილმი „მიზანი“.

ფილმი სამ სერიას მოიცავს. საკმაოდ ვრცელი ექვრანული დრო ეთმობა ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებების ჩვენებას და ამ გზით პერსონაჟთა სულიერი ისაყაროს გახსნას.

როგორც წესი, გამოჩენილი ინტერესით ვუყურებთ ისეთი ქანრის ფილმებს, როგორცაა ვესტერნი და მიუზიკლი. თითქმის შეუძლებელია ამ ქანრებისადმი გულგრილი დამოკიდებულება. ეს ის ქანრებია, სადაც განსაკუთრებით იკვეთება ადამიანთა ურთიერთობის რომანტიკა, ის, რაც ჩვენი სულიერი ცხოვრების განუყოფელ ნაწილს შეადგენს.

მიუხედავად ამისა, ე. ი. ცალკეული რეჟისორის მისწრაფებისა ასახოს თავის წარმოსახვაში არსებული ოცნებების რეალური მოდელი, ჩვენ არაერთხელ ვაგმობდართვართ მოწმე იმისა, რომ ვესტერნიც და მიუზიკლიც შექმნილია შტამბადტექნიკის სქემებით, უკეთ რომ ვთქვა, „მიმბაძველობით“. ამ მოვლენას თავისი საფუძველი აქვს, შესაძლებელია, მყარი იმის გამოც, რომ ორივე ქანრი ჩვენს შეგნებაში დამკვიდრებულია იმ სახით, როგორცაა ჰჰოვა მან დასაბამი ამერიკულ კინოხელოვნებაში. მიუხედავად ამისა, ჩვენ უნდა შევძლოთ განახლებული მხერა მივაყაროთ ამ ქანრის ნაწარმოებებს.

ცნობილია, რომ ვესტერნის გმირი მოხერხებული, მომხიბვლელი, კარგი მსროლიელია, ერთგული მეგობარი და მიკნური, მდიდარი სულით დაჯილდოებული პიროვნება.

მსოფლიოში არ არსებობს ერთი, რომელიც წყალობაში, ლიტერატურაში არ ჰყავდეს ადამიანის ამგვარი ტიპი. ასეთი პიროვნებები ყოველთვის გვევლენებიან სიმრთლის დამცველებად, სიკეთის დამწერგავებად და ა. ა. შ. ეს სახეები, კონკრეტულ ხასიათებთან ერთად, ცხადყოფენ წინააღმდეგობის გაწევას, შებძოლების სახალხო უნარს, ამ მხრივ, არც ჩვენ, ქართველები ვართ გამოჩაყლისი. ასე რომ, ვესტერნის გმირი ეხმინება ქართული სულის დამახასიათებელ თვისებებს და, ამდენად, ის არ უნდა მივიჩნიოთ „მიმბაძველობით“ აქციოდ. მიმბაძველობის საშოროება არა ქანრულ სახეობაშია, არამედ უკვე ნაცნობი გამომხატველობითი საშუალებების დასესხებაში.

ფილმში, რომელიც ეპიზოდშივე ჩანს, ერთმანეთს უკავშირდებიან სხვადასხვა მრწამსის ადამიანები, ამ დრამატურგიულ ხერხში, იმაში, რომ განსხვავებული ხასიათისა და პოტენციური შესაძლებლობების ადამიანები უკავშირდებიან ერთმანეთს და ერთი მიზნისაკენ ისწრაფვიან, უკვე შეიცნობა ვესტერნის ქანრში დამკვიდრებული სვლა. ხასიათების დამუშავება საინტერესოა, თუმცა ამ პროცესში შეიძლება მეტი საინტერესოა წახანავის წარმოჩენა. ხშირად, სწორედ სცენარისტისა და რეჟისორის, და არა მსახიობის, ნამუშევარში ჩნდება ხასიათის ვაჯრების ნაცნობი „ვესტერნი-სეული“ ხერხები, ამიტომ, განმასხვავებელი ნიშნები, როგორც სოციალური, ასევე სახასიათო ასპექტების მხრივ, ხშირ შემთხვევაში, მინიშნებალდა რჩება.

ფილმში უდავოდ იქცევს ყურადღებას სასახიობო ანსამბლი. რეჟისორმა ისეთი მსახიობები შეარჩია, რომლებმაც შესძლეს „დაევიწყათ“ ვესტერნის ქანრის ცნობილი ავტორიტეტები და ხასიათის თავისებური ვაჯრებით დამაჯრებელ შედეგს მიაღწევს. სარწმუნოდ გვაწვლიან თავიანთ გმირთა ხასიათობრივ მონაცემებს ა. შენგელია, ბ. წიფურია, ი. კახიანი. განსახიერების სიწრფელით მაღლა დავს ლ. ფილფანის გმირი,

კალრი ფილმდან „გოლა“



ხლო ფილმის მთავარი მოქმედი გმირი გ. ფირცხალავას შესრულებით კვლავ გააფიქრებინებს იმას, რაც არავითხელ გამოვეთქვამს — ამ მსახიობის შესაძლებლობები ჭერაც არ არის გახსნილი სათანადოდ ჩვენი კინემატოგრაფისტების მიერ. გ. ფირცხალავა ხალასი ნიჭის მსახიობია, ერთნაირად საინტერესო ვარგებლობით და უშუალო ქმედებით. სასურველია, რომ მსახიობი უფრო მეტად დაიტვიტოს საინტერესო როლებით, სადაც გამოჩნდება მისი უნარის ჭერ კიდევ ხელშეუხებელი წახნაგები.

ფილმში კარგ შთაბეჭდილებას სტოვეებს ოპერატორის ნამუშევარი. კომპოზიციის სისრულე, ფერის საგულდაგულო დამუშავება დეკორატიული სილამაზის საშინაობას ასცდა ოპერატორ ა. ვასასიას მიერ გამოძღვანებული ზომიერების გრანობის გამო. იგივე ზომიერებით ან უფრო სწორად, ხალხური ჰანგის სწორი დამატურებელი გაახორციელა გამოიხატა ფილმში კომპოზიტორ ი. ბობოხიძის ნამუშევარიც.

რა თქმა უნდა, ყველა კომპონენტმა გაიქვარა და თავისებური თემატური ხაზი შეიტანა ფილმში რეჟისორის მორაგანიზებული უნარის წყალობით. ო. ხოჯავას მიერ გადაღებული სამსერიანი ფილმი მსხვილი ფორმის სიუჟეტური და მხატვრული სირთულეების დამლევებზე მერყეულებს. მომავალში, ალბათ, ამ ფილმის გამოცდილება უკეთეს შედეგს გამოიღობს, როგორც რეჟისორის შემოქმედებაში, ასევე „ვესტერნის“ ჟანრის მომავალ ნიმუშებში. კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ბაზაზე, ალბათ, კვლავაც განაგრძობენ ვესტერნის ჟანრში მუშაობას. საამისოდ ჩვენში არის ბრწყინვალე ნატურა („მიზნის“ მაგალითზე ეს კარგად ჩანს), რომელიც ჭერაც ხელუხლებელია, გვყავს მსახიობები, გვაქვს დრამატურული მასალა — დამუშავებული თუ დამუშავებელი ისტორიული წყაროები, ლიტერატურა, და, რაც მთავარია, ერის სულიერ მონაცემებთან ჟანრული მოთხოვნილების სიახლოვე. არ არის გამოირცხელი, რომ ამგვარად დაწყებულმა ძიებებმა სასურველი შედეგი გამოიღოს — შეიქმნას აქტიური ქმედების, ძლიერი სტლისა და სამართლიანი კოდექსის ერთგული გმირის სახე.

„ეკრანის“ დაკვეთით გადაღებულ ტელეფილმს მოხსნილი აქვს ყველა ბარიერი, მას ერთდროულად უყურებს საბჭოთა კავშირის ყველა მყურებელი, რის შედეგადაც გარკვეულ წარმოდგენას იქმნის ქართული ფილმის იდეურ-ესთეტიკურ ფენომენზე, და საერთოდ, ქართულ ყოფაზეც. შესწევს თუ არა ძალა „ქართული ფილმის“ ბაზაზე გადაღებულ ტელეფილმებს წარმოაჩინოს ქართული კინოს ძირეული მხატვრული მანიშნებლები და ჩვენი ცხოვრების სურათი, ქართველი კაცის სულიერი ფასეულობები? ორი წლის პროდუქციის სა-

ხით წარმოდგენილი მასალა სერიოზულ დადგინებას იმსახურებს.


განილულ ფილმების უმეტესობა ეკრანებს ასახავს და, ამიტომ, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ტელეფილმებში თანამედროვეობის ასახვის პრობლემა გადაწყვეტილად მოგვეჩვენოს. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით და ისიც საკმაოდ დისტანციის დაცვის შემთხვევაში. ზ. თუთბერიძის ფილმის გამოკლებით, თანამედროვე თემაზე შექმნილი ყვეელი ფილმი ლირიკული კომედიის ჟანრშია გადაღებული. კომედია, ისე როგორც არცერთი სხვა ჟანრი, ფართოა თავისი სახლებრებით — სატერა, იუმორი, პაფლეტი, გროტესკი, აბსურდის, იუმორის თუ სხვა სახეები კომედიისა ასახვის მდიდარ საშუალებას მოიცავენ. ქართველი კინემატოგრაფისტები რომ ძირითადად ლირიკული კომედიის ჟანრში მუშაობენ (ვიმორებ, მგდღელობაში მაქვს ორი წლის პროდუქცია), ერთ განმარტებას იმსახურებს. ისევე ამ ფილმებიდან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ ლირიკა მათ ავტორებს მიუჩნევიან ცალკეული გრანობა-განწყობის საჩვენებელ ასპარეზად. იქაც კი, სადაც ამა თუ იმ მიზეზის გამო ნაკრეტული ხასიათისა და მოვლენის წინ აღმოჩნდებიან, არის ნათელყოფას თავს აღწევენ ლირიკული გადახვევების ხარჯზე. ასეთ დროს ლირიკა კარგავს თავის დანიშნულებას, რომელიც საზოგადოებრივი აზრის პირადული განცდით ასახვაში მდგომარეობს. დაკარგავს რა ამ თვისებას, ის იქნის ახალს, რათა ერთგვარად გააწონასწოროს დანაკარგი; ეს გახლავთ ასახვის მეთოდები, რომლებიც დანაკარგის შევებას, ცხადია, ვერ ახერხებენ, მაგრამ, თავის მხრე, ფილმის პოეტუკაში გამაღიზიანებელ შთაბეჭდილებას ტოვებენ. ამის გამო ხშირია ბუნების პანორამების თეიმინიზური გამოყენება, გრძლიობები — არაფრისმოქმედი პორტრეტებით გადატვიტული და საერთოდ, ილუსტრაციული მნიშვნელობის კარები.

ერთი სიტყვით, ადამიანს, რომელიც ტელეეკრანის მეშვეობით იცნობს ქართულ კინოს, ხშირ შემთხვევაში, ძნელია აუხსნა, რაში მდგომარეობს საბჭოთა კინოს ერთ-ერთ ავანგარდულ პოზიკაზე მდგარი ქართული კინოს მომხიბველობა, ან დღევანდელი ქართველი კაცის აზრისა და ოცნების სიმაღლე.

60

# რემკო ლალიძე

ეს წერილი უკვე დაბეჭდილი იყო, როცა ღრმა მწუხარებით შევიტყვეთ ქართველი ხალხის საყვარელი კომპოზიტორის რევაზ ლალიძის გარდაცვალება.



გამოჩენილ კომპოზიტორს, საქართველოს სახალხო არტისტს, რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიების ლაურეატს რევაზ ლალიძეს 60 წელი შეუსრულდა. თარიღები უნებურად ბადებენ სურვილს გახედო ხელოვანის მიერ განვლილ გზას, დააჭამო მრავალწლიანი მოღვაწეობის შედეგები, ჩამოაყალიბოს თვისებები, რომლებსაც იგი ამჟღავნებს შემოქმედებაში, საზოგადოებრივ ასპარეზზე, ყოველდღიურ ცხოვრებაში.

მადლიერების გრძნობა გეუფლება, როცა რწმუნდები, რომ შენს წინაშე დგას პიროვნება, ღირსეულად რომ უკვლია ცხოვრებისა და შემოქმედების რთულ გზებზე, არასოდეს უღალატა თავისი ნიჭისა და მოწოდებისათვის, კომპრომისზე არ წასულა, არ გაორებულა, ქედი არ მოუხბრია სწრაფწარმავალი დინებების წინაშე.

ასეთია რევაზ ლალიძე, რომლის ცხოვრებასა და შემოქმედებას მკვეთრად აშინევია ალაშქრათალი, საოცრად წრფელი და ხალასი პიროვნების კვალი. ეს თვისებები განსაჯებულ მომხიბველობას ანიჭებენ რევაზ ლალიძეს — ადამიანსა და ხელოვანს, ეროვნული თვითმყოფადობით აღბეჭდილ მის შესანიშნავ ტალანტს, საინადაც გამოსჭვივის ზნობრივი სისპატივად და რომანტიკული მხურვალეობა, ცხოვრების დაუოკებელი, მამაკაცური სიყვარული, პარმონისი, სილაშხის გრძნობა.

მთლიანი და მრავალფეროვანია რევაზ ლალიძის შემოქმედება. მასში ერთმანეთს ექსოვებიან ოპტიმიზმით გაცისკროვებული ამაღლებული მოქალაქობრივი მისწრაფებები, ინტიმური განცდები, პატრიოტული გზნება, უადრესად გამოტყუებულ ლარიელულ სიფაჩზე და ეპიკურსი შემართება. სიჯანსაღი და კეთილშობილესა მსგავლავს რევაზ ლალიძის სიცოცხლთ სავსე მუსიკას, რომელსაც იმთავითვე დასვა ადამიანებთან დამეგობრების, ხალხში დამკვიდრების ძალა.

საქართველოს ყველა კუთხეში, მის საზღვრებს გა-

რეთ ხალხი მღერის იმ საოცრად თბილსა და ომახიან ჰანგებს, რომლებიც ცოცხლობენ რ. ლალიძის შესანიშნავ ლირიკულსა თუ მასობრივ სიმღერებსა და რომანსებში, პერიოდიულ ენერჯით ფორმისხმულ მრავალმიან საგუნდო ჰიმნებში, ქანრული ფერადოვნებით აღსავსე სიმფონიურსა და ინსტრუმენტულ პიესებში, მუსიკალური და დრამატული თეატრების სპექტაკლებში, კინოფილმებში...

ესოდენ ფართო პოპულარობის უმოაგერეს მიზეზი კა ბუნებისაგან მომადლებული, ამოუწურავი მელოდიური ნიჭია, სათავეს რომ იღებს ქართული ხალხური მუსიკის მრავალსუქუნოვან წიაღში და აწავე დროს აღბეჭდილია ლალიძისეული არტისტიზმით, ტემპერამენტით, უადრესად კოლორიტული, ადამიანური, გულშიაწმყოდომი ლალიძისეული ინტონაციით.

სიხარულისა და აღფრთოვანების გრძნობა გეუფლება, როცა იხსენებ რ. ლალიძის ნაწარმოებებს — ბალადას „ევანზე“ და სიმფონიურ სურათს „საქვიდაო“, სიმღერებს „თბილისზე“ და ატყე შეუნახეთ „შვილებსა“, „ოერას „ლეულ“ და მუსიკალურ კომედიას „კომბლე“, საგუნდო ჰიმნს „უარძია“ და საფორტეპიანო პიესას „რონდო-ტოკატა“, კანტატებს „იდლება ლინის“, „ოდა პარტიას“, „მოაბიჯებს ოქტომბერი“, მუსიკას კინოფილმიდან „სახლდარული ქაბუცი“, „ხევსისბერი გოჩა“, „ყვავილი თოვლზე“, „ყვითლი ადამიანები“, „ხევსურული ბალადა“ და მრავალ სხვა ქმნილებას, რომლებსაც არ სჭირდებათ შუამდგომლობა, რადგან ისინი ცოცხლობენ ხალხში, როგორც მისი სულიერი ცხოვრების განუყვარი თანამგზავრები.

ქურნალ „სახბოთა ხელოვნების“ რედაქცია დაბადების 60 წელს ულოცავს კომპოზიტორ რევაზ ლალიძეს — ნამდვილ პოეტს, პატრიოტსა და მოქალაქეს.

# „ლელა“ ქუთაისის საოპერო თეატრის სცენაზე

ქუთაისის საოპერო თეატრმა წარმოადგინა ახალი დადგმა — კომპოზიტორ რევაზ ლალიძის ოპერა „ლელა“, რომელიც ბოლოდროინდელი ქართული მუსიკალური ხელოვნების მნიშვნელოვანი შენაძინია.

მისასალმებელია, რომ თეატრის ხელმძღვანელობა ასეთი დაყენებული თანმიმდევრობით ანხორციელებს ქართული საოპერო მუსიკის ათვისების პროცესს, რისი წყალობითაც გამოიკვეთა თეატრის სახე და ამოცანები, მისი ეროვნული პროფილი.

ამ პროცესის გაღრმავებისა და გაძლიერების მიზნით თეატრის ხელმძღვანელობა მმართველ სხვადასხვა გზას — ხელახლა დგამს თავისი რეპერტუარის ქართულ ოპერებს (ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“, ვ. დოლიძის „ქეთო და კოტე“, ო. თაქთაქიშვილის „მინდია“), ანახლებს სექტატკლებს, (ა. კერესელიძის „ბაში-აჩუკი“, ა. ბუციას „დაუბატყებელი სტუმრები“, მ. ბაღანიძის „დარეჯან ცხიერი“), დგამს ახლადშექმნილ ქართულ ოპერებს—გ. ჩლაიძის „დარისპანის გასაჭირი“, რომელიც ქუთაისის საოპერო თეატრში დაიბადა და რ. ლალიძის „ლელა“.

ამასთან ერთად, თეატრის მესვეურებს განზრახული აქვთ სხვადასხვა თობის ქართული კომპოზიტორების მოზიდვა, მათთან შექმედებითი თანამშრომლობის დამყარება — ამა თუ იმ ყანრის ოპერათა დაკვეთის მიზნით, აგრეთვე, წარსულში შექმნილი კლასიკური თუ საბჭოთა საოპერო მემკვიდრეობის გადასინჯვა, რის შედეგადაც, შესაძლოა, ახალი სიცოცხლე ჰპოვოს არაერთმა მივიწყებულმა პარტიტურამ. ეს ამოცანები, რომელთა რეალიზაციისათვის უკვე გადაღმულია პრაქტიკული ნაბიჯები, საინტერესო პერსპექტივებს სახაიენ შემოქმედებითი კოლექტივის წინაშე. სავარაუდოა, რომ ეს მალალო, კემპარიტად პატიოტული მისწრაფებები დროთა განმავლობაში ქუთაისში შექმნიან ქართული საოპერო ხელოვნების ცენტრს, მის შემოქმედებით სახელოსნოს, სადაც ფართო გასაქანი მიეცემა სხვადასხვაგვარ ცდებსა და ძიებებს. ეს დიდ სამსახურს გაუწყებს ქართულ საოპერო ხელოვნებას, რომელიც მხოლოდ ასეთ დამაბულ, კონცენტრირებულ ატმოსფეროში შეძლებს განვითარებას, გამდიდრებას, განახლებას. ქუთაისის თეატრი, უპირველესად, სწორედ ამ გზით მოიხვეჭს სახელს, და ავტორიტეტს.

ასეთი ოპტიმისტური პროგნოზების საფუძველს მაძლევს თეატრის ამჟამინდელი მდგომარეობა, ის შემოქმედებითი მიწვევები და ტენდენციები, რომელთა წარმოქმნა

## მანანა ახმეტელი

და განვითარება განაპირობა სარეპერტუარო პოლიტიკის ეროვნულმა გეზმა, დიხს, თეატრის კოლექტივი თავის დაბადებამა და დამკვიდრებას, წინსვლასა და წარმატებას, პირველ რიგში, უნდა უმაღლოდეს ქართულ კლასიკურსა და თანამედროვე ოპერებს, რომელთა საფუძველზე თანდათან მძლდემა დაის (ორკესტრი, გუნდი, სოლისტები) პროფესიულ-მხატვრული დონე, ყალიბდება ეროვნული თეატრალური ფორმები და სტილი, ვითარდება სადადგმო და საშემსრულებლო ხელოვნების ტრადიციები. ქართულ სექტატკლებში შექმნილი გამოცდილება ეხმარება თეატრს ევროპულ-რუსული საოპერო ხელოვნების სპეციფიკური სირთულეების დაძლევაშიც, რასაც გვიმოწმებენ როსინის, ვერდის, პუჩინის, ლონჯავალის, მასკანის, ჩიპარიონას და სხვა კომპოზიტორების მეტნაკლები წარმატებით განსახიერებელი ოპერები. ამ ჩამოთვლილდნაიც ჩანს, თუ რაოდენ ფართოა და მრავალფეროვანი ქუთაისის საოპერო თეატრის ინტერნაციონალური პროფილი. და, მაინც, თეატრის სახე, შემოქმედებითი პოტენცია, მისი ზრდა და მიწლწვეები, მივლელი სიკბალით მეღვანდემა „უწინარეს ყოვლისა, ეროვნულ რეპერტუარში.



ეს აზრი კიდევ უფრო განამტკიცა რევაზ ლალიძის ოპერა „ლელა“, რომელმაც ქუთაისის საოპერო სცენაზე მეორე დაბადება იხეიმა. სპექტაკლის დონემ, მისმა სიწრფელემ და ხატოვნებამ, აგრეთვე, იმ რომანტიკულმა სიმბოლოებამ და ერთუზაზმამ, რომლითაც გამსჭვალული იყო პრემიერის თვითული მონაწილე, ცხადყო ქუთაისში ამ ოპერის დადგმის მთელი აუცილებლობა. მართლაც, შეიქმნა მნიშვნელოვანი სპექტაკალი, რომელმაც ხელი შეუწყო კოლექტივის საუკეთესო თვისებების წამოწვევას, დაამშვენა, გაახალისა თეატრის შემოქმედებითი ცხოვრება. მაგრამ მარტო ამით როდღე ამოწურება ამ დადგმის ღირსება. ქუთაისელთა სპექტაკლში რ. ლალიძის ქმნილება სრულიად ახალი სახით წარმოვიგდა როგორც თეატრალურ-სცენოგრაფიული და ქრონოგრაფიული გადაწყვეტის თვალსაზრისით, ისე მუსიკალური გააზრების მხრივაც.

საქმე ისაა, რომ ამ დადგამს გაამძაფრა ოპერის პატრიოტული იდეა, მისი კრონოლოგიული სელი, რისი წყალობითაც მუსიკალურმა სახეებმა პპოვეს მკვეთრი და შთამბეჭდავი გადაწყვეტა. ამ შთანაფიქრის ხორცშესხმას ხელი შეუწყო იმ კომპარტიდ ზალხურამ სუნთქვამ, რითაც განსაკუთრებით გამოირჩევა სპექტაკლის საგუნდო და საცეკვო სცენები. ასეთი საინტერესო შედეგი მოგვცა იმ ბედნიერმა შემთხვევამ, რომელმაც ერთობა, ნების კვლევა შეახვედრა ორი შესანიშნავი ხელოვნება: რევაზ ლალიძის ოპერამ იპოვნა ისეთი მგზნებარე ინტერპრეტაციო, როგორიცაა ზურაბ ანჯაფარიძე — ბერძნის პარტიის ბირველი და უბადლო შემსრულებელი, რომელიც ამჯერად ამ ოპერის რეჟისორის როლში წარმოვიგდა.

დადგმის დროს ზ. ანჯაფარიძე დაეყრდნო არა მარტო მუსიკალური პარტიტურის ღრმა ცოდნას და თავის უტყუარ შემოქმედებით ინტუიციას, არამედ ქუთაისის საოპერო თეატრთან მუშაობით შექმნილ გამოცდილებასაც. მისი რეჟისორული დებულები ზომ ამ ოპერისთვის წინ შედგა სწორედ ქუთაისის საოპერო თეატრის ცენაზე, სადაც მან წარმატებით დადგა ო. თაქთაქიშვილის „აინლია“.

ამ ორ დადგმაში გამოიკვეთა ზურაბ ანჯაფარიძის შემოქმედებითი აზროვნების სტილი, მისი ხელწერა. მუსიკალური შინაარსიდან წარმოქმნილ ლოგიკურსა და ემოციურ რეჟისორულ ნახაზს ატყევა შინაგანი მუსიკალობა, ახასიათებს სისადავე და სახელოვნობა.

შთავარი კი ისაა, რომ ამ დადგმაში ზ. ანჯაფარიძემ ბრძოლა გამოუცხადა გმირთა განცდების გარეგნულ, მელოდრამატულ გა-

მოხატვას, რისი საშოშირობაც ყოველმხრივ უდარაჯებს ხოლმე ისეთი ტიპის რომანტიკულ ოპერებს, როგორიცაა „ლელა“, სადაც წრფელი და თბილი ლირიკული სცენების გვერდით ვხვდეთ ვერისტული პათოსით გამსჭვალულ სიტუაციებს, რომელთა გამოშვლებითა და ხაზგასმით შესაძლებელია სენტიმენტალურ პათეტიკაში გადავარდნა. ამ საშოშირობის მოსახსენილად ზ. ანჯაფარიძემ აირჩია მოქმედების ოდნავ შენელებული რიტმი, ლაკონიურად მოხაზა მიზნისცნებები და საგუნდო სცენები, დაამკვიდრა განცდათა გადმოცემის თავდაპირველი სტილი. ასეთი-აირმა გადაწყვეტამ ლირიკულ ვითარებებს შესძინა სიღრმე და დრამატიზმი, მკვეთრად გამოავლინა სახალხო სცენების ამალმებული მონუმენტალიზმი, უკიდურესად დაძაბა ოპერის პატრიოტული ნაზი.

ერთი სიტყვით, ზ. ანჯაფარიძემ ოპერა „ლელა“ გაიაზრა და დადგა, როგორც გმირულ-რომანტიკული დრამა, რის საფუძველსაც იძლევა რ. ლალიძის პარტიტურის ეპიკური საყრდენები. ამ ამოცანის გადასაწყვეტად ზურაბ ანჯაფარიძემ სრულიად ახალი სცენური გადაწყვეტა მოუძებნა ფინალს, სადაც შეარაგა მეტოქეები, რის საზაბადაც გამოიყენა პატრიოტული იდეის ხეიმი, გამარჯვების აპოთეოზი, რომლის შექმნა სრულიად უმტიკვენელოდ გადაწყდა მათი კონფლიქტი. ყოველთვის ამან, პატრიოტული მოტივის განზოგადება გამოიწვია.

სპექტაკლის შექმნის დროს ზ. ანჯაფარიძეს აისატენებოდა უწევდა კ. ძნელაძე, რომელიც ხეწვდა წარმოადგენის პლასტიკის მხარეს, გულმოვარენედ ამცეცდინებდა სოლისტებს, გუნდს, ბალეტის მსახიობებს.

რეჟისორული პარტიტურის ვაშლა-ვანგეთარებას ხელი შეუწყო სცენოგრაფიამ, რომელიც მხატვარს შალვა ჩიქოვანს ეკუთვნის. შ. ჩიქოვანმა მოხერხებულად გამოიყენა ქუთაისის საოპერო სცენის „მკვირე გახარბეზი“ და ფერწერულ-კოლორისტული გაფორმების გზით თავისუფლად გადაწყვიტა ორი შემპირისპირებულ სინამდვილის (ქართვლეთა და რომაელთა) დასურათების საკითხი — ზუსტად მოზომა ამ სცენებისათვის მიზანშეწონილი მასშტაბი. პირველ შემთხვევაში (I და III მოქმედება) მან შექმნა სიერისა და მოცულობის შთაბეჭდილება, რომლის ფონზე კარგად იკითხება სახალხო სცენები, გმირთა ურთიერთობების გამოხატვლი მიზნისცნება. მეორე შემთხვევაში კი (II მოქმედება) ჩამოაყალიბა კამერული სიტუაცია, შესატყვისი ლელასა და გელას ლირიკული დუეტისათვის.

შ. ჩიჭოვანი არ დაღვდა ილუსტრირების მზას, მან ბლომოდ და დაახუსტია მოქმედების ადგილი და დრო, მიუხედავად ამისა, სცენაზე მაინც გაიკცხლა სავსებით რეალური ატმოსფერო, დაკონკრეტებული, ერთის მხრივ, ეპიზაუტური პირობებით (I და III მოქ.), მეორეს მხრივ, კი უხვად მოტანილი სხვადასხვაგვარი აქსესუარით, რის გამოც ეს სცენა (II მოქ.) შედარებით უფრო მძიმე და გაღატაკებული მეჩვენება.

შ. ჩიჭოვანმა დადგმას ეპიგრაფივით წარუძმდვარა სპეციალურად ამ თეატრისათვის მოხატული ფარდა, რომელიც ლელას გმირობით შთაგონებული სპექტაკლის თავისებური ხატია.

დიდიფორმა რეჟისორი ხტრცილავამ, რომელიც წლების მანძილზე თავდაღებით მოღვაწეობს ქუთაისის საოპერო თეატრში, გამოავლინა თავისი შემოქმედების საუკეთესო მხარეები, რაც პროფესიული გამოცდილების ზრდის შედეგია. ამას, პირველ რიგში, მოწმობს ქუთაისის საოპერო თეატრის ორკესტრი, რომელიც პრემიერაზე უკრავდა მწყობრად, შეთანხმებულად. სიმებიანი და სასულე საყრავებიც ძვრადობის წონასწორობამ მყარი ფონი შეუქმნა სოლისტებსა და გუნდს. რ. ხტრცილავას ნამუშევარი კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს ტემპო-რიტმული დრამატურგიითაც საღაც ხაზგასმული კონტრასტებით, ოღონდ, ზოგჯერ, უმეტესად ნელი ტემპების დროს, შეიძინევა ძაბვისა და მღელვარების მოდუნება, რაც გაქიანრუების, მონოტონურობის შთაბეჭდილებას წარმოქმნის.

სპექტაკლს აშუშენებს ა. გუმბერძის მიერ დღგმული ცეკვები, ეს ნიჭიერი ქორეოგრაფი შემოქმედებითად უღგებმა მრავალსაუკუნოვან ქართულ ხალხურ საცეკვო ესთეტიკას, მის ტრადიციებს, კარგად გრძნობს საოპერო თეატრის სპეციფიკას, ქართულ ოპერათა სტილს, მათ დრამატურგიულ თავისებურებებს. მისი სახით ქუთაისის თეატრს ჰყავს შემოქმედებითი ფანტაზიით დაჯილდოებული ხელოვანი, რომელიც ქორეოგრაფიულ სცენებს ორგანულად და აქტურად რთავს მოქმედებაში და მას ხალხური სულისკვეთებით ავსებს. ასეა „ლელაშიც“, რომლის ქორეოგრაფიულ გადაწყვეტას ასანათებს პლასტიკური ინტონაციების მრავალფეროვნება, ვიკაკატური სინატივე და ტემპერამენტრი, რასაც ხელს უწყობს მოცეკვეთთა ანსამბლის დახვეწილი საშემსრულებლო ხელოვნება.

სპექტაკლის მონაწილეთა შორის, პირველ რიგში, გამოვყოფთ გუნდს, რომელშიც თავმოყრილია ნიჭიერი ახალგაზრდობა, პირანთოლად, მონდობებით რომ ასრულებს შემოქმედებით ამოცანებს, განაპირობებს სპექტაკლის მხატვრულ დონეს. ზუსტია და სწრაფი

გუნდის მსახიობთა შემოქმედებითი რეაქციები, რისი შემოწმობითაც სიმკვეთრეს იძენს სპექტაკლის რიტმი, მისი პლასტიკური მხარე.

და მაინც, საგუნდო კოლექტივის მთავარ ღირსებას მუსიკალური გამომსახველობა წარმოადგენს. მისი წრფელი, მგზნებარე, მზაშეწყობილი სიმღერა ამძაფრებს სპექტაკლის ეროვნულ სულს, ამაში გადაწყვეტია ეროვნული ინტონაციის სიწმინდე, ეროვნული კოლორიტის გრძნობა, ხალხური მუსიკირების წიაღში რომ უღვეს სათავე. ამ თვისებების დამოწმობითაა დიდი წვლილი მიუძღვის საგუნდო ხელოვნების ისტატუს ა. მაკაბარიანს, რომელიც გამოვიდო ქორმისტრიონან ტ. თოფურიძესთან ერთად, უნეთარებს გუნდს სა„კონსტრუქციო ტექნიკისა და პროფესიული აზროვნების ჩვევებს.

